The fact that the motivation for labor migration is great in Georgia, exerts a serious influence not only on the demographic structure of the country's population, but also on the size of the money transactions conducted by the labor migrants in order to send money to Georgia. Currently, among the population older than 15, the share of the youth younger than 25 is 15%, in the economically active population the figure is 9.4%, and in the economically inactive population - 22.8%. With this in mind, by the most cautious estimations, 12-15% of the money transfers conducted from abroad to Georgia fall on the mentioned age group. In other words, only during 2011-2017, the youngsters aged below 25 conducted money transactions from abroad amounting to at least 1.1-1.4 billion US dollars. This figure is 2.4-3.0 times higher than the size of the budget allocations expended from the budget of Georgia on higher education during the same period, and is equal to the size of the income received by the whole Georgian population during one calendar quarter. As we can observe, the size of the transactions is quite solid, although, on the whole, against the background of the losses, which are caused by the mass drain of the energetic, ambitious and competent youth, because of the lack of employment in their own country, the effectiveness, economic and social profitability of the mentioned transactions are significantly less noticeable.

Conclusion

The contribution of Georgia to the world's international migration far exceeds (nearly 20 times!) the share of its population within the world population. Nowadays, approximately 1% of the world's migrants come on Georgia. This fact indicates to the high mobility of the Georgian population.

Until 2030, against the background of the positive net migration of the developed countries, negative net migration remains to be Georgia's essential tendency in terms of external migration. Nevertheless, because of the decline in the migration potential, it is expected that the negative balance will decrease quantitatively in time. Therefore, the developed countries will still retain the status of the receiving country, and Georgia will remain the distributor of migrants. By 2040, the net migration of the external migration of Georgia is expected to be within the boundaries of a zero, that is, the quantity of goers and comers will become equal.

In this regard, it is necessary to formulate a long-term and effective national migration policy for the optimization of the internal and external migration processes (which the country never before possessed), where the primary importance must be attached to creating appropriate conditions in order for emigrants to return, as well as to solving the problems of youth.

References

1. Archvadze J. (2013). The effect of labor migration on the characteristic indicator of labor market situation (The case of Georgia). Ivane Javakhishvili Tbilisi State University Migration Research Center. J. “Migration”. № 6. Tbilisi, (in Georgian)

2. Archvadze J. (2017). The Nature and Scale of Repatriation Money of Migrant Workers (On the example of Georgia and its land neighbors). Ivane Javakhishvili Tbilisi State University Migration Research Center. J. “Migration”. № 8. Tbilisi, p. 79-95. (In Georgian)
3. Tsiklauri Sh., Sulaberidze A., Gomelauri N. (2015). Urban and rural population pyramids in Georgia since 1950's.
4. Sulaberidze A., Tsuladze G., Sulaberidze V., Gomelauri N. (2016). Census Statistic Problems in Demographic Cases in Georgia. Problems of Demography and Sociology. Collection of works, pp. 6-17.
5. Sulaberidze V. (2018). The Newest “Civilized” or depopulated type of population reproduction!? Modern Tendencies of Development of Economy and Economic Science. Proceedings of Materials of International Scientific Conference. (In Georgian)
6. Tukhashvili M., Shelia M. (2012). “The impact of labor emigration on the demographic and economic development of Georgia in the post-Soviet period”.
7. Tukhashvili A. (2014). Potential Educational Emigration of Georgian Students for Study Purposes. Multidisciplinary Perspectives on Education, Cambridge Scholars Publishing, pp. 367-375.
8. Tukhasvhili M., Tsartsidze M., Latsabidze N., Lobzhanidze M., Shelia M. (2018). Emigration intentions of students of higher education institutions of Georgia (examples from Ivane Javakhishvili Tbilisi State University).// The European Journal of Humanities and Social Sciences, Premier Publishing. Vienna. (4).
9. Shelia M. (2017). Women’s Emigration from Georgia. Ivane Javakhishvili Tbilisi State University Migration Research Center. J. “Migration”. № 8. Tbilisi. (In Georgian)
10. Tsuladze G., Sulaberidze A., Maglaperidze N., Mamardashvili G. (2007). Demographic Development of Georgia: yesterday, today, tomorrow. Monograph. Tbilisi. Ilia State University. (in Georgian)
11. Tsuladze G. (2016). Demographic yearbook of Georgia 2015. (in English, in Georgian)
12. Tsuladze G., Sulaberidze A. (2016). Demographic peculiarities of Georgian regions. Tbilisi. (in Georgian)
13. Chelidze N. (2008). Georgian Higher Schools Students’ Attitude to Migration for Work and Study. Ivane Javakhishvili Tbilisi State University Migration Research Center. J. “Migration” №2. (in Georgian)
14. 2017 research of the Ilia State University’s Institute of Demography and Sociology “students’ attitude toward migration”.
15. International Migration Report 2015 Highlights UN New York, 2016.
16. Денисенко М. Б., Чудиновских О. С. (2018). Демографическое развитие постсоветского проптрансив. Сборник статей и аналитических материалов. М., с. 182-205.

ავთანდილ სულაბერიძე
იღიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დემოგრაფიის
და სოციოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.
თხებ არჩევადე

იღიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დემოგრაფიის
და სოციოლოგიის ინსტიტუტის ასოცირებული მკვდევარი
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

გლადიოზერ სულაბერიძე

იღიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დემოგრაფიის
და სოციოლოგიის ინსტიტუტის მკვდევარი
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

**საქართველოს მოსახლეობის მიგრაცია და პოტენციალი
დამოუკიდებელობის აღდგენიდან დღემდე
გაფართოებული რეზიუმე**

საქართველო იმ ქვეყნებს მიეკუთვნება, რომელთათვისაც გარე მიგრაცია მოსახლეობის და სამუშაო ძალის ფორმირებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობდა და თამაშობს. აღნიშნულიდან გამომდინარე, სტატიის მიზანია წარმოაჩნოს თანამედროვე ეტაპზე საქართველოს მოსახლეობის მიგრაციაზე მოქმედი დადგებითი და უარყოფითი ფაქტორები.

სტატიაში დასაბუთებულია, რომ საქართველოს მიგრაციული პროცესები ექვემდებარება მიგრაციის ზოგად კანონზომიერებებს და მიგრაციის არსებული თეორიებიდან გამომდინარეობენ. შესაბამისად, მიგრაციის ნეოკლასიკური და სოციოლოგიური კონცეფციების ფონზე მოცემულია, საქართველოს სტუდენტთა, როგორც პოტენციურ მიგრანტთა, უცხოეთში მიგრაციის მოტივაციები და პირობები, რომელთა შემთხვევაშიც ისინი უკან დაბრუნდებიან.

ქვეყნის დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, მოსახლეობის ბუნებრივი მატება ვეღარ ფარავს გარე მიგრაციის მაღალ უარყოფით სალდოს და ადინიშნებასაქართველოს მოსახლეობის რაოდენობრივი კლება. დეფორმაცია განიცდა მოსახლეობის ასაკობრივ-სქესობრივისტუქტურამ და მიმდინარეობს დემოგრაფიული დაბერება. ადინიშნა დეპოპულაცია. 2014 წლის მოსახლეობის აღწერის მონაცემებით გაუკაცრიყდებულია 223 სოფელი.

ემიგრაცია ძირითადად სამფაქტორიანი პროცესით წარიმართა: ერთი მხრივ, სსრკ-ს დაშლის შემდეგ თავიანთ ისტორიულ სამშობლოს დაუბრუნდა საქართველოში მცხოვრები ათეულ ათასობით სხვა ეროვნებების წარმომადგენელი; მეორე მხრივ, ეთნიკური კონფლიქტების შედეგად დაკარგული ტერიტორიებიდან ემიგრაცია გაზარდა დევნილთა დიდმა მასამ და მესამე, სოციალურ-გონიმიური კოლაფსით, დღემდე არსებული უმუშევრობის მაღალი დონით და ოჯახის სიღარიბით გამოწვეული ემიგრაცია.

ემიგრაციულ პროცესს ახალი იმპულსი მისცა ევროკავშირის ქვეყნების მიერ 2017 წლის აპრილიდან საქართველოს მოქალაქეთათვის უკიზო მიმოსვლის რეჟიმის შემოღებამ. მართალია, რეგულაციებით ევროკავშირის ტერიტორიაზე ყოველწლიურად ერთდღოული ყოფნის სანგრძლივობა 90 დღითად ლიმიტირებული, მაგრამ ქვეყნიდან გასულთა არც თუ მცირე რაოდენობამ (4 ათასზე მეტმა საქართველოს მოქალაქემ) უკვე „მოასწრო“ ევროკავშირში ყოფნის გადების დარღვევა.

1960-2000 წწ. გარე მიგრაციის შედეგად საქართველოს მოსახლეობას დააკლდა 1404 ათასზე მეტი ადამიანი, საიდანაც 1990-2000 წლების პერიოდზე მო-

დონდა 1026 ათასი ქაცი (73,1%). შეფასებითი მონაცემებით, 2000 წლისთვის 1989 წელთან შედარებითსაქართველოს მოსახლეობის რაოდენობის 19%-მდე შემცირდა.

გარე მიგრაციის უარყოფითი სალდო წელიწადში მოსახლეობის 1000 სულზე თუ 1990-2000 წწ. საშუალოდ შეადგენდა -19,2 ქაცს 2000-2017 წლებისათვის იგიმიშნებულოვანად შემცირდა, მიუხედავად იმისა, რომ მისი ინტენსივობა 2-ჯერ და მეტად შემცირდა, იგი მაინც საკმაოდ მაღალი რჩება (-8,5). აღნიშნული მიანიშნებს ერთი მხრივ, ემიგრაციული და იმიგრაციული ნაკადების რაოდენობრივ ცვლილებებზე, მეორე მხრივ კი, პოტენციურ ემიგრაციტა სავარაუდო შემცირებაზე,

1990-იანი წლების დასაწყისთან შედარებით 2014 წელს ქვეყნაში მოსახლეობა შემცირდა 1740 ათასით, ხოლო დაქირავებით დასაქმებულთა რაოდენობა – 1436 ათასით, რაც შემცირებული მოსახლეობის 82,5%-ია. ამჟამად მოსახლეობაში დაქირავებით დასაქმებულთა წილი დაახლოებით 2-ჯერ უფრო დაბალია, ვიდრე ეს იყო 1990-იანი წლების დასაწყისში (შესაბამისად, 22,2% და 41,4%). აღნიშნულის შედეგად ქვეყნიდან გასულთა შორის 85% 20-დან 50 წლამდე ასაკისანი არიან, მაშინ როდესაც ამ ასაკობრივი ჯგუფის წილი საქართველოს მთელ მოსახლეობაში მხოლოდ 40,2%-ია.

2002-2017 წწ. მიგრაციტა ბრუნვის დინამიკა სქესობრივ ჭრილში გვიჩვნებს, რომ მაბაკაცთა შორის 2013 წლამდე ემიგრანტები სჭარბობდნენ იმიგრანტებს, ხოლო 2017 წელს იმიგრანტებმა გადააჭარბეს ემიგრანტებს. ეს შეძლება აიხსნას ერთი მხრივ, მათი რაოდენობრივი პოტენციალის შემცირებაზე, მეორე მხრივ, მიგრაციული ქცევის ცვლილებაზე – საგარაულოდ მათ სამშობლოში დაბრუნების გაზრდილ სურვილზე. მამაკაცთაგან განხსნავებით ქალთა შორის ანალოგიური უცუპროცესი ჯერ-ჯერობით არ ფიქსირდება.

ადსანიშნავია, რომ 2014 წლის საყოველთაო აღწერით, ქალ ემიგრანტთა შორის, პედაგოგთა რაოდენობა გაიზარდა და უმრავლესობას წარმოადგენენ. მათი პროფესია უადგილებს უცხოეთში ძირითადად დასაქმდნენ ძიქებად, მომგლელებად, მოსახლეებად და მეორადი ბაზრისთვის დამახასითებელ დაბალგვალიფიციურ სამუშაო ადგილებზე. უცხოეთში არსებული სირთულეებიდან ქალები ძირითადად გამოყოფენ კლიმატთან შეუეცებას და დაბატული სამუშაო რეჟიმს. ქალთა ჯანმრთელობის დაქვეითების მიზეზი დაბატული სამუშაო რეჟიმის გარდა (50%) არაჯანსაღი სოციალური გარემო (12%), და პაერის სინებრეა. მათ შორის დიდია ნეკროზით დაავადებულთა წილი [შელია მ. 2017: 122-124].

2002 წლისთვის შედარებით 2014 წელს, შესამნევად გაიზრდა 15-64 წლის და 65 წლის გადაცილებულ იმიგრანტთა ასაკობრივი ჯგუფის წილი, რაც გარემოების მსურველთა რაოდენობრივი ზრდის თაობაზე. ამ ფონზე 15 წლამდე ასაკის იმიგრანტთა წილის შემცირება, ჩვენი ვარაუდით, ძირითადად გამოწვეული უნდა იყოს ამ ასაკის ემიგრანტთა ასაკობრივი ზრდის შედეგად, 15-64 წლების ასაკობრივ ჯგუფში გადასხლით და ნაკლებად – ოჯახთან ერთად სამშობლოში დაბრუნებაზე.

2002 წლისთვის შედარებით 2014 წლისთვის ემიგრანტთა ეროვნულ სტრუქტურაში 60,9%-დან 83,8%-მდე გაიზარდა ქართველთა წილიდა შემცირდა სხვა ეროვნებათა წილი: აზერბაიჯანელების – 5,9%-მდე, სომხების – 5,0%-მდე, რუსების – 0,9%-მდე, ოსების – 0,7%-მდე, ბერძენების – 0,4%-მდე. ამასთან, თუ 2000 წლამდე ამ ეროვნებათა დიდი ნაწილი საკუთარ სამშობლოში დაბრუნდა, დღვისათვის (გარდა ოსებისა, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ ოკუპირებულ ახალგორის და ცხინვალის ტერიტორიაზე დარჩა) მათ უცხოეთში ემიგრაციას ქართველებთან ერთად, ძირი-

თადად, დასაქმება და მატერიალური პირობების გაუმჯობესება განსაზღვრავს. ამასთან, გაიზარდა სასწავლებლად წასვლის (6,6%-დან 11,0%-მდე) და საკუთარ ოჯახთან დაბრუნების ან ოჯახის შექმნის მიზნით წამსვლელთა რაოდენობა.

საკუთარ ოჯახთან დაბრუნების ან ოჯახის შექმნის მიზნით წამსვლელთა რაოდენობის ზრდა, უცხოეთში ცხოვრების ხანგრძლივობის ზრდის ფონზე გასაკვირი არ უნდა იყოს. ოუ 2000 წლისთვის 5 წლის შეტენი ხანგრძლივობით ცხოვრობდა 40%-მდე ემიგრანტი, 2014 წლისთვის, ეს მაჩვნებელი 68,8%-მდე გაიზარდა. მათგან განსხვავებით, 2002 წლის 58,0%-დან 2014 წლისთვის 18,5%-მდე შემცირდა 5 წლამდე უცხოეთში მცხოვრებთა წილი, რაც ასევე მიუთოთ ებს საქართველოში ემიგრანტთა პოტენციალის შემცირებაზე.

2014 წლისთვის ემიგრანტთა 70,8 % მუშაობდა, 10,3% სწავლობდა, 5,6% ეძებდა სამუშაოს, ხოლო მათი მცირე ნაწილი მკურნალობდა (1,7%) და სარგებლობდა სოციალური დახმარებით (1,1%). მათგან 7,1 % სხვა მიზეზით არის უცხოეთში, ხოლო 3,4%-მა არ მიუთითა.

აღსანიშნავია, რომ ოუ 2002 წლისთვის რუსთის ფედერაციაში ცხოვრობდა მთელ ემიგრანტთა 64,1%, 2008 წლის რუსთ-საქართველოს ომის შემდეგ მათი რაოდენობა 2014 წლისთვის 2,5-ჯერ შემცირდა, რაც ასევე განაპირობა რუსთის მიერ საქართველოსთან სავიზო რეჟიმის გამკაცრებამ. ამ ფონზე უცხოეთში მცხოვრებ მიგრანტთა რაოდენობა იგივე დონეზე დარჩა თურქეთში (11,3%), ხოლო გაიზარდა იტალიაში (შეადგინა 10,9 %), გერმანიაში (7,1%), აშშ-ში (5,7%), ესპანეთში (4,1%), საფრანგეთში (3,7%) და სხვა ქვეყნებში.

უმაღლესი, პროფესიული და საშუალო განათლების ქონე ემიგრანტთა საერთო რაოდენობიდანნახევარზე მეტი (60,5%), 10%-ზე მეტი წილით: რუსთში (21,6%), საბერძნეთში (16,2%), თურქეთსა (11,5%) და იტალიაში (11,1%) არიან წარმოდგენილი. მათგან უმაღლესი განათლების მქონეთა 64,4% რუსთში, იტალიაში, საბერძნეთში, გერმანიაში და აშშ-ში ცხოვრობენ. სამწუხაროდ, მათი უძრავდესობა ძირითადად არალეგალური მიგრანტი მასწავლებლები, ინჟინერები, ექიმები და ტექნიკური დარგების წარმომადგენლები არიან, თუმცა საკუთარი სპეციალობით არ მუშაობენ და შესაბამისად, შრომის მეორად ბაზარზე „მოღვაწეობები“, რაც იწვევს მათ დეკადიფიკაციას.

რაც შეეხბა რეგიონებიდან უცხოეთში ემიგრაციას, 2002-2014 წლების მონაცემებით, უმრავლეს შემთხვევაში, ემიგრანტებში (88,5 ათასი კაცი) ქალები სჭარბობენ მამაკაცებს და ქალაქის მოსახლეობიდან მეტი იყო ემიგრაცია, ვიდრე სოფლიდან. ემიგრაციის ინტენსივობა ყველაზე მაღალია იმერეთიდან, თბილისიდან და ქვემო ქართლიდან. ემიგრაციის შედარებით დაბალი ინტენსივობით გმორიჩება გურია, აჭარა, რაჭა-ლეჩხეუმი და ქვემო სვანეთი, რაც აჭარის-გან განსხვავებითისიღარიბესთან ერთად განაპირობა ამ რეგიონების მოსახლეობის რაოდენობრივის სიმცირემ, დაბერების მაღალმა დონემ და პოტენციურ მიგრანტთა შემცირებამ. რაც შეეხბა აჭარას, აქ ემიგრაციის დაბალ დონეს ძირითადად განსაზღვრავს მისი საკურორტო პოტენციალიდან მიღებული შედარებით მაღალი შემოსავლები, თურქეთთან მეზობლობით ჩამოყალიბებული „ქანქარისებური მიგრაცია“, რაც ფაქტობრივად გამორიცხავს ხანგრძლივი ვადით მიგრაციას და სხვ

ზოგადად, საქართველოში შიგა მიგრაციაში მონაწილეობა მიღიღო მონაწილეობა მეტმა ადამიანმა (იგულისხმება ყველა პირი, ვინც შეიცვალა მუდმივი საცხოვრებელი ადგილი საქართველოს ფარგლებში). ყველაზე მეტი შიგა მიგრანტი თბილისზე (33,1%) და შემდეგ იმერეთზე (15,1%), სამეგრელო-საგანგეოზე (9,6%) და კახეთზე (8,6%) მოდის, რასაც უმუშევრობის მაღალი დონე განაპირობებს, ხოლო ყველაზე ცოტა – რაჭა-ლეჩხეუმსა და ქვემო სვანეთზე (1,1%), მცხეთა-მთიანეთზე (3,3%) და გურიაზე (3,1%) მოდის, რასაც მიუხედავად

უმუშევრობის და სიღარიბის მაღალი დონისა, ამ რეგიონებში დემოგრაფიული დაბერძნების მაღალი დონე განსაზღვრავს.

მოსახლეობის 2002 და 2014 წლების საყოველთაო აღწერების თანახმად მოსახლეობის ზემო ასაკებში მიგრაციის პოტენციალის თანდათან შემცირების ფონზე, სტუდენტთა, როგორც პოტენციურ მიგრანტთ სოციოლოგიური გამოკლევის შედეგად აღმოჩნდა, გამოკითხულ სტუდენტთა 42,7% აპირებს საზღვარგარეთ წასვლას. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში 100 ათასზე მეტი სტუდენტია, გამოდის, რომ დაახლოებით 43-45 ათას სტუდენტს განხრას უდინი აქვს საქართველოს დატოვება. უმაღლეს სასწავლებელში (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა) სწავლის საშუალო ხანგრძლივობის (დაახლოებით 4-5 წელი) და – შესაბამისი კონტინგენტის რიცხოვნობის გათვალისწინებით, საზღვარგარეთ გასვლის მსურველ სტუდენტთა კონტინგენტი ყოველ კურსზე 10 ათასს აღემატება, მაშინ, როდესაც საშუალოდ უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხული ახალგაზრდების რაოდენობა ბოლო წლებში დაახლოებით 30-35 ათასის ფარგლებშია.

ადსანიშვნია, რომ ქვეყნიდან სტუდენტთა გასვლის ორი მთავარ მოტივზე (განათლების მიღება და შრომითი საქმიანობა). მოდის საზღვარგარეთ წასვლის მსურველთა 9/10-ზე მეტი. მათგან დაახლოებით 3/5 საქართველოს დატოვებას აპირებს უახლოებს სამ წლიწადში, 2/3 კი – მოგვიანებით. გასვლის მოტივაცია გოგონებში უფრო მაღალია, ვიდრე ვაჟებში.

სტუდენტთა რიცხოვნობის გთვალისწინებით, ყოველწლიურად საზღვარგარეთ წასვლის მსურველთაგან, 5-ათასიანი კონტინგენტი გადაწყვეტილებას – სამშობლოში დაბრუნების თაობაზე მიიღებს უკვე უცხოეთში განათლების მიღების შემდეგ, აქედან 350-400 ახალგაზრდას აქვს ხამოყალიბებული გადაწყვეტილება საქართველოში არდაბრუნების თაობაზე. გამომდინარე იქიდან, რომ ყოველწლიურად საქართველოს მოქალაქეების უარყოფითი მიგრაციული სალდო შეადგენს დაახლოებით 15 ათასს, შეიძლება ითქვას, რომ მათი დაახლოებით ერთი მესამედი ის კონტინგენტია, რომლებმაც ეხლახანს დაამთავრეს საქართველოში უმაღლესი განათლების, როგორც წესი, პირველი საფეხური (ბაკალავრიატი) და მიემართება ცოდნისა და „ბეჭის საძიებლად“ საზღვარგარეთ.

საზღვარგარეთ წასვლის მოტივაციად, სტუდენტთა 34,2% მიიჩნევს უცხოეთში სწავლის შემდეგ საქართველოში დასაქმების უფრო მეტ პერსპექტივის; 12,1% იქვე დასაქმებისა და საცხოვრებლად დარჩენის საშუალებას. ამასთან, მათაც შემდეგ სტარტობს მუშაობის, ხოლო ქადებში – სწავლის მოტივი.

ქვეყნიდან გასვლის გეოგრაფია საქმაოდ მრავალ გექტორულია და გამგზავრების მზაობას გამოხატავენ ძირითადად: გერმანიაში (37,2%), აშშ-ში (16,8%), გაერთიანებულ სამეფოში (11,4%), იტალიაში (5,4%), საფრანგეთსა და რუსეთში (3,4%).

გამოკითხვამ აჩვენა, რომ თითქმის ყოველი მეხუთე სტუდენტი (21,3%) არ ფლობს მშობლიურის გარდა არც ერთ სხვა (უცხო) ენას. სტუდენტების თითქმის ნახევარი (48,8%) ფლობს ინგლისურს, 22,4% – რუსულს, ხოლო გერმანულს – 6,6%. ამასთან, 2 უცხო ენას ფლობს სტუდენტების 14,9%, ხოლო 3-ს – 3,4% მათ შორის, ვინც იცის უცხო ენა, ენის ცოდნის კოეფიციენტი შეადგენს 1,18-ს, რაც საშუალო ეფრობულ მაჩვენებელს თითქმის 1,4-ჯერ ჩამორჩება (ეფროკავშირი – 1,6 და მეტი).

საქართველოს სტუდენტთა განათლების მოთხოვნილების სტრუქტურაში აშკარად გამოკვეთილია ეკონომიკის და ბიზნეს-ადმინისტრირების სპეციალობები (45,6%). არჩეული სპეციალობების მიხედვით გოგონები სტარტობენ ვაჟებს საბუნებისმეტყველო და სოციალურ-პოლიტიკური მიმართულებებით, თანაბრადა არჩეული პუმანიტარული სპეციალობები, ხოლო დანარჩენი მიმართულებ-

ბით ვაჟთა რაოდენობა აღემატება გოგონებს, განსაპუთრებით, საინჟინრო-ტექნიკური მიმართულებით. აღსანიშნავია, რომ აგრარული სპეციალობებით ძირითადად ვაჟები სწავლობენ, რაც სამწუხაოდ მიანიშნებს იმაზე, რომ სოფ-ლის მეურნეობის დარგებით, გოგონები ხაკლებად არიან დაინტერესებულინი.

უცხოეთში წასვლის მსურველ სტუდენტთაგან მხოლოდ სწავლის გაგრ-ძელების მიზნით წასვლას აპირებს 26,9%, თუმცა მათი უმრავლესობა (59,0%) აპირებს სწავლას შეუთავსოს დასაქმება.

სასწავლებლად წამსვლელ სტუდენტთა მიერ ქვეყნის შერჩევისას მირი-თადად გათვალისწინებულ იქნა: არჩეულ ქვეყანაში უახლოესი ნათესავის, ან მეგობრის ცხოვრება, ის უმაღლესი სასწავლებელი, რომელშიც სურს სწავლა – 40,6%; პროფესიული გამოცდილების – 19,8% და დასაქმების მეტი შესაძ-ლებლობა – 17,6 %; ამ ფონზე ნეგატიურია ის რომ სტუდენტთა 53,5%-ს ჯერ არ შეურჩევია უმაღლესი სასწავლებელი.

საინტერესოა, რომ სტუდენტთა უმრავლესობას (62,9%) სწავლის გაგრ-ძელება სურს მაგისტრატურაში, 10,1% – დოქტორანტურაში, 2,2% – სამედი-ცინო რეზიდენტურაში, 13,7%-ს ცალკეულ მოკლევადიან პროგრამებში, რაც მიუთითებს სტუდენტთა სურვილზე მიიღონ მაღალი დონის პროფესიული გა-ნათლება. საინტერესოა, რომ სტუდენტთა 65,5% აპირებს თავისი სპეციალობით სწავლის გაგრძელებას, 23,2% – მონაცესავე სპეციალობით, 17,3% – უფრო ფართო პროფილით, ხოლო 5,6% აპირებს სპეციალობის შეცვლას.

2017 წლის მონაცემებით 25 წლამდე ახალგაზრდებში უმუშევრობის დონე 28,9%-ია, მაშინ როდესაც მოსახლეობის დანარჩენ ნაწილში – 2,3-ჯერ უფრო დაბალი – მხოლოდ 12,4%. ამის გარდა, ხელფასის მიმღებთა რაოდენობა 16-24 წლის სტუდენტებში მხოლოდ 16,3%-ა, მაშინ როდესაც 25 და მეტი წლის მო-სახლეობაში – 1,8-ჯერ უფრო მაღალი – 29,2 %.

სტუდენტების საშუალო ოვიური ანაზღაურება (დაახლოებით 480 ლარი) ეროვნულ მეურნეობაში დასაქმებულთა ხელფასთან შედარებით დაახლოებით 2,2-ჯერ დაბალია. სასწავლებლის დამთავრების შემდეგ სამუშაოს შეთავაზების შემთხვევაში, გამოკითხული სტუდენტების პასუხებით, ხელფასის სავარაუდო საშუალო მაჩვენებელი 837 ლარს შეადგენს, რაც თითქმის ¾-ით აღემატება და-საქმებული სტუდენტების ფაქტობრივ საშუალო ანაზღაურებას (480 ლარი), თუმცა მაინც თითქმის ¼-ით ჩამორჩება ეროვნულ მეურნეობაში გამოკითხვის მომენტისათვის არსებულ საშუალო ოვიურ ანაზღაურებას.

დასაქმებულ სტუდენტთაგან, ქვეყანაში დაბალი ანაზღაურების გამო, უახლოეს სამ წელიწადში საზღვარგარეთ წასვლას აპირებს თითქმის ყოველი მეოთხე (24,4%), რაც მნიშვნელოვნად აღემატება ათი წლის წინ ანალოგიურ მონაცემებს. (2008 წ. – 17,4%). ამასთან, 2008 წლის გამოკვლევით, სტუდენტთა 58,8% ემიგრირების შემთხვევაში აპირებდა არალეგალურ მუშაობას, თუ ამას კანონიერად ვერ მოახერხებდნენ [ჭელიძე ნ. 2008: 103]. ჩვენი გამოკვლევით კი მნიშვნელოვანი ნაწილი (62%) არ აპირებს არალეგალურად საქმიანობას. საზ-ღვარგარეთ საშუალო წასვლის შემთხვევაში საკუთარი სპეციალობით დასაქ-მება სურს ნახევარზე მეტს (50,3%); წასვლის მთავარ ფაქტორად მაღალაზ-დაურებად სამუშაოს მიხნევს სტუდენტების 17,2%.

საზღვარგარეთ მუშაობაზე სტუდენტები იმ შემთხვევაში აპირებენ და-თანხმებას, თუმცა ანაზღაურება დაახლოებით 1000 დოლარი მაინც იქნება, რაც დაახლოებით 2,5-ჯერ აღემატება საქართველოში საშუალო ხელფასს და 5-ჯერ და მეტად – დასაქმებული სტუდენტების შრომის ფაქტობრივ ანაზღაურებას.

აღსანიშნავია, რომ სწავლის დამთავრების შემდეგ სტუდენტი თანახმაა საკუთარ სამშობლოში მუშაობა დაიწყოს მინიმუმ 837 ლარის ანაზღაურების პირობებში, მაშინ, როცა საზღვარგარეთ სასურველი ანაზღაურების მინიმალუ-

რი თამასა 2500 ლარს აღემატება (3-ჯერადი სხვაობა). თანაც, ეს სხვაობა მით უფრო მაღალია, რაც უფრო დაბალია სამშობლოში ანაზღაურების სიდიდე. თუ სამშობლოში სტუდენტთა მაღალ და დაბალანაზღაურებად მაჩვენებლებს შორის განსხვავება დაახლოებით 3.3:1-ზე, საზღვარგარეთ სასურველ ხელფასთა სიდიდეებს შორის სხვაობა 30%-ის ფარგლებშია, რაც რესპონდენტთა ზეოპტიმიზმისა და, არც თუ გარანტირებული პერსექტივის მქონე მოლოდინების გამოვლინებად უნდა მიყიჩნოთ.

უცხოეთში სტუდენტი-ახალგაზრდობის წასვლის მოტივაცია ცალსახად მატერიალურ მდგომარეობას უძავშირდება (78,6%). განსაკუთრებით მაღალია იგი საკუთარ ქვეყანაში დასაქმების უპერსპექტივობის გამო (გამოკითხულთა 47,5% და პასუხის გამცემთა 48,6%). ამასთან, სხვადასხვა მოტივის დასახელების დროს (ოჯახის მძიმე მატერიალური მდგომარეობა, ფულის დაგროვების სურვილი) დასაქმებულ სტუდენტთა შემოსავლები მნიშვნელოვნად არ განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან (დაახლოებით 1000 ლარის ფარგლებში), რაც, ჩვენი აზრით, სამუშაო ადგილების საკუთარ სამშობლოში ვერ პოვნის ეგზისტეციური საფრთხითაა გამოწვეული.

საზღვარგარეთ სამუშაოდ წასვლის შემთხვევაში თითქმის ნახევარი (49,8%) სამუშაოს პერსპექტივას საკუთარ სპეციალობას უკავშირებს, რაც ფაქტობრივად 3-3-ჯერ აღემატება სხვა მისაღებ გარემოებებს.

საზღვარგარეთ ახალგაზრდობის მიგრაციის მოტივაციაზე სერიოზულ გავლენას ტრანზაქციების მოცულობა. ყველაზე მოკრძალებული შეფასებით, 25 წლამდე ახალგაზრდებზე საქართველოში უცხოეთიდან განხორციელებული ფულადი გზავნილების 12-15% მოდის. მხოლოდ 2011-2017 წლებში 25 წლამდე ახალგაზრდებმა საზღვარგარეთიდან საქართველოში, სულ ცოტა, 1.1-1.4 მლრდ. აშშ დოლარის ფულადი ტრანზაქცია განახორციელებს. ეს თანხა 2.4-3.0-ჯერ აღემატება იმავე პერიოდში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან უმაღლეს განათლებაზე გაღებული ასიგნებების მოცულობას და უტოლდება საქართველოს მთელი მოსახლეობის ერთი კვარტალის მანძილზე მიღებული შემოსაფლების მოცულობას. თუმცა საკუთარ ქვეყანაში არასაგმარისი სამუშაო ადგილების გამო, ენერგიული, კომპეტენტური და ამბიციური ახალგაზრდების მასობრივი გადინების მთლიანი ზარალის ფონზე, საქმაოდ სოლიდური მოცულობის ტრანზაქციების უფერებითიანობა, დემოგრაფიული ეკონომიკური და სოციალური სარგებლიანობის თვალსაზრისით მნიშვნელოვნად ფერმკრთალდება.

ამდგრად, მაღალი უმუშევრობა, სამუშაოს შოვნის მცირე პერსპექტივა, დაბალი ანაზღაურება, განათლების და კვალიფიკაციის დონის ამაღლების შეუსაბამო ინსტიტუცია, და ზოგადად კეთილდღეობის არადამაკმაყოფილებელი დონე, ის ძირითადი ფაქტორებია, რომლებიც ახალგაზრდების საზღვარგარეთ წასვლის მიგრაციას არსებითად ზრდის. ეს კი სერიოზულ საფრთხეს უქმნის მცირებიცხოვანი საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ და დემოგრაფიულ განვითარებას.

2030 წლამდე, ეპროკავშირის ქვეყნების მიგრაციის დადგებითი სალდოს ფონზე, საქართველოსათვის გარე მიგრაციის ძირითად ტენდენციად უარყოფითი სალდო დარჩება, თუმცა მიგრაციული პიტენციალის შემცირების გამო, მისი რაოდენობრივი კლების ტენდენციაა მოსალოდნელი და 2040 წლისთვის საქართველოსათვის გარე მიგრაციის სალდო 0-ის ფარგლებშია მოსალოდნელი.

ამ თვალსაზრისით აუცილებელია გარე და შიგა მიგრაციული პროცესების ოპტიმიზაციის გრძელვადიანი და უფერებიანი ეროვნული მიგრაციული პოლიტიკის შემუშავება (რაც არასდროს გაჩნდა ქვეყანას), სადაც პრიმატი ემიგრანტთა დაბრუნების სათანადო პირობების შექმნასთან ერთად, ახალგაზრდული პრობლემების მოგვარებას უნდა მიენიჭოს.

ეკონომიკური თეორია
ECONOMIC THEORY

თუ აროვებორი, ეკონომიკური პოლიტიკის ქათუდრის ხელმძღვანელი, ეკონომიკური პოლიტიკის ქართულ-გერმანული ინსტიტუტის დირექტორი

სოციალური საბაზო ეკონომიკის კონცეფციის დამოკიდებულება ძირითად საზოგადოებრივ დირექტულებებთან

რეზიუმე: ეკონომიკური პოლიტიკის კონცეფცია შეიძლება განისაზღვროს როგორც ეკონომიკური პოლიტიკის მოქმედების ზოგადი ჩარჩო-პირობები, მისი საფუძვლი და ორიენტირი. როდესაც ასეთი კონცეფცია რაციონალურობის პრინციპს ემყარება, იგი წარმოადგენს ზოგად და მასშტაბურ მიზანთა კარგად გააზრდებულსა და მყარ სისტემას. იგი ასევე მოიცავს წესრიგის პოლიტიკის პრინციპებს, მათთან თავსებადსა და მიზნის მიმართ კონფორმულ საშუალებებს. ამ პოზიციიდან კი ეკონომიკა სხვა არავერია თუ არა ბევრად უფრო მასშტაბურ საზოგადოებრივ მიზანდასას უდირბათა შემადგენელი ნაწილი. ეკონომიკური პოლიტიკის კონცეფცია აადგილებს რაციონალური ეკონომიკურ-პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებას და მოქმედების შესაძლებლობათა წინასწარი არჩევის საშუალებას გვაძლევს. სწორედ ის ადგენს ინტერვენციის წესს, როგორც საშუალებათა გამოყენების კრიტერიუმს (Tuchfeldt, 1982, გვ. 202).

საკვანძო სიტყვები: ეკონომიკური პოლიტიკის კონცეფცია, ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკა, ძირითადი საზოგადოებრივი დირექტულებები, საბაზო თავისეუფლება, სოციალური თანასწორობა, ეკონომიკურ-პოლიტიკური გადაწყვეტილება, სოციალური საბაზო ეკონომიკა.

შესავალი

ეკონომიკური პოლიტიკის საშუალებათა გამოყენების პროცესის რაციონალურად წარმართვის მიზნით უნდა გავითვალისწინოთ ინტერვენციის სამი წესი: მიზნის მიმართ კონფორმულობა, კონცეფციის მიმართ კონფორმულობა და სისტემის მიმართ კონფორმულობა (Streit, 2005, გვ.307). პირველ რიგში უნდა განვიხილოთ რამდენად უწყობს ხელს მოცემული საშუალება მიზნის განხორციელებისაკენ სწრაფვას. ასეთი საშუალება შეიძლება შევისლეს თუ რამდენად არის ის მიზნის მიმართ კონფორმული. ამის შემდეგ საშუალებები უნდა შევაფასოთ კონცეფციისა და სისტემის მიმართ კონფორმულობის საფუძველზე. ამით დგინდება რამდენად კონფორმულია ღონისძიება კონცეფციისთვის დამოკიდებულებაში, რაც წინასწარი არჩევანის გაკეთების საშუალებას გვაძლევს.

ეკონომიკური პოლიტიკის ისეთ ღონისძიებათა ძიების პროცესში, რომლებმაც თავითან უნდა აგვაშოროს დასახული მიზნისგან გადახვევა, თავდაპირველად აუცილებელია შემოწმდეს თუ რამდენად მნიშვნელოვანია მოსალოდნელი შედეგი უშუალოდ ეკონომიკური პოლიტიკის მიზნებთან დამოკიდებულებაში. მიზნის მიმართ კონფორმულად უნდა მივიჩნიოთ უკეთი ის ღონისძიება, რომელიც მიესადაგება ეკონომიკური პოლიტიკის პრობლემის გადაჭრას. მიზნის მიმართ კონფორმულობით სასიათდება მიზანშეწონილი ღონისძიებებიც.

რაციონალური ეკონომიკურ-პოლიტიკური გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელია შემოწმდეს და გავიაზროთ მიზნის მიმართ კონფორმულ საშუა-

ლებათა მნიშვნელობა (გველესიანი, 2013, გვ.17-18). ეს უნდა განხორციელდეს მიზანთა მთელ სისტემასთან დამოკიდებულებაში, იმ მიზნების ჩათვლით, რომ-ლებიც ძირითად დირებულებებად არის აღიარებული (გველესიანი, 2017, გვ.14-15). გადაწყვეტილებასთან დაკავშირებული დანახარჯების შესამცირებლად საჭიროა ისეთი კრიტერიუმი, რომელიც შეფასებას გაადაფილებს. უნდა გამოვიკვლიოთ აგრეთვე ეკონომიკური პოლიტიკის პროგრამიდან გამომდინარე კონკრეტული პრობლემის გადაწყვეტისათვის რომელი საშუალების გამოყენებაა დასაშვები. ასე-თი პროგრამა არის ეკონომიკური პოლიტიკის კონცეფცია. იგი გვაწვდის საკარის და ერთმნიშვნელოვანი ინფორმაციას არსებითი და პოლიტიკურად მნიშვნელოვანი კონსენსუსის თაობაზე. საქმე ეხება იმ კონსენსუსს, რომელიც გულისხმობს, რომ ეკონომიკას, როგორც საზოგადოებრივ მიზანთა უფრო მომცველი სისტემის შემადგენელ სფეროს, დაქვემდებარებული ადგილი უჭირავს. ეს მდგომარეობა განსაზღვრავს მის დირებულებას. ამ გარემოების გათვალისწინება გვიადვილებს დავადგინოთ მიზანი სისტემის მიმართ კონფორმულობით ხასიათდება თუ არა.

სისტემის მიმართ კონფორმულობა სწორედ ის კრიტერიუმია, რომლითაც იზომება რაც მთავარია მოცემული ეკონომიკური პოლიტიკის კონცეფციაში. ძირითად დერძს წარმოადგენს კოორდინაციის ის მეთოდები, რომლებიც ეკონომიკას ახასიათებს, როგორც დაქვემდებარებულ სფეროს (ქვესისტემას). მნიშვნელოვანია სწორედ ამ საყრდენი დერძის ამორჩევა, ვინაიდან ეკონომიკის, როგორც ქვესისტემის არსებობა კოორდინაციის მეთოდების ფუნქციონირებაზეა დამოკიდებული.

ეკონომიკური პოლიტიკის კონცეფცია საშუალებას განძლევს, რომ ეკონომიკური პოლიტიკის გარკვეული გადაწყვეტილება მაქსიმალური რაოდენობის უშუალო შემოწმების გარეშე მივიღოთ. სწორედ კონცეფციის საფუძველზე დგინდება მათი (გადაწყვეტილებათა) თავსებადობა საზოგადოების უფრო მასშტაბურ მიზნებთან, რაც ეკონომიკური პოლიტიკის კონკრეტული მიზნების რეალიზებას ხელს უწყობს.

ეკონომიკური პოლიტიკის კონცეფცია დაგავშირებულია წესრიგის პოლიტიკასთან, რაზეც სწორედ კონცეფციით ხებადართულ საშუალებებსა და წესრიგის პრინციპებს შორის დამოკიდებულება მიუთითებს. კონცეფცია სწორედ მაშინ არის თანმიმდევრული და მყარი, როდესაც მასში მოცემული ისტრუმენტები, ეკონომიკური წესრიგის პრინციპები და სხვა, კონკრეტული გადაწყვეტილების მიღების თვალსაზრისით, კოორდინირებული და პარმონიული მოქმედების პირობას აქმაყოფილებს. ასე რომ, საბაზო კოორდინაცია შესაბამისობაშია საკუთრების ხელშეუხებლობის პრინციპთან. კერძო მოქმედებები, რომლებიც კონკურენციის საფუძველზე ხორციელდება, სრულ თანხმობაშია ეკონომიკურ-პოლიტიკური მართვის მოხსენებისთან, რომელიც საინფორმაციო პოლიტიკისა და მონაცემთა ცვლილების საშუალებით ხორციელდება. საბაზო მოთხოვნებთან შეუთავსებელი იქნებოდა კერძო ეკონომიკური მოქმედებების კოორდინირებულობის სახელმწიფო მართვის პირდაპირი ძალადობრივი ფორმით ჩანაცვლების მცდელობა. აქედან, უპირველეს ყოვლისა, მოქმედების თავისუფლების ასპექტით, მნიშვნელოვანი პრაქტიკული შედეგი გამომდინარეობს. საქმე ეხება იმას, თუ რამდენად გამართულად ფუნქციონირებს კოორდინაციის პრინციპზე დამყარებული კონფორმული სისტემა.

ეკონომიკური პოლიტიკის კონცეფციაში მოცემული წესრიგის პოლიტიკის ელემენტებზე განსაკუთრებით აისახება ის ზეგავლენა, რომელსაც ეკონომიკური პოლიტიკის ტენდენციებზე ახდენს საზოგადოების საბოლოო მიზნები და მათი ინტერესებიციები. ეკონომიკური წესრიგი, რომელიც საფუძვლად უდევს კონცეფციას, თვითმიზანი არ არის. იგი საზოგადოებაში არსებული ძირითადი შეხედულებების გამოხატულებაა. სწორედ ამის საფუძველზე უნდა გავიაზროთ რეგულირებადი ბაზრის ორი ასპექტი, რომელთაგან ერთი კოორდინირებული სისტემის მართვას უკავშირდება, მეორე კი იმის დადგენას გულისხმობს, თუ რამდენად არის

შესაძლებელი ეკონომიკურ-პოლიტიკური მოვლენების მართვა. გადაწყვეტილების მიღება დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ განისაზღვრება ეკონომიკური ასპექტით ინდივიდუალური თავისუფლება და სამართლიანობა. როდესაც აქცენტი კეთდება მოპოვებული სოციალური სტატუსის შენარჩუნებასა და სამართლიანობის შესახებ სუბიექტურ აღმაზე, მაშინ საბაზო კორდინაცია და მასზე დაფუძნებული კერძო საკუთრების ავტონომია გარკვეულ შეზღუდვასა და კორექტირებას საჭიროებს. მაგრამ თუ აქცენტი გადატანილია წარმატებაზე და ინდივიდის უნარზე, მიესადაგოს პროგრესის მომტან ცვლილებებს, მაშინ სუბიექტური ავტონომიის მაღალ დონესთან ერთად აუცილებელია მატერიალური სტიმულებიც არსებობდეს. მათ განაწილებას სრულიად განსხვავებული, მაგრამ ყველასთვის ასატანი და მისაღები შედეგები უნდა მოჰყვეს.

კონცეფციის რომ შეასრულოს თავისი ამოცანა და ეკონომიკური პოლიტიკის მოქმედების მყარ და გამძლე საფუძვლად იქცეს, აუცილებელია გრძელვადიანი პოლიტიკური კონსენსუსის უზრუნველყოფა. იგი უნდა ითვალისწინებდეს, რომ ეკონომიკა არის სისტემის სტრუქტურული რგოლი და ამ მხრივ მისი მიზნები უფრო მასშტაბური საზოგადოებრივი მიზნების შემადგენელი ნაწილია. ეკონომიკური პოლიტიკის კონცეფციის განხორციელებისას უნდა გავითვალისწინოთ, რომ პრაქტიკული ნაბიჯების გადასადგმელად საჭიროა: გარკვეული დრო; მისი შედეგები უნდა შეფასდეს მხოლოდ შედარებითი ანალიზით; გათვალისწინებული უნდა იქნეს ძირითადი და თანმხლები მოკლევადიანი და გრძელვადიანი ზემოქმედებები, რომლებმაც შესაძლებელია მიზანთა კონფლიქტები გამოიწვიოს. მათი მოგვარებისათვის კი აუცილებელია შემოწმდეს, ხომ არ შეიცვალა ძირითადი დორებულებების შესახებ არსებული შეხედულებები და მიღწეულ კონსენსუსს ნაწილობრივ ან მთლიანად ხომ არ გამოიცალა საფუძველი [Streit, 2005, გვ. 296].

აქედან გამომდინარე საჭიროა, რომ ეკონომიკური პოლიტიკის კონცეფციები მუდმივად მოწმდებოდეს და დროთა განმავლობაში მათში ცვლილებები შედიოდეს. ამავე დროს, კონკრეტულ გარემოებათა ზეგავლენით, მიუხედავად ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებლის ძალისხმევისა, შესაძლებელია, რომ კონცეფცია და ფაქტობრივი პოლიტიკა ერთმანეთს დაშორდეს. ამით კონცეფცია, როგორც პრაქტიკული მიზნების ორიენტირი, მნიშვნელობას როდი დაკარგავს. თუ მასზე უარს ვიტვით, მაშინ ჩვენს წინაშე შემდეგი კითხვა განხდება: რით უნდა ჩავანაცვლოთ იგი, თითქმის გაუაზრებელი ინტერესების საფრთხე თავიდან რომ ავიცილოთ? მსოფლიო აზროვნებაში სულაც არ იგრძნობა ისეთი მოდელების დეფიციტი, რომლებიც ადამიანთა თანაცხოვრების იდეალურ მდგომარეობას გვიხატავს. საუკუნეთა მანძილზე ყოვლისმომცველ საზოგადოებრივ ცვლილებებს ბიძგს სწორედ ასეთი უტოპიური აძლევდა.

ეკონომიკური პოლიტიკის კონცეფციის შექმნას იგივე მიზეზი აქვს, რაც საზოგადოება – ეკონომიკური პოლიტიკის ყველა პრობლემას. ესაა ფაქტობრივ მდგრადებელია მსარევენის მხარდაჭერის მოპოვება წარმომადგენლობით დამკრატიული კონცეფციების განხორციელება შესაძლებელი რომ გახდეს. ეს კი დამოკიდებულია როგორც იმაზე, თუ რამდენად მიმზიდველია მათ მიერ ჩამოყალიბებული მიზნები, ისე მათი მიღწევის საშუალებებზე. ისინი კი ტექნიკოლოგიის შესახებ მსჯელობების ანალიზმა უნდა ცხადყოს. სხვა მხრივ, რაკი საქმე ეხება მიზნებისა და საშუალებების ინდივიდუალურ შეფასებებს, შეუძლებელია ინტერესთა კონფლიქტები თავიდან ავიცილოთ. უმრავლესობის მხარდაჭერის მოსაპოვებლად აუცილებელია, რომ ისინი (მიზნები და მათი მიღწევის საშუალებები) საქმარის კომპრომისებსა და კომპენსაციებს გვთავაზობდნენ. გამორიცხული არ არის, რომ კონცეფციის ქმაგები შეფასებით მსჯელობებსა და მართვის შესახებ წარმოდგენებში საზოგადოებრივად ჩამოყალიბებული მიზნების, წესრიგის პოლი-

ტიკის პრინციპებისა და შესაბამისი მიზნისადმი კონფორმული საშუალებების საკუთარი კომბინაციით ხელმძღვანელობდნენ, რაც ძალზე წააგავს იდეალური კონცეფციის მოდელს. თუ ასეთი მოდელის მიხედვით შევაფასებთ, მაშინ მეცნიერული შემოწმებისას შეიძლება აღმოჩნდეს, რომ კონცეფცია, რომელსაც უმრავლესობის მხარდაჭერის მოპოვების უნარი აქვს, უმნიშვნელო კომპრომისს გვთავაზობს.

ეკონომიკური პოლიტიკის კონცეფციები და უტოპიური თეორიები

უტოპიური თეორიები, რომლებიც იდეალურ სახელმწიფოებს გვიხატავს, ეკონომიკური პოლიტიკის კონცეფციებისაგან თავიანთი უკომპრომისო ხასიათითა და იმითაც განსხვადება, რომ შეუძლებელია მათი მეცნიერული შემოწმება. უტოპიები ადამიანთა საზოგადოების იდეალურ მდგომარეობას ახასიათებს, რომელსაც „საზოგადოებრივ პარმონიას“ [Dahrendor, 1958, გვ. 88] უწოდებენ. ასეთ ნაშრომებში მოცემული „საზოგადოებრივი პარმონია“ არარეალურია, ამავე დროს აშკარაა მათი გაურკვეველი და უკომპრომისო ხასიათი. უტოპიებში წარმოდგენილია ცხოვრება, რომელშიც მშვიდობა სუვერენიტეტის, ადამიანის მოთხოვნილებები სრულად არის დაქმაყოფილებული, აღმოფხვდებოდა უთანასწორობა და არ არსებობს არავითარი ჩაგრა, დაქვემდებარება და მორჩილება.

ამგვარ პარმონიაში არ ხდება ინტერესთა შორის კონფლიქტები, რომელთა მოგვარება აუცილებელია იმისათვის, რომ საზოგადოებას არსებობის შესაძლებლობა ჰქონდეს. უტოპიურ საზოგადოებებში ყველა ინდივიდუალური შეხედულება პარმონიულად თანაარსებობს. სხვაგვარად მოაზროვნები, როგორც წესი, არ არსებობს. მათი არსებობის ცალკეული შემთხვევები კი პათოლოგიად ითვლება, ხოლო სხვაგვარად მოაზროვნე სამშობლოს მტრად ცხადდება. საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე, აუცილებელია მათი გადამზადება, ახლიდან აღზრდა და გამოსწორება. უტოპიებში ხშირად გაურკვეველია როგორ აპირებდნენ ინდივიდუალური შეხედულებების გრძელვადიან პარმონიზებას. რაც შეეხება ინტერესთა კონფლიქტებს, აგტორები თვლიდნენ, რომ მათი აღმოფხვრის ერთადერთი გზა საზოგადოებრივი პირობების რადიკალური ცვლილებაა. ამ ცვლილებებში ზოგიერთი სოციალისტურობისტი გულისხმობს კერძო საჯუთრების გაუქმებას და ახალი რელიგიის ან/და ამქრული ეკონომიკის რაღაც ფორმების შემოღებას. სხვების ლიბერალური პოზიციის მიხედვით კი საზოგადოებრივი ჯგუფების ინტერესთა შორის გრძელვადიანი პარმონია დაისადგურებდა თუ გავაუქმებდით ყველა ეკონომიკურ შეზღუდვას და არ შევაფრხებდით ეკონომიკური ცხოვრების ბუნებრივი „კანონების“ მოქმედებას (ჩაურეველობის პრინციპი). ინტერესთა შორის კონფლიქტების არარეალურის კიდევ ერთი საფუძველია აღზრდის ქმედითი მეოთხები და კონტროლის ეფექტიანი მექანიზმები.

საზოგადოების განვითარების უტოპიური მოდელის ძირითად სინქელეს წარმოადგენს მომავლის საზოგადოებებში გაბატონებული ტექნოლოგიების დეფიციტი. უტოპიებში ცდილობები გამოცდილების ბორკილების დამსხვრევას და მთელი სიცხადით წარმოგვიდგნენ იმას, რისი განხორციელებაც აქამდე არ მომხდარა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ტექნოლოგიების დეფიციტი არ ეხება მარტო უტოპიური საზოგადოების პროექტებს. საქმე ის არის, რომ უტოპიები არაფერს ამბობს იმის შესახებ, თუ ტექნოლოგიურად როგორ უნდა განხორციელდეს ისტორიაში მოცემული პერიოდის საზოგადოებიდან მომავლის საზოგადოებაზე გადასვლა. ამის დასადასტურებლად მართებულად მიგვაჩნია ეკონომიკურ ლიტერატურაში გამოქმული მოაზრებები, რომლის მიხედვითაც უშედეგოდ დასრულდა ლენინის მცდელობა, წარმოედგინა ის კონკრეტული ნაბიჯები, რომლებიც პროლეტარიატის რევოლუციის კომუნიზმამდე მიიგვანდა. იგივე მოუყვიდა პლატონისაც. როდესაც იგი თავის „სახელმწიფოს“ წერდა, დარწმუნებული იყო, რომ ათენისტური დემოკრატიის

გაუქმების შემდეგ არისტოკრატიული წესრიგი თავისთავად დამყარდებოდა. მაგრამ იგი თანდათან რწმუნდებოდა იმაში, რომ შეუძლებელია რეფოლუციის შედეგების წინასწარ განჭვრება.

უტოპიებში ჰარმონიის დამყარება შესაძლებელია მხოლოდ „ჩაკეტილ საზოგადოებაში“ (პოერი). უტოპიები ადამიანთა თანაცხოვრების იდეალურ მდგომარეობას გამოხატავს, სადაც ყოველგვარი ცვლილება (მათ შორის ტექნიკური პროგრესი) საფრთხეს უქმნის იდეალს. ამიტომაც უტოპიებს სტატიური ხასიათი აქვს და ასეთ მოდელებში საზოგადოება ცვლილობს გაემზადოს გარე სამყაროს. საზოგადოების შიგნით კი ცვლილობენ თავიდან მომზორონ განსხვავებული აზროვნებისა და განხეთქილების ჩამომგდები (Streit, 2005, გვ. 299). აქედან გამომდინარე, ეგზომ სანატრელი საზოგადოების „შექმნა“ ცალკეული დიქტატორის თვითმიზნად იქცევა ხოლმე. მათ ცნობიერებაში ადამიანთა სურვილები უნდა ემორჩილებოდეს იმ მიზნებს, რომლებსაც უტოპია განასახიერებს. ყველა უტოპია, დიდ მოაზროვნეთა მიერ გაცხადებული პრეტენზიის მიუხედავად, კოლექტივისტურ მსოფლმხედველობას წარმოადგენს.

უტოპიის მნიშვნელობა, უპირველეს ყოვლისა, იმაში მდგომარეობს, რომ იგი რადიკალურად უპირისპირდება არსებულ საზოგადოებრივ ურთიერთობებს და მათი კრიტიკის ფორმად გვევლინება. ეს ითქმის ორგორც პლატონისა და მორის, ისე თანამედროვე სოციალისტ-უტოპისტების შესახებ; მისი „პლევითი ხასიათი“ (Engelhardt, 1969, გვ. 666) გასათვალისწინებელია იმ ასპექტით, რომ გამოთქმულ მოსაზრებათა მეცნიერული დამუშავება მომავალში მოხდებს; პროგრამული ხასიათიდან გამომდინარე, უტოპია მოიცავს სასურველ მიზანთა კომბინაციებს, რომლებსაც მოქმედების უცვლელ პრიციპებად აცხადებს.

ეს ბოლო ასპექტი მნიშვნელოვანია იმით, რომ რაციონალურ ქმედებას წარმოადგენს [Popper, 1948/2002, გვ. 358]. იგი საშუალებას გვაძლევს, ნებისმიერი მოქმედების საბოლოო მიზანი მაქსიმალური სიცხადით წარმოვიდგინოთ. საზოგადოებასთან დამოკიდებულებაში ეს ქმედება მოითხოვს, რომ ნათლად გვქონდეს გაცნობიერებული მისი საბოლოო მიზნები. რა უნდა ვქნათ თუ მიზნები იცვლება, როდესაც ჩვენ ვცდილობთ მათთან მიახლოვებას? რას ნიშავს ის, რომ ჩვენი თანამედროვები სხვა იდეალებს იზიარებენ? რას ნიშავს ის, რომ ყველა თაობას თავისი ახალი იდეალები მოაქმნეს? ყველივე ეს უკვე ბადებს იმის შესახებ საერთოდ არსებობს თუ არა საბოლოო მიზანი. საკამათოა მიზნების მეცნიერულად ფორმირების შესაძლებლობა. ასეთი რამ კი უცვლებელია საზოგადოებისათვის, მათ საყოველთაო და განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე პრეტენზიის გასამართლებლად არ არის სადაცო აგრეთვე ის, რომ ზოგიერთი მიზანი, რომელიც ადრე მიღწეულად ითვლებოდა, მოგვიანებით განხორციელდა. მოქმედებათა რაციონალურობის თაობაზე მსჯელობა მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც თავიდანვე ნათელი წარმოდგენა გვაქვს მიზნებსა და მათ დირებულებაზე. გარკვეულ შეშფოთებას იწვევს ის, რომ მიზნის რეალიზებაზე მიმართული პოლიტიკური მოქმედების შედეგები შესაძლებელია საზოგადოებისათვის სახიფათო იყოს. ასეთი საფრთხეები კი იმაში მდგომარეობს, რომ:

- შესაძლებელია საზოგადოებას არ გააჩნდეს იდეალის ხორცშესხმის საკმარისი სულიერი და მატერიალური რესურსები და მხედველობიდან გამორჩეს უშუალო და კონკრეტული ნაკლოვანებების აღმოფხვრის აუცილებლობა;

- ზოგჯერ ახალი საზოგადოების შექმნას ხელისუფლება ცვლილობს იმ თაობათა დათრგუნვის ხარჯზე, რომლებსაც გარდამავალი ხიდის როლს დააკისრებს;

- შესაძლებელია სხვაგვარად მოაზროვნეთა ძალადობრივი გარდაქმნა და დამორჩილება გამართლებულ ტაქტიკად ჩაითვალოს, ვინაიდან ისინი საფრთხეს უქმნიან უტოპიური საზოგადოების იდეაბის ხორციელებას (Streit, 2005, გვ. 300).

სავარაუდოდ, საფრთხეებს ის გაურკვევლებებიც ემატება, რომლებიც დაკავშირებულია იმასთან, რომ უტოპიური მოქმედებათა ტექნოლოგიას მოკლებულია. იდეალის ხორციელებების მიზნით აურაცხელი საზოგადოებრივი ცვლილება განხორციელებულა. თუ მათ შესახებ საკმარის ინფორმაციას შევაგროვებთ, დავრწმუნდებით, რომ შეუძლებელია მათი რაციონალური შემოწმება. საქმე ის არის, რომ უტოპიურად ორიენტირებული პროგრამები ფსევდორაციონალურობით ხასიათდება. ძალზე ვიწროა ის სფერო, რომელსაც შეიძლება სოციალური ტექნიკა მივუყენოთ.

კონომიკური პოლიტიკა მოწოდებულია, თანმიმდევრული დიაგნოზირების საფუძველზე აღმოფხვრას კონკრეტული ნაკლოვანებები და აქედან გამომდინარე შედეგები შემდგომი მოქმედებებისას მაქსიმალურად გაითვალისწინოს. მან უნდა აჩვენოს ის, თუ როგორ უნდა მოხდეს სოციალურ ტექნიკაზე დაფუძნებული თანმიმდევრული რეფორმების განხორციელება [გველესიანი, 2013, გვ. 11-13]. იმ შემთხვევაში, თუ ეკონომიკური პოლიტიკის სფეროში არსებული პრობლემები რაციონალურად არის გააზრებული, მაშინ მათი განხორციელების ყოველი ეტაპი, ერთი მხრივ, ერთმანეთთან თანხმობაში უნდა იყოს. მეორე მხრივ კი, საზოგადოების მდგრადირეობისა და განვითარების შესახებ გლობალურ შეფასებებს უნდა შეესაბამებოდეს. ეკონომიკური პოლიტიკის კონცეფცია, როგორც ჩარჩო-პროგრამა, სწორედ ამ მიზანს ემსახურება. შეფასებებსა და ტექნოლოგიის ცოდნაში განხორციელებული ცვლილებების მიხედვით მისი გადამოწმება პერიოდულად უნდა მოხდეს.

სოციალური საბაზრო ეკონომიკის კონცეფციის წინააღმდეგობრივი მიზანი

ისტორიული ასპექტით სოციალური საბაზრო ეკონომიკის კონცეფცია ჩამოყალიბდა, როგორც რეაქცია:

- იმ მზარდესა და ორიენტაციას მოქმედებულ ინტერენტიონიზმზე, რომელსაც ახორციელებდნენ განვითარებული სახელმწიფოები თრივე მსოფლიო ომებს შორის პერიოდში;

- ცენტრალიზებულად მართვადი არაეფექტურის ეკონომიკის შესახებ დაგროვილ გამოცდილებაზე, რომელმაც სრულიად დაადასტურა მეცნიერულად ჩამოყალიბებული პროგნოზები;

- იმ სტრატეგიაზე, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდის პირველ წლებში ცდილობდა სიღარის აღმოფხვრას ბიუროკრატიულ-ეკონომიკური მეთოდებით.

სოციალური საბაზრო ეკონომიკის სულიერი მაჟები არიან ლიტერალი მეცნიერები, ე.წ. ფრაიბურგის სკოლის წარმომადგენლები: ფ. ბიომი, ვ. ოიკენი, ფ. მეიერი, ა. მიულერ-არმაკი, ვ. რიოპაკე და ა. რიცსტოვი. ლუდვიგ ერკარდი და ალფრედ მიულერ-არმაკი ის პირველებები არიან, რომლებმაც სცადეს მეცნიერული ვარაუდები პრატიკულ პოლიტიკაში გადაეტანათ.

ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკის თვალსაზრისით სოციალური საბაზრო ეკონომიკის კონცეფცია რეგულირებადი საბაზრო ეკონომიკის კონკრეტული ტიპის ჩამოყალიბების მცდელობაა. ამ კონცეფციის მიზანია, რომ „საბაზრო თავისუფლების პრინციპი სოციალურ თანასწორობასთან დააკავშიროს“ [Mueller-Armack, 1956, გვ. 390]. ამით აღიარებული იქნება ინდივიდუალური თავისუფლებისა და სამართლიანობის მიზნები. კონცეფციის დამოკიდებულება მირითად საზოგადოებრივ დირექტულებებთან კლინდება იმაში, რომ ეკონომიკის სფეროში ინდივიდუა-

ლური თავისუფლების განხორციელებისას გადაწყვეტილების მიღების ძალაუფლება მეტწილად გადადის კერძო ინდივიდების ხელში; თავისუფალი კონკურენციის შედეგების გაკონტროლება, უპირველეს ყოვლისა, ემსახურება სამართლიანობის, როგორც კველასთვის თანაბრად მისაღები პირობების უზრუნველყოფის ამოცანას; ეკონომიკური უსაფრთხოების ხელშეწყობა ინდივიდის საარსებო პირობებზე ზრუნვასაც გულისხმობს, რომელიც ხორციელდება როგორც ქონების დაგროვების, ისე სოციალური უსაფრთხოების უზრუნველყოფის გზით; პროგრესს ხელს უწყობს საბაზრო კოორდინაცია, რომელიც კონტროლირებადი ფასების საფუძვლებზე კონკურენციის ფორმით მიმდინარეობს. ცხადია, რომ როგორც თავისუფლებასა და სამართლიანობას, ისე უსაფრთხოებასა და პროგრესს შორის კონფლიქტების მოგვარებისათვის ეკონომიკური ზრდა უკეთეს პირობებს ქმნის [Streit, 2005, გვ. 301-302].

ეკონომიკური პოლიტიკის მიზნების განხორციელება ხელს უნდა უწყობდეს ძირითადი დირექტულებების რეალიზებას. „სოციალური ინტერვენციის რეგულირების პრინციპი“ [Mueller-Armack, 1956, გვ. 391] უპირველეს ყოვლისა, შინაარსობრივად შეესაბამება როგორც უქმოსავლებისა და ქონების სამართლიანად განაწილების, ისე სოციალური უსაფრთხოების პრინციპს.

სოციალური საბაზრო ეკონომიკის კონცეფციას საფუძვლად უდევს ორი მარტივი პრინციპი:

- საბაზრო კოორდინაცია ხორციელდება იმ პროცედურის საფუძველზე, რომელიც კონკურენციის პროცესში ფასების რეგულირებას გულისხმობს. მაგრამ ვინაიდან კონკურენცია თავისთვად არ გვაძლევს ამის საშუალებას, საჭიროა მისი ინსტიტუციური უზრუნველყოფა. საუბარია იმაზე, რომ „გამოირიცხოს კონკურენციის შეზღუდვა, გაკონტროლდეს მონოპოლიები, ოლიგოპოლიები და კარტელები და ამით - მომხმარებლის ინტერესებიდან გამომდინარე - ამაღლდეს კონკურენციის ეფექტიანობა“, [Mueller-Armack, 1956, გვ. 391];

- ეკონომიკურ-პოლიტიკური მართვის ღონისძიებები ემსახურება „სოციალურ მიზანდასახულობას და არ აფერხებს საბაზრო მუქანიზმის მუშაობას“ [Mueller-Armack, 1956, გვ. 391]. ამით დგინდება სისტემისადმი კონფორმულობა, როგორც ინსტრუმენტების გამოყენების კრიტერიუმი. განსხვავებული ზომების გამოყენება მოწმდება იმის მიხედვით თუ რამდენად შეასრულებენ ისინი მათზე დაკისრებულ ფუნქციას საბაზრო კოორდინაციის გაბატონებულ სისტემაში.

ეკონომიკური პოლიტიკის ამოცანები გადახაწილებულია ორ განსაკუთრებულ ინსტიტუტზე, რაც კონცეფციის კიდევ ერთი მასასიათებელია. ანტიმონოპოლიური სამსახურის ამოცანაა კონკურენციის უზრუნველყოფის მიზნით ღონისძიებათა გატარება, როგორც ეს განსაზღვრული უნდა იყოს კონკურენციის შეზღუდვათა აკრძალების შესახებ კანონით. მეორე ორგანიზაციია კი დამოუკიდებელი ცენტრალური ბანკია. სახელმწიფო ხელისუფლებისათვის უჭედად მასაზე კონტროლის ფუნქციის ჩამორთმევა უნდა გავიგოთ, როგორც ინფლაციური პოლიტიკის პრევენციის მცდელობა. ამ კონტექსტში უნდა გავიაზროთ „საოჯახო მუნიციპალიტეტის სტაბილურობის“ [Mueller-Armack, 1956, გვ. 391] პრინციპიც. ოუმცა თეორიასა და პრაქტიკაში ეს პრინციპი არ არის დაკონტრეტებული. გაურკვეველია, თუ რას ნიშნავს იგი კონკურენტურის პოლიტიკის ასპექტით. დაბოლოს, ზემოაღნიშვლ „სოციალური ინტერვენციის რეგულირების პრინციპთან“ ერთად უნდა დაგისახელოთ „საწარმოო სოლიდარობის“ პრინციპიც [Rüstow, 1953, გვ. 102]. იგი უნდა გავიგოთ, როგორც „მრომითი კანონმდებლობა, რომელიც ხელს უწყობს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მეწარმის მონაწილეობის გააქტიურებას.“

დასკვნა

სოციალური საბაზრო ეკონომიკის პრინციპებმა პოლიტიკური მნიშვნელობა მსოფლიოში მას შემდეგ შეიძინა, რაც ისინი 1949 წ. დიუსელდორფში გერმანულებმა (ქრისტიანულ-დემოკრატიულმა კავშირმა) თავისი ეკონომიკური პროგრამის ბირთვად გამოაცხადეს. ომის შემდგომ აერიოდში იგი ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის მიერ ფორმირებული ყველა მთავრობის პრაქტიკულ ეკონომიკურ პოლიტიკას წარმოადგენს. მასში გარკვეული შეზღუდვების შეტანისა და აქცენტების გადაადგილების შემდგომ, კონცეფცია თანდათან სოციალურ-დემოკრატიულმა ოპოზიციამაც გაიზიარა.

კონცეფციასა და რეალობას შორის გაჩენილი ღრმა ბზარი შესაძლებელია გლობალური კონტროლის შედეგი იყოს [Tuchtfeldt, 1973]. სოციალური საბაზრო ეკონომიკა, არსებითად უფრო მაღალ მოთხოვნებს უყენებს კონიუნქტურის პოლიტიკასა და მართვის შესახებ მოძღვრებას (ასევე „განხორციელების შესაძლებლობას“). გლობალური კონტროლი წესრიგის პოლიტიკის მიხედვით საბაზრო კოორდინაციის თავისებურ გაგებას ემუარება. სახელდობრ, იგი განისაზღვრება, როგორც ქცევის წესრიგის პოლიტიკაზე ორიენტირებული მოვლენა. ეს თვალსაზრისი არ ითვალისწინებს პოლიტიკის კანონზომიერებებს, როგორც ხელის შემშლელ უაქტორს, რომელიც არ გვაძლევს მართვის გეგმის თანმიმდევრულად გამოყენების შესაძლებლობას. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს გლობალურ კონტროლს დღემდე არ მოუტანია დამაჯერებელი შედეგი [Streit, 1981].

სოციალური სახელმწიფო თავისი შინაარსით ხელს უწყობს სუბსიდირების პრინციპის თანდათანობით განდევნას, რაც პოლიტიკური კონკურენციის შედეგია. კონცეფციის გადატვირთვასა და გამოფიტვას განაპირობებს მწვავე პრობლემა, რომელიც დემოკრატიის ერთ განსაზღვრულ ფორმას უკავშირდება. საუბარია კეთილდღეობის სახელმწიფოსა და დემოკრატიის იმ ფორმაზე, რომელიც მას (უმრავლესობის კეთილდღეობას) ემყარება. ეს პრობლემა საკითხის ეთიკური ასპექტის მიჩქმადვას იწვევს. ზოგჯერ კი მას ტაბუ და აქცევს. საქმე ეხება განსხვავებულ ინტერესთა ჯგუფების პოლიტიკურ უგულებელყოფასა და მათ მიმართ ოპორტუნისტულ რეაქციას. რასაც ისიც აძლიერებს, რომ უმრავლესობის ინტერესთა ჯგუფები (ტნ-ის ეკონომიკური ინტერესები) და პოლიტიკური აქტიორები ერთმანეთთან კავშირში არიან როგორც პერსონალურად, ისე ფინანსურად [Streit, 2003].

კონცეფციასა და რეალობას შორის გაჩენილი „ბზარის“ აღმოსაფერებლად აუცილებელია ამ დაბრკოლებების იდენტიფიცირება და თავიდან აცილება. ამისათვის კი საჭიროა: მათი თავიდან აცილების ტექნოლოგიის ცოდნის გაუმჯობესება. როგორც ეკონომიკურ ურთიერთზემოქმედებათა, ასევე პოლიტიკური ნების ფორმირების პროცესის თვალსაზრისით; როგორც ეკონომიკური პოლიტიკის ინსტრუმენტარიუმის, ისე პოლიტიკური მეთოდების გაუმჯობესება.

კონკრეტულად უნდა შემოწმდეს, შესაძლებელია თუ არა: ეკონომიკურ-პოლიტიკურ აქტივობათა გარდაუგალი კოორდინაციის გაუმჯობესება, როდესაც ეკონომიკური პოლიტიკის უამრავი გამტარებელი არსებობს; ინტერესთა ჯგუფების ზეგავლენის შეზღუდვა ეკონომიკურ-პოლიტიკური ნების ფორმირების პროცესზე; გადაწყვეტილების გამტარებელთა მართვის ცოდნის გაუმჯობესება ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებათა შედეგების კონტროლის საფუძველზე. ააღვილებს თუ არა ეს პოლიტიკური პასუხისმგებლობის იდენტიფიცირებას და მათვის (საჭიროების შემთხვევაში) სანქციების დაკისრების შესაძლებლობას [გველესიანი, გოგორიშვილი, 2012, გვ.146].

ამავე დროს, აუცილებელია იმის გაცნობიერება თუ რა არის, როგორც ეკონომიკური პოლიტიკის კონცეფციის რეალიზებისა და მისი შემდგომი განვითარების, ისე ეკონომიკური და საზოგადოებრივი წესრიგის შესახებ შეხედულებათა ჩამოყალიბების მთავარი წანამდვარი. სწორედ ეს არის რაც შეიძლება ფართო კონსენსუსი იმ ძირითადი ღირებულებების შინაარსისა და მასშტაბის თაობაზე, რომლის რეალიზაციაც საზოგადოებას სურს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. TUCHTFELDT, E. (1973), Soziale Marktwirtschaft und Globalsteuerung in ders. (Hrsg.): Soziale Marktwirtschaft im Wandel, Freiburg. S. 159-188.
2. TUCHTFELDT, E. (1981), Wirtschaftspolitik, in: Handwoerterbuch der Wirtschaftswissenschaft, Bd. 9, Stuttgart u. a., S. 202.
3. STREIT, M. E. (1981), Demand Management and Cataclysm – Reflections on a Poor Policy Record. Ordo, 32, S. 17-34.
4. STREIT, M. E. (2003), Menschliches Wissen - Dimensionen eines komplexen Phaenomens, in: ORDO 54, S. 113-122.
5. STREIT, M. E. (2005), Theorie der Wirtschaftspolitik, 6. Auflage, Stuttgart. p. 296; 299; 300; 301-302; 307.
6. რ. გველესიანი, ი. გოგორიშვილი. 2012. ძირითად საზოგადოებრივ ღირებულებებთან ეკონომიკურ-პოლიტიკური გადაწყვეტილებების შესაბამისობა, თბილისი, გვ.146.
7. რ. გველესიანი. 2013. ეკონომიკური პოლიტიკის საშუალებათა რაციონალური გამოყენების ლოგიკა, ქურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი, N1, თბილისი, გვ.17-30.
8. რ. გველესიანი, თანმიმდევრული და ეტაპობრივი რეფორმების სოციალური ტექნიკა, ქურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი,” N6, თბილისი, 2013, გვ. 11-22.
9. რ. გველესიანი, ძირითად საზოგადოებრივ ფასეულობათა შორის არსებული წინააღმდეგობები და მათი დაძლევის პროცესი, ქურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი,” ტომი X, N1, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2017, გვ.14-24.
in compliance with international and European norms and principles. The pace of development of these relations will depend entirely on Georgia's commitment and the specific successes that the country will achieve in the implementation of the obligations taken.

References

1. I. Lashkhi, T. Pataraia, G. Gabrielashvili, A. Imnashvili - Project of Open Society Georgia Foundation - "Georgian Railway LLC - Drafting an Analytical Report";
2. State Program for "Strong, Democratic, United Georgia" - Government of Georgia The main data and directions of the country for 2016-2019;
3. Office of the State Minister on European and Euro-Atlantic Integration - "Georgia's Progress Report on Implementation of ENP Action Plan and the EaP Roadmaps" - 2014;
4. European Commission, Directorate-General for Communication Citizens Information - THE EUROPEAN UNION EXPLAINED - "Transport" - 2014;
5. ASSOCIATION AGREEMENT between the European Union and the European Atomic Energy Community and their Member States, and the Georgia, of the other part - Official Journal of the European Union - 2014;
6. http://europa.eu/pol/trans/index_en.htm
7. <http://www.economy.ge>
8. http://eeas.europa.eu/georgia/pdf/quick_guide_eu_ge_aa_en.pdf
9. http://www.enpi-info.eu/maineast.php?id=272&id_type=10

ბორის გითოლენდია

პიზნის ადმინისტრირების დოქტორი, საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

საქართველოს სატრანსპორტო სისტემის ევროპულ და საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოებისა და შემდგომი თავსებადობის გზები

რეზიუმე. ბოლო წლებში საქართველომ მნიშვნელოვნად გააღმავა ურთიერთობა ევროკავშირთან, რომელიც ამ დროისთვის განხტარებულია საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობის ისტორიაში არსებული, ყველაზე მძლავრი და ყოვლის მომცველი ქ.წ. „საქართველო-ევროკავშირის ასოცირების“ ხელშეკრულებით, რომლის გაფორმებით საქართველო-ევროკავშირის შორის ურთიერთობები თვისებრივად ახალ, ისტორიულად უპრეცედენტო დონეზე გადავიდა. „ასოცირების შესახებ შეთანხმების“ VI კარი ეხება ტრანსპორტსა და მასთან დაკავშირებულ საკითხებს და ის, პირველ რიგ ში, ტრანსპორტის სფეროს მოდერნიზებასა და ეკონომიკული სტანდარტების დანერგვას თვალისწინებს. წარმოდგენილ სტატიაში განხილულია საქართველოს სატრანსპორტო სისტემის ეკონომიკულ და საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოებისა და შემდგომი თავსებადობის გზები და რეკომენდაციის სახით შემოთხვებულია კონკრეტული წინადაღებები. სტატია მომზადებულია შორის რესტაციების ეროვნული სამუნიცირო ფონდის ახალგაზრდა მუცნიერთა გრანტის (N YS-2016-41) საფუძველზე.

საკვანძო სიტყვები: ტრანსპორტი, სტანდარტი, ინფრასტრუქტურა, რეგულაციები, რეკომენდაციები, საქართველოს ტრანსპორტი.

შესავალი

სამხრეთ კავკასიის ქვეყნების, მათ შორის საქართველოს, როლს და პოლიტიკურ და კულტურულ პროგრესს სოდითგანვე განაპირობებდა მისი გეოგრაფიული მდებარეობა, კერძოდ, კასპიის, შავი და ბეჟლთაშუა ზღვების აუზებთან მოსაზღვრეობა და ის უმოკლესი საფარის ხიდი, რომელიც ამ ტერიტორიაზე გადიოდა და აკაგშირებდა აზიასა და ევროპას. საბჭოთა იმპერიის პერიოდში კავკასიის რესპუბლიკების ეკონომიკა, მათ შორის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა, მხოლოდ ქვეყნის განაპირა, ჩიხურ და/ან ქვეყნის შიდა დანიშნულების ობიექტებს მიეკუთვნებოდადა პრაქტიკულ დირექტულების არ წარმოადგენდა დანარჩენი მსოფლიოს ეკონომიკური განვითარებისა და გლობალური ინტეგრაციის თვალსაზრისით.

ბუხებრივია, საგარეო ეკონომიკური კავშირების სრულყოფა ყოველი ქვეყნის ეკონომიკური ეფექტურობის ზრდის უდიდესი რეზერვია. საგარეო ეკონომიკური კავშირების კონტექსტში ევროკავშირის ბაზარი, სხვადასხვა უპირატესობებიდან გამომდინარე, მიმზიდველია საქართველოსათვის. ასევე, თუ გავითვალისწინებთ იმ ღონისძიებათა კომპლექსის სიდიდესა და მნიშვნელობას, რომელსაც ტრანსპორტი უზრუნველყოფს ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკაში, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს სატრანსპორტო სისტემის სრული მოდერნიზაცია და ეკონომიკულ და საერთაშორისო სტანდარტებთან დააპირებება, რეგიონული ინტეგრაციის ჭრილში შეიძლება გახდეს ეკონომიკის შემდგომი განვითარებისა და ეროვნული გრძელებადიანი მიზნების მიღწევის საკვანძო წერტილი და მძლავრი ინსტრუმენტი.

ეკონომიკური გლობალიზაციის გადამავების პირობებში ქვეყნებს შორის კავშირი წარმოუდგენელია განვითარებული და საერთაშორისო სტანდარტების სატრანსპორტო სისტემის გარეშე. სტრატეგიული გეოგრაფიული მდებარეობის გათვალისწინებით, ამ ეტაპზე საქართველოს გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს

გლობალურ სამქაროში ქვეყნის როლის ახლებური გააზრება და მისთვის დამატებითი საერთაშორისო ფუნქციის შეძენის აუცილებლობა, ეს კი, სხვადასხვა საკითხებთან ერთად, შეუძლებელია მიღწეულ იქნეს საქართველოში ყველა სახის მაღალი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად განვითარებული ტრანსპორტის და მისი ევროპულ სისტემებთან ურთიერთობაშებადობის გარეშე. ამ კონტექსტში უნდა აღინიშვნოს, რომ უზარმაზარი უპირატესობებიდან გამომდინარე, ცნობილია, რომ ევროკავშირში ინტეგრაციის წინაპირობას გარკვეული ეკონომიკური და ინსტიტუციური რეფორმების გაზარება წამოადგენს, დაწესებულია მთვლი რიგი კრიტიკული მემკვიდრეობის, რისი დამაყოფილების გარეშე ევროკავშირის წევრობა და რეგიონული ინტეგრაცია შეუძლებელია.

თავის მხრივ, ევროკავშირის ტრანსპორტის პოლიტიკა ამჟამად იმყოფება განვითარების გარდატეხის პერიოდში. მისი მომავალი დამოკიდებულია ტრანსპორტის რაციონალურ გამოყენებაზე, გადაზიდვების მულტიმოდალურ განვითარებაზე, კონკურენციის ამაღლებაზე, ევექტურობაზე, მგზავრების გადაყვანის კომფორტზე და სისწრავეზე, ტრანსპორტზე შემთხვევაზებული მომსახურებების გაუმჯობესებაზე, გარემოზე ტრანსპორტის მავნებელი გავლენის შემცირებაზე. დღევანდელი მოთხოვნები ევროკავშირის სატრანსპორტო პოლიტიკასთან დაკავშირებით, მოკლედ შეიძლება ფორმულირდეს შემდეგი სტანდარტების სახით: ეფექტურობა, უსაფრთხოება და გარემოს დაცვა.

სწორედ ამიტომაც, საქართველოსთვის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და ევროპულ სტანდარტებთან მიახლოება უნდა იყოს და არის უმნიშვნელოვანები სტრატეგიული ამოცანა, მით უმეტეს, ეს აუცილებელია ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარებისთვის.

ვაქტობრივად, საქართველოს მიზანია ტრანსპორტის ინტეგრაცია ევროპულ სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაში, მისი აღიარება ევროპული სატრანსპორტო სისტემის განვითარების ნაწილად. თავის მხრივ ევროკავშირი ითვალისწინებს საქართველოს ევროპულ მისტრატეგიებს. ევროკავშირი მიესადმება საქართველოს მზადყოფნას, გააღრმავოს თანამშრომლობა ყველა, მათ შორის, ტრანსპორტის, სფეროში.

სტატია მომზადებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ახალგაზრდა მეცნიერთა გრანტის საფუძველზე (N YS-2016-41).

* * *

როგორც ცნობილია, საეკიალური პროგრამების მხარდაჭერით (როგორიცაა, მაგალითად, TRASECA და INOGATE და სხვა), ბოლო ოცნებელის მანძილზე ევროკავშირმა, ევროპის ცალკეულმა სახელმწიფოებმა და ევროპულმა კომპანიებმა უზრუნველყველ მნიშვნელოვანი დონისძიებების ჩატარება საქართველოში ყველა სატრანსპორტო სახეობის და ზოგადად, სატრანსპორტო სისტემის და ენერგეტიკული პროექტების შექმნის, განახლებისა და მოდერნიზებისათვის. ასევე, ბოლო წლებში საქართველომ მნიშვნელოვნად გააღრმავა ურთიერთობა ევროკავშირთან, რომელიც ამდროისთვის განმტკიცებულია საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობის ისტორიაში არსებული, ყველაზე მძლავრი და ყოვლისმომცველი ე.წ. „საქართველო-ევროკავშირის ასოცირების“ ხელშეკრულებით (შეთანხმებას ოფიციალურად ეწოდება „ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთი მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებასა და მათ წევრ სახელმწიფოებს და მეორე მხრივ, საქართველოს შორის“), რომლის ნაწილიცაა “დრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალ სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება“ (DCFTA). ხელშეკრულების გაფორმებით საქართველო-ევროკავშირს შორის ურთიერთობები თვისებრივად ახალ, ისტორიულად უპრეცედენტო დონეზე გადავიდა.

ასოცირების შეთანხმება ასევე მოიცავს „ღრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალ საგაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებას“, რომელიც აღგენს თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმს საქართველოსა და ევროკავშირს შორის და შეიცავს იმ ძირითად ეკონომიკურ და საგაჭრო მქანიზმებს, რომელიც, პირველ რიგში, საქართველოსთვის არის სასარგებლო და მომგებიანი.

საქართველომ აიღო ვალდებულებები, რომ დასახული მიზნის მისაღწევად უზრუნველყოფს რეფორმებს ყველა მიმართულებით, მათ შორის, ტრანსპორტის სფეროში ევროკავშირის საერთო ევროპული სატრანსპორტო პოლიტიკის სახელმძღვანელო დოკუმენტებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით.

საქართველოსა და ევროგაერთიანებას შორის დადებული „ასოცირების შესახებ შეთანხმების“ VI კარი ეხება ტრანსპორტის კუთხით თანამშრომლობას. ხელშეკრულებაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს ტრანსპორტი და მასთან დაკავშირებული საკითხები. ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმების ხელშეკრულება, პირველ რიგში, ტრანსპორტის სფეროს მოდერნიზებას და ევროპული სტანდარტების დანერგვას ითვალისწინების.

სპეციალური ლიტერატურისა და წყაროების დამუშავების შემდეგ სტატიაში წარმოვადგენთ ზოგიერთ რეკომენდაციასა და ხედვას საქართველოს სატრანსპორტო სისტემის ევროპულ და საერთოშორისო სტანდარტებთან დაახლოებისა და შემდგომი თავსებადობის გზების მიმართულებით:

1. პირველ რიგში, დასახული მიზნის მისაღწევად აუცილებელია, საქართველოს მთავრობამ გამოავლინოს პოლიტიკური ნება და სურვილი, აქტიურად იმუშაოს არსებული პოლიტიკების გადაწყვეტაზე, ტრანსპორტის სახეობების მკვეთრი დონეზე სათანადო ფინანსირებაზე, სატრანსპორტო პოლიტიკის, ევროკავშირის ქვეყნებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობის გაღრმავების, დარგის კოორდინირებული განვითარებისა და სახელმწიფოთაშორისო შეთანხმებების განხორციელებაზე. ამ მხრივ, დღევანდებული მდგრმარეობით, ჰქონდა ეს მნიშვნელოვანია „საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმება“, სადაც საქართველო იღებს ვალდებულებას, განსაზღვრულ ვადებში ეტაპობრივად დაუახლოვდეს საერთაშორისო სამართლებრივ და ტექნიკურ ინსტრუმენტებს სხვადასხვა, მათ შორის ტრანსპორტის, სფეროში.

უკეთ მიმართულებით შედეგების მიღწევის ხარისხი მთლიანად დამოკიდებულია საქართველოს მთავრობის უნარზე, შეძლოს რეკომენდაციებისა და პრიორიტეტული რეფორმების განხორციელება საერთაშორისო და ევროპული ნორმებისა და პრინციპების შესაბამისად.

2. იმისათვის, რომ ტრანსპორტის ევროპულ სისტემებთან ურთიერთთავებული დანერგვის საკითხები გადაწყვდეს და საქართველოს სატრანსპორტო სისტემა აქტიურად ჩაერთოს საერთაშორისო სტრანსპორტო ქსელში, საჭიროა საქართველომ განვითაროს სათანადო საკანონმდებლო ბაზა, განსაზღვრულ ვადებში ეტაპობრივად დაუახლოვოს თავისი კანონმდებლობა ევროკავშირის კანონმდებლობასა და საერთაშორისო სამართლებრივ ინსტრუმენტებს სხვადასხვა, მათ შორის ტრანსპორტის, სფეროში და მოხდეს შესაბამისი კანონების, ნორმატიული აქტების, ტექნიკური რეგლამენტებისა და მარეგულირებელი წესების ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციაში.

ასოცირების შესახებ შეთანხმების შესაბამის თავს ახლავს დანართები, რომელშიც მოცემულია ევროკავშირის კონკრეტული სამართლებრივი აქტები და მათთან საქართველოს კანონმდებლობის დაახლოების ვადები, რაც საქართველომ უნდა შეასრულოს შეთანხმებული ვადების მიხედვით. საუბარია ტრანსპორტის ოთხი ძირითადი დარგის – საავტომობილო, სარკინიზო, საზღვაო და საპარო ტრანსპორტის სფეროებში არსებული კანონმდებლობის ევროპულ კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციასა და მათი აღსრულების მექანიზმების შექმნაზე. საქართ-

კვლეოს სატრანსპორტო საქმიანობა სამართლებრივად აუცილებლად თავსებადი უნდა იყოს ამ სფეროს საერთაშორისო კანონმდებლობასთან.

მიგვაჩნია, რომ აუცილებელია საქართველომ შექმნას ტრანსპორტის განვითარების სტრატეგიული ეროვნული დოკუმენტი - საქართველოს ტრანსპორტის ეროვნული პოლიტიკის შესახებ კ.წ. „ეროვნული სატრანსპორტო სტრატეგია“, სადაც იქნება ჩამოყალიბებული ქავენის ეკონომიკის განვითარების ხედვა სატრანსპორტო სექტორში არსებული გამოწვევების გათვალისწინებით. აქევ უნდა აღინიშვნოს, რომ საქართველოს მთავრობა ამჟამად მუშაობს აღნიშნული დოკუმენტის შექმნაზე.

3. უკრაინება უნდა მიექცეს საერთო საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას. კერძოდ:

✓ საჭირო საგზაო ინფრასტრუქტურული დონისძიებები უნდა მოიცავდეს საერთაშორისო, შიდასახელმწიფო ბრივი და ადგილობრივი მნიშვნელობის გზების სამუშაოებლო და სარეგულირაციო სამუშაოებს;

✓ უნდა კონტროლდებოდეს გზების დიზაინისა და მახასიათებლების დაახლოება საერთო შორისო სტანდარტებთან;

✓ აუცილებელია დაზიანებული და შემდგომ რეაბილიტირებული მონაკვეთების მონიტორინგი, სახიდე გადასასვლელებისა და სხვა ხელოვნური ნაგებობების ადგენითი და სარეალისტურული სამუშაოების უწყვეტად გაგრძელება.

✓ აგვიმაგისტრალებისა და გზების გასწორივ განლაგებულ კომერციულ და სერვისულ ობიექტებთან მისასვლელი მეორეხარისხოვანი და რაიონულ ცენტრთან მისასვლელი საავტომობილო გზების, ძირითად საკურორტო, ისტორიულ და კულტურულ ძეგლებსა და მოსაზღვრე ქაფენებთან მისასვლელი გზების და საბაზისო ინფრასტრუქტურის შემდგომი სრული რეაბილიტაცია და განვითარება და ა.შ.

4. მნიშვნელოვანია, გაგრძელდეს აქტიური მუშაობა საქართველოს გზებზე საგზაო უსაფრთხოების გაუმჯობესის მიმართ ულებით.

✓ სასწრაფოდ უნდა იქნეს შემოღებული ავტომანქანების სავალდებულო ტექნიკური დათვალიერება ყველა სახეობის ტრანსპორტისათვის, რათა ყველა ავტომობილის ტექნიკური მდგომარეობა ევროსტანდარტებთან მაქსიმალურად მოვიდეს შესაბამისობაში.

✓ საერთაშორისო ლოგისტიკურ სისტემებში შეტყოფილი ხაროვნებისა და ურთიერთობაზე უძრუნველყოფად საჭიროა სკანორეველოს სავტომობილო პარკის მოდერნიზაცია და მომსახურების კოროპულ სტანდარტებზე გადასვლა.

✓ საერთაშორისო გადაზიდვებში მონაწილე ავტოსატრანსპორტო საშუალებები აღჭურვილი უნდა იყოს ბორგული დიაგნოსტიკისა და მოძრაობის რეკომენდის აღმრიცხველი ე.წ. ტახომეტრებით, მოძრაობის და ექლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფის მაღალევექტირი მოწყობილობებით, გაბარიტებით, წონით და ტექნიკური უნიფიცირების სხვა საშუალებებით (აღნიშნული საკითხი ამჟამად საჭართველოს ქანონმდებლობით უკვე რეგულირებულია).

✓ ეკრორეგულაციებით ტექნიკური პირობების შესრულებისას ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნაა საავტომობილო ტრანსპორტის, კერძოდ, სატყირო და სამგზავრო გადაზიდვების (9-ზე მეტი ადამიანი) ავტომობილებზე სიჩქარის შეზღდვის მოწყობილობასთან დაკავშირებული რეგულაციების აღსრულება. რეგულირებას და კონტროლს უნდა დაექვემდებაროს ტვირთის წონაც და სახიფათო ტვირთების გადაზიდვები (აღნიშნული საკითხი ამჟამად საქართველოს კანონმდებლობით რეგულირებულია).

✓ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სატრანსპორტო საშუალებების უსაფრთხოების პირობების დაცვას.

5. ევროპულ და საერთაშორისო სტანდარტებთან საქართველოს სატრანსპორტო სისტემის დახლოებისა და აღაპტირების სტრატეგიის წარმატებით განხორციელების მიზნით მნიშვნელოვანია, გათვალისწინებული იყოს სოციალური ასპექტები, რომლებიც ეხება ტრანსპორტის ყველა დარღვეული მომუშავეთა სოციალური პირობების გაუმჯობესებას, კერძოდ:

✓ მნიშვნელოვანია სატრანსპორტო საშუალებების მძღოლების, მატარებლის მემანქანების, პილოტებისა და მეზღვაურების წინასაკვალიფიკაციო გადამზადების, სერტიფიცირების ღონისძიებების გატარება და შემდგომი განვითარების პროექტების ხელშეწყობა.

✓ სისტემაში დასაქმებულთა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი შრომითი პირობების, სამუშაო და დასვენების საგალდებულო დროისა და საათების მკაცრი დაცვა და მონიტორინგი.

✓ მნიშვნელოვანია შემოღებულ იქნეს საქალაქოაშორისო და საერთაშორისო მარშრუტებზე მძღოლების წინასამარშრუტო შემოწმების მოთხოვნა ალგორითმზე და ნარკოლოგიურ ნივთიერებებზე.

✓ აუცილებელია სხვადასხვა კატეგორიის მართვის მოწმობების გაცვისას სატრანსპორტო საშუალების მართვის ტესტების მოთხოვნების მიახლოება ეგროპულ სტანდარტებთან და საატესტო დამატებითი ღონისძიებების მკაცრი კონტროლი.

✓ გადასაჭრელია საკითხები მგზავრთა უფლებებისა და ვალდებულებების, ასევე საზოგადოებრივი ტრანსპორტის მომსახურებების შესახებ.

6. დღეისათვის ქვეყნის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს უნდა წარმოადგენდეს უცხოური ინგენიერების მოზიდვა და მისი სატრანსპორტო სფეროში განთვალისწინება. შესაბამისი გამოკვლევისა და დასაბუთების შემდეგ ხელი უნდა შეეწყოს სათანადო სტანდარტის ლოგისტიკური ცენტრების მშენებლობას სასაზღვრო ტერიტორიებზე, სააგენტოებილო და სარკინიგზო სადგურებსა და აეროპორტების მიმდებარევდ, ასევე, კომპლექსურად თავმოყრილი სამრეწველო ობიექტების (ქარხების) არეალში.

7. ხელი უნდა შეეწყოს სარკინიგზო ტრანსპორტის სატვირთო გადაზიდვების მომსახურების გაუმჯობესებას საზღვრის გადაკვეთის პროცედურებთან დაკაგშირებული საკითხების ჩათვლით.

რკინიგზის ტრანსპორტის ეფექტური დონისძიების გატარება, რათა რკინიგზას უფრო მძიმე ტვირთების სწრაფი ტრანსპორტირების საშუალება მიეცეს.

✓ მნიშვნელოვანია დაზიანებული რელეების, მოძრავი შემადგენლობისა და ვაგონების განახლება, ხიდებზე და გვირაბებში დრენაჟის სისტემის გამყარება.

✓ საქართველოს რკინიგზაში არსებული ძეგლი სადისპენსო სისტემის ახალი ციფრული საკომუნიკაციო და სასიგნალო სისტემით შეცვლა, რაც გააუმჯობესებს კომუნიკაციას და უზრუნველყოფს მატარებლების უფრო მობილურ და დროულ გადადგილებას.

✓ აუცილებელია უწყვეტად ჩატარდეს შიდა მაგისტრალებისა და ელექტრომომარაგების რეაბილიტაციისა და მოდერნიზაციის ღონისძიებები.

ამ ღონისძიებების გატარება მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს ტექნიკური და უსაფრთხოების პირობები და ურთიერთობავსებადობა ერთიან ევროპულ სარკინიგზო ზონასთან, რათა მოხდეს ბაზრის გახსნა და ინფრასტრუქტურაზე დაშვება. ევროპულ სტანდარტებთან დაახლოების მიზნით აუცილებელია რკინიგზის ინფრასტრუქტურაზე ქომანიების დაშვებისთვის ტარიფების დადგენა.

8. საქართველოს სატრანსპორტო სისტემა წარმოუდგენელია საზღვაო პორტების განვითარების გარეშე. საზღვაო ტრანსპორტის განვითარებისათვის:

✓ საჭიროა საზღვაო ინფრასტრუქტურის მენეჯმენტის სტანდარტების კიდევ უფრო მეტად მიახლოება საერთაშორისო წესებისა და კონვენციების შესაბამისობათან.

✓ შეიძლება დოკუმენტაციის რაოდენობა, გაიზარდოს მისი ინფორმაციული მომცველობა, მოხდეს გადაწყვეტილებათა მიღების დროის შემცირება და ხარისხის ამაღლება.

✓ განხორციელდეს პორტის სახელმწიფო კონტროლისა და სადროშო პოლიტიკის მოთხოვნების, აგრეთვა, ტანკერების უსაფრთხოების შესახებ „საზღვაო გარემოს დაცვის კომიტეტისი რეზოლუციებისა და „საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციისი (IMO) შესაბამისი საერთაშორისო კონვენციების მოთხოვნათა ეფექტიანი და მკაცრი მონიტორინგი.

✓ საქმიანობის კონტროლის მიზნით კარგი იქნება პორტებში ამოქმედდეს შიდა აუდიტორების სისტემა, რომელიც ყოველ წელს ჩატარებს შესაბამის ანალიზს.

9. რაც შექება ავიაციის მიმართულებით გასატარებელ კონკრეტულ დონისძიებებს, საპატიო ტრანსპორტის სექტორში ეფუძნება მიმართულებით განვითარებულ „ერთო მხრივ, ევროკავშირსა და მის წევრ ქვექნებს შორის და მეორე მხრივ, საქართველოს შორის ერთიანი საპატიო სივრცის შესახებ“ შეთანხმების მოქმედების ქვეშ, შესაბამისად:

✓ უნდა დაჩქარდეს ავიაციის სფეროში არსებული მარეგულირებელი სისტემის საერთაშორისო ნორმებთან დაახლოების ტემპი.

✓ მკაცრად კონტროლდებოდეს უსაფრთხოების საკითხები.

✓ წახალისდეს ქართული ავაიკომპანიების შიდა ფრენები განსაკუთრებით ტურისტულად აქტიურ ზონებში.

✓ მნიშვნელოვანია განხორციელდეს შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოების შედმიწი კონტროლი ევროკავშირის შესაბამისი კანონმდებლობის იმპლემენტაციის განხორციელების პროცესში.

10. დღეს ევროპული სტანდარტის სატრანსპორტო პოლიტიკის ერთ-ერთი ფუნდამენტური და უმთავრესი მოთხოვნაა გარემოზე ყველა სახეობის ტრანსპორტის უარყოფითი ზემოქმედების შემცირება და მდგრადი ტრანსპორტის განვითარება. ამ მიმართულებით ევროლიტეტივების გათვალისწინებით, ერთ-ერთი პრიორიტეტული ამოცანაა, საქართველოში განვითარდეს მდგრადი სატრანსპორტო სისტემები, რომლებიც მოიცავს ტრანსპორტის ყველა ტიპს. განსაკუთრებით ხელი უნდა შევწყოს ეკოლოგიურად სუფთა, ეფექტურ და უსაფრთხო სატრანსპორტო სისტემების უზრუნველყოფას.

ჰაერის სისუფთავის ხარისხი და ჰაერის დაბინძურებაში ტრანსპორტის წილის შემცირება მნიშვნელოვანი გამოწვევაა საქართველოსთვის. მდგრადი განვითარება არა მხოლოდ კონკრეტული პრობლემების დაძლევას, არამედ კონკრეტული მიღების დანერგვასაც გულისხმობს. კერძოდ:

✓ უნდა მოხდეს საწვავის ხარისხის მკაცრი კონტროლი.

✓ მწვანე ტრანსპორტის განვითარებისა და მდგრადი ენერგიის გამოყენების ხელშეწყობა.

✓ ძირითადი სატრანსპორტო საშუალებებისა და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურისა და ლოჯისტიკურ ცენტრებში ჰაერის დაბინძურების წინააღმდეგ შესაბამისი კანონმდებლობის გამკაცრება.

✓ შესაძლებელია სხვადასხვა გზებით წახალისდეს ტრანსპორტის სფეროში ჩართული ბიზნესის სოციალურ და გარემოსდაცვითი ოვალსაზრისით სასარგებლო საქმიანობა და ა. შ.

წინამდებარე ნაშრომში ზოგადი და კონკრეტული საკითხების ანალიზი საშუალებას იძლევა აღინიშნოს, რომ საქართველოს სატრანსპორტო სისტემის სრულყოფისა და მისი ეკონომიკური სტანდარტებთან დაახლოების პრობლემები აქტუალურია როგორც პოლიტიკური და ეკონომიკური, ასევე პრაქტიკული ოვალსაზრისით.

დასკვნა

მსოფლიოში მიმდინარე გლობალური პროცესები და განვითარების ტემპი საქართველოს განვითარების შესაძლებლობებს კარდინალურად ცვლის და სწრაფად პროგრესირებას მოითხოვს. განსაკუთრებით იზრდება საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების როლი. დღეს, როგორც არასდროს, ყველა დარგში მნიშვნელოვანია საერთაშორისო ეკონომიკური სისტემებისა და სტანდარტების ერთიანი წესის შემუშავება და მისი დანერგვა-გატარება თითოეული ქვეყნის ეკონომიკაში. მიუხედავად იმისა, რომ ეს პროცესი, სხვადასხვა პოლიტიკურ-ეკონომიკური, სოციალური და ისტორიულ-კულტურული ასკექტებიდან გამომდინარე, როგორი და ძნელად შესაგუებელია და სხვადასხვა ქვეყნებში განსხვავებული ტემპებით ვითარდება, თანამედროვე მსოფლიოს დღეს მაინც ახასიათებს ის, რომ ქვეყნები და ხალხები გლობალურ სივრცეში ადაპტირებისაკენ მაინც განუხელად მიიწვევთ. დღეს ყველასათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია საერთაშორისო პროცესებში ჩართვა და სრული გლობალური ინტეგრაცია.

ამ მოძრაობას გვერდს ვერ აუკლის საქართველოც, რომელიც, მიუხედავად უამრავი პრობლემისა, თანამედროვე გლობალიზაციის აქტიური სუბიექტია. ეს როლი განსაკუთრებით მაღალია გეოპოლიტიკურ კონტექსტში. საქართველოს სატრანსპორტო ფუნქცია გამოკვეთა საქართველოს გეოსტრატეგიულმა - ეკონომიკური აზიის გზასაყრზე მდებარეობამ. ამასთან, საქართველო განუხელად მიისწრავის ეკონომიკური სამართლებრივი და ეკონომიკური სტრუქტურებში გაწევრიანებისაკენ და ერთგულია დასავლური ლირებულებებისა.

კვლევის შედეგად ვასკვნით, რომ ეკონომიკულ და საერთაშორისო სტანდარტებთან საქართველოს სატრანსპორტო სისტემის დაახლოებისა და ადაპტირებისათვის მნიშვნელოვანია განსხვრციელდეს სატრანსპორტო დარგის კომპლექსური მოდერნიზაცია ზემოთ აღნიშნული რეკომენდაციების შესაბამისად.

მიგანია, რომ რეკომენდებული ღონისძიებების განსახორციელებლად უმთავრესად საჭიროა მთავრობის ხება და პრაქტიკული ხელი, რათა ქვეყანაშ შეძლოს აღებული ვალდებულებების შესრულება, რაც, პირველ რიგში, მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობისა და ეკონომიკული ტიპის სახელმწიფოდ ჩამოყალიბებისათვის. დღევანდელი მდგრადრეობით უნდა აღინიშნოს, რომ ამ მიმართულებით ქმედითი ნაბიჯები იდგმება, მაგრამ სასურველია ტემპი იყოს უფრო აქტიური, ამ შემთხვევაში ვგულისხმობთ კონკრეტული რეგულაციების და სტანდარტების დანერგვის და ამოქმედების ხშირ გადავადებას, ფრაგმენტულ და დროში გაწერილ პროცედურებს, მაგალითად, ტექნიკური დათვალიერებებისა და სხვა აქტუალური საკითხების ირგვლივ.

როგორც ზემოთ აღნიშნებო, ეკონომიკური ითვალისწინებს საქართველოს ეკონომიკულ მისწრაფებებს. ეკონომიკური მიესალმება საქართველოს მზადებელნას, გააღრმაოს თანამშრომლობა ყველა, მათ შორის, ტრანსპორტის სფეროში და ცდილობს ჩვენი ქვეყნის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის იმ დონეზე მოწყობას, რომ დაჩქარდეს მისი ინტეგრირება განვითარებულ ეკონომიკულ სატრანსპორტო

სისტემაში. ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა საქართველოშ განავითაროს სათანადო საკანონმდებლო ბაზა, სათანადო სტანდარტის ტრანსპორტი და სატრანსპორტო მომსახურება.

ევროკავშირთან თანამშრომლობის ხარისხი დამოკიდებულია საერთო დირექტულებების ერთგულებაზე საქართველოს მხრიდან და ქვეყნის უნარზე, განხორციელოს ევროკავშირთან ერთად დასახული პრიორიტეტები საერთაშორისო და ევროპული ნორმების და პრინციპების შესაბამისად. ამ ურთიერთობების განვითარების ტემპი მთლიანად იქნება დამოკიდებული საქართველოს მონძომებასა და იმ კონკრეტულ წარმატებებზე, რომლებსაც ქვეყნა აღებული ვალდებულებების განხორციელების პროცესში მიაღწევს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. სამთავრობო პროგრამა „ძლიერი, დემოკრატიული, ერთიანი საქართველოსთვის“ - საქართველოს მთავრობა ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2016-2019 წლებისათვის;
2. I. Lashkhi , T. Pataraia, G. Gabrielashvili, A. Imnaishvili - Pproject of Open Society Georgia Foundation- “Georgian Railway LLC – Drafting an Analytical Report”;
3. Office of the State Minister of Georgia on European and Euro-Atlantic Integration - “Georgia’s Progress Report on Implementationof the ENP Action Plan and the EaP Roadmaps” - 2014;
4. European Commission, Directorate-General for Communication Citizens information - THE EUROPEAN UNION EXPLAINED - „Transport“ - 2014;
5. ASSOCIATION AGREEMENT between the European Union and the European Atomic Energy Community and their Member States, of the one part, and Georgia, of the other part - Official Journal of the European Union - 2014;
6. http://europa.eu/pol/trans/index_en.htm
7. <http://www.economy.ge>
8. http://eeas.europa.eu/georgia/pdf/quick_guide_eu_ge_aa_en.pdf
9. http://www.enpi-info.eu/maineast.php?id=272&id_type=10

**ჯანდაცვის ეკონომიკა
ECONOMIC OF HEALTHCARE**

**თენციზ გერულავა
მედიცინის აკადემიური დოქტორი,
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი
ნინო ბესიაშვილი
ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი ჯანდაცვის მენეჯერი
მირიან თოდრია
ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი ჯანდაცვის მენეჯერი
ზეად დოკტორი
ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი ჯანდაცვის მენეჯერი**

**არამომგებიანი საავადმყოფოების განვითარების პრობლემები
საქართველოში**

რეზიუმე: მსოფლიოში სამედიცინო დაწესებულებების კველა ზე გავრცელებული ორგანიზაციული ფორმა არაკომერციული (არამომგებიანი) იურიდიული პირი, რაც სამედიცინო ბაზის თავისებურებებითაა განპირობებული. საქართველოში არამომგებიანი სამედიცინო დაწესებულებების რაღენობა ერთ ათეულსაც ვერ აღწევს, კერძო მომგებიან სამედიცინო ორგანიზაციებს კი სამედიცინო ბაზის თითქმის 90% უკავიათ. ჩატარებული კვლევის შედეგად, რომლის მიზანს შეადგენდა საქართველოში არამომგებიანი საავადმყოფოების განვითარების ხელის შემსრულებელი ფაქტორების შესწავლა, გამოყვითლა, რომ არ არსებობს სამედიცინო ორგანიზაციების არამომგებიანი სახით ვუნიტიონირების საქმარისი მოტივაცია. მიუხედავად იმისა, რომ საგადასახადო კოდექსში გათვალისწინებულია საგადასახადო შეღავათები. მისი მხოლოდ ჩანაწერის სახით არსებობა ვერ უზრუნველყოფს მაქსიმალურ შედეგს. კელევის შედეგებიდან გამომდინარე, საჭიროა საგადასახადო კოდექსში არამომგებიანი საავადმყოფოების მიმართ გათვალისწინებული საგადასახადო შეღავათების დახვეწა და მხოლოდ გამოცდილების გათვალისწინება. მიზან შესრუნილია, არამომგებიანი საავადმყოფოების როლის გაზრდა საქართველოს სამედიცინო ბაზარზე.

საკვანძო სიტყვები: არამომგებიანი საავადმყოფო; სამედიცინო ბაზარი; სახელმწიფო საავადმყოფო, მომგებიანი საავადმყოფო.

შესავალი

სამედიცინო ბაზარი მოითხოვს სამედიცინო დაწესებულებების სხვადასხვა ორგანიზაციული ფორმის არსებობას [ვერულავა, 2017გ]. აქ ყველაზე გავრცელებული ორგანიზაციული ფორმა არაკომერციული (არამომგებიანი) იურიდიული პირი. სშირად, სიტყვა „არამომგებიანის“ არასწორ ინტერპრეტაციას ახდენენ და წარმოგვიდგენენ ისეთ ორგანიზაციად, რომელიც არ ეწევა მომგებიან საქმიანობას. კერძო მომგებიანი და არამომგებიანი სამედიცინო ორგანიზაციები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან მიღებული მოგების განაწილების მექანიზმით. კერძოდ, არამომგებიან საავადმყოფოებში, მომგებიან საავადმყოფოებისგან განსხვავდებით, მოგების განაწილება არ ხდება მესაკუთრეებზე ან აქციონერებზე. არაკომერციულ საავადმყოფოებს მართავენ საბჭოები, რომლებიც შედგება ექიმებისა

და საზოგადოების წარმომადგენლებისაგან. მათი საქმიანობით მიღებული მოგება კი ნაწილდება სამედიცინო სერვისების ხარისხის გაუმჯობესებაზე, ახლი სადაც ნოსტიკო მოწყობილობა-დანადგარების შეძენაზე, სამედიცინო პერსონალის ხელფასის გაზრდაზე [Feldstein, 2011].

არაკომერციული საავადმყოფოების უპირატესი განვითარება აღინიშნება როგორც ევროპის ქვეყნებში, ასევე აშშ-ი. ევროპის ქვეყნებში არაკომერციული სამედიცინო ორგანიზაციები შეადგენს 70-80%-ზე მეტს, ხოლო აშშ-ში - 57%-ს [AHA, 2007].

საქართველოში სამედიცინო დაწესებულებების მხოლოდ ორი ფორმა არსებობს - საავადმყოფოთა 88.6% კერძო, მომგებიანი (მათ შორის 42% სადაზღვევო კომპანიებს ეკუთვნის, ფიზიკურ პირებს - 29 %, სხვა ტიპის კომპანიებს - 18.4%), ხოლო 8% - სახელმწიფო ორგანიზაციებია [სგ-ს, 2012; ვერულავა, 2017ა; ვერულავა, 2017ბ].

არამომგებიანი სამედიცინო ორგანიზაციების განვითარების ხელშემწყობი ფაქტორები

არაკომერციული საავადმყოფოების უპირატესობა დაკავშირებულია იმ გარემოებასთან, რომ შეა საუკუნეებიდან მათ ჩამოყალიბებაში უდიდესი წვლილი მიუძღვით რელიგიურ ორგანიზაციებს და ადგილობრივ სათემო გაერთიანებებს [ვერულავა, 2017ა]. ისინი ეხმარებოდნენ მოსახლეობის დარიბ ფენებს, ობლებს, ტუბერკულოზით დაავადებულ პაციენტებს. მოსახლეობის ამ ნაწილს ბინაზე არ გააჩნდა მკურნალობისათვის სათანადო სანიტარიულ-ჰიგიენური პირობები, რაც მოითხოვდა საავადმყოფოების აშენებას და შენახვას. დარიბთაგან განსხვავებით, მდიდარ ფენას თავის სასახლეში ჟყავდა კარის ექიმები და საავადმყოფოებს არ საჭიროებდა. ამრიგად, როგორც ევროპის ქვეყნებში, ასევე აშშ-ში, არამომგებიანი საავადმყოფოები თავიდანვე შეიქმნა დარიბთათვის სამედიცინო მომსახურების გასაწევად, რომელთა დაფინანსების უმთავრესი წყარო იყო საქველმოქმედო შემოწირულობები [Sloan, 2000; Grobman, 2008].

XX საუკუნის დასაწყისში სამედიცინო ტექნოლოგიების განვითარებამ ხელი შეუწყო საავადმყოფოს ისეთი სახით ჩამოყალიბებას, როგორითაც იგი დღეისთვის არსებობს. შეიქმნა როგორც გადაუდებელი, ასევე გეგმური სამედიცინო მომსახურების საავადმყოფოები, სამკურნალო-სარეაბილიტაციო ცენტრები. აღნიშნულის შედეგად შეიცვალა საავადმყოფოების როლი. საავადმყოფო გახდა სამედიცინო პერსონალის საქმიანობის, პაციენტთა სათანადო დონეზე მკურნალობის ადგილი [Verulava, 2018].

საავადმყოფოს ფუნქციის შეცვლასთან ერთად, შეიცვალა საავადმყოფოთა დაფინანსების მექანიზმები. თუ წინათ საქველმოქმედო ფონდები, შემოწირულობები იყო საავადმყოფოს შემოსავლების მნიშვნელოვანი წყარო, შემდგომ პერიოდში გაიზარდა პაციენტების მიერ გადებული ხარჯების, ასევე სახელმწიფოს და კერძო დაზღვევის წილი. ასე გადაიქცა საქველმოქმედო საავადმყოფოები არამომგებიან, ანუ არაკომერციულ საავადმყოფოებად.

გარდა იმისა, რომ დასაგლეთის ქვეყნებში არაკომერციული საავადმყოფოები ხელშემწყობ ისტორიულ გარემოში განვითარდა, არანაკლები როლი ითამაშა სახელმწიფოს მხარდაჭერაში. რადგანაც არამომგებიანი საავადმყოფოები ემსახურება დარიბ და დაბალ შემოსავლიან პაციენტებს, მათი საქმიანობა განიხილება როგორც საქველმოქმედო. შესაბამისად, მათი შემოსავალი და ქონება უმთავრესად გათავისუფლებულია სახელმწიფო გადასახადებისგან [Verulava, 2018].

ევროპასა და აშშ-ში არამომგებიანი საავადმყოფოების გართოდ გავრცელებას ხელი შეუწყო საზოგადოების მხრიდან არსებულმა ნდობის ფაქტორმა. სამედიცინო ბაზარზე პაციენტის ნაკლებად ინფორმირებულობის გამო განსაკუთ-

რებული მნიშვნელობა ენიჭება ნდობაზე დაფუძნებულ ურთიერთობას. პაციენტები უპირატესობას ანიჭებენ არამომგებიან საავადმყოფოებს, რადგან სიტყვა “მოგება” მათვის არის სიგნალი, რომელიც უარყოფს ნდობით ურთიერთობებს [Arrow, 1963]. შესაბამისად, მომგებიანთან შედარებით, პაციენტები უფრო ენდობიან არამომგებიან საავადმყოფოებს, რადგან ეს უკანასკნელი არ არის დაინტერესებული მოგების მიღებით და არ ცდილობს პაციენტის არაინფორმირებულობის ხარჯზე მიიღოს ფინანსური სარგებელი [Norton, 1994; Hansmann, 1980].

გარდა ამისა, არამომგებიანი საავადმყოფოს საქმიანობას ზედამხედველობს საზოგადოება, სადაც ექიმებს უფრო მეტი შესაძლებლობა აქთ, დამოუკიდებლად განსაზღვრონ საავადმყოფოს პლიტიკა, შეიძინონ მათვის სასურველი სამედიცინო მოწყობილობა-დანადგარები, მომგებიანი საავადმყოფოებისგან განსხვავებით, პაციენტებს დაბალ ფასად მიაწოდონ ძვირადღირებული სერვისები. შესაბამისად, არამომგებიანი საავადმყოფოები გაცილებით მეტად შეესაბამება ექიმების ფინანსური ინტერესებს [Gruber, 1994].

მოსახლეობაში კერძო, არამომგებიანი სავადმყოფოების პოპულარობაზე მიანიშნებს ის გარემოება, რომ აშშ-ში მათ მიმართავს პაციენტების 70%, ხოლო მომგებიან საავადმყოფოებს პაციენტების მხოლოდ 13%. სამედიცინო პერსონალიც არაკომერციულ საავადმყოფოებს ანიჭებს უპირატესობას, შედეგად, ექიმთა უმრავლესობა საქმიანობას ეწევა კერძო არამომგებიან საავადმყოფოებში [AHA, 2007].

საზოგადოებაში გარცელებული შეხედულებით, კერძო, მომგებიანი ორგანიზაცია ყოველთვის ასოცირდება სამედიცინო მომსაურების უფრო უკეთეს ხარისხთან. თუმცა, კვლევები ადასტურებს, რომ გაწეული სამედიცინო მომსახურების ხარისხის თვალსაზრისით, მომგებიან და არამომგებიან საავადმყოფოებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავება არ შეინიშნება [Walker, 2005].

არამომგებიანი სამედიცინო ორგანიზაციების განვითარება საქართველოში

მეცხრამეტე საუკუნეში და მეოცე საუკუნის დასაწყისში ბევრმა ქართველმა მეცენატმა დააარსა არამომგებიანი საავადმყოფოები. თბილისში, წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ტაძართან არსებული ლაზარეთი და წმინდა ნინოს სახელობის ლაზარეთი არამომგებიან სამედიცინო ორგანიზაციებს წარმოადგენდა. მათი დაფინანსების ძირითად წყაროს შეაღებნდა სამოქალაქო და საეკლესიო შემოწირულობები. 1903 წელს ცნობილმა მეცენატმა და ქველმოქმედმა არამიანცმა 100 000 მანეთი შესწირა არამიანცის საავადმყოფოს მშენებლობას, რომელიც საბოლოოდ 1909 წელს გაიხსნა და 1921 წლამდე არამომგებიანი კლინიკის სტაციუსით ფუნქციონირებდა. საავადმყოფოს მოწყობილობა-დანადგარებით აღჭურვას, სამედიცინო პერსონალის ჯამაგირს თუ სხვა ხარჯებს მეცენატი თვალი ფარავდა. მმებმა ზუბალაშვილებმა მე-19 საუკუნის 80-იან წლებში თბილისში პირველი პედიატრიული კლინიკა ააშენეს და უსასეულოდ გადასცეს ქალაქს.

1921 წლიდან, საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შედეგად, არამომგებიანი საავადმყოფოები გადაკეთდა სახელმწიფო საკუთრებაში მუოფ სამედიცინო ორგანიზაციებად. შედეგად, საბჭოთა პერიოდში საქართველოში სამედიცინო ორგანიზაციების მესაკუთრეობის მხოლოდ ერთი ფორმა იყო განგითარებული. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, 1990-იან წლებში სახელმწიფო საავადმყოფოების უმეტესი ნაწილი გაიყიდა და გადაკეთდა კერძო მომგებიან საავადმყოფოებად [Verulava, 2018; ვერულავა, 2017დ]. ამრიგად, საბჭოთა პერიოდიდან მოყოლებული, საქართველოში არამომგებიანი სამედიცინო ორგანიზაციები ვერ განვითარდა.

არამომგებიანი სამედიცინო ორგანიზაციების საგადასახადო შედაგათები

დასავლეთის ქვეყნებში არაკომერციული საავადმყოფოების განვითარებას ხელი შეუწყო მათი შემოსავლებისა და ქონების გათავისუფლებამ სახელმწიფო გადასახადებისგან.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი გვაძლევს არაკომერციული ორგანიზაციის განმარტებას: „ორგანიზაცია, რომლის მიზანი არ არის სამეწარმეო საქმიანობა და მისი ფუნქციონირების მირითადი მამოტივირებელი ფაქტორი არ არის მატერიალური მოგების მიღება, არის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი“.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით: „არასამეწარმეო იურიდიული პირის შექმნისა და ფუნქციონირების დანიშნულება, პირებლ ყოვლისა, არის არაკომერციული ხასიათის საქმიანობა და რაიმე განხსნაზღველი მიზნის მისაღწევად მოქმედება. ასეთი ორგანიზაციები, ძირითადად, საზოგადოებისათვის სასარგებლო შედეგების მიღებისთვის იქმნება. ზოგადად კი, არასამეწარმეო იურიდიული პირის საქმიანობის მიზანი შეიძლება იყოს ნებისმიერი რამ, რაც კანონით არ არის აკრძალული და არ ეწინააღმდეგება მოქმედ სამართლას“. (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 33-ე მუხლის მდ-2 ნაწილი) კანონი თავისი არსით ითვალისწინებს არამომგებიანი ორგანიზაციის მთავარ პრინციპს, რაც მოგების რეინგენერირებას გულისხმობს. კერძოდ კი, დამფუძნებელს ან დამფუძნებელთა ჯგუფს არ აქვთ უფლება, ორგანიზაციის მოგება დავიდებითის სახით გაიტანონ.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით, დღგ-საგან გათავისუფლებულია სამედიცინო მომსახურება, ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამებით გათვალისწინებული ნებისმიერი დონისძიებები (საქართველოს საგადასახადო კოდექსი, მუხლი 226). გადასახადით არ იბეგრება სამედიცინო საქმიანობისათვის გამოყენებული სამედიცინო დაწესებულებებთა ქონება და ასევე სამედიცინო დაწესებულებების (მიუხედავად ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა) სამედიცინო საქმიანობიდან მიღებული მოგების ის ნაწილი, რომელიც მოხმარება რეინგენერირებას (დაწესებულების რეაბილიტაცია, ტექნიკური ბაზის უზრუნველყოფა) და თანამშრომელთა მატერიალურ წახალისებას (საქართველოს საგადასახადო კოდექსი, თავი XIII, მოგების გადასახადი, მუხლი 97).

მიუხედავად იმისა, რომ არასამეწარმეო იურიდიული პირი, თავისი არსით, არ შეიძლება იყოს კომერციულ საქმიანობაზე ორიგენტირებული, მას უფლება აქვს, ეწეოდეს დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობას. ასეთი საქმიანობიდან მიღებული მოგება უნდა მოხმარდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მიზნების რეალიზებას და მისი განაწილება არასამეწარმეო იურიდიული პირის დამფუძნებებს, წევრებს, შემომწირველებს, აგრეთვე ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ქონე პირებს შორის დაუშევებელია [Verulava, 2018].

საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანახმად, საწარმოო სტატუსის ქონე ორგანიზაციებისათვის 2017 წლამდე დაწესებული იყო მოგების გადასახადი, რომელიც შეადგენდა მოგების 15%-ს. 2015 წელს მთავრობის წარმომადგენლების მიერ დაანონსდა მნიშვნელოვანი ცვლილება საგადასახადო კოდექსში, რაც გულისხმობდა მოგების გადასახადის ესტონური მოდელის დანერგვას, რომლის ამოქმედებაც 2017 წლის 13 იანვრის ბრძანება ზე-ის საფუძველზე მოხდა. ესტონეთში 2000 წელს განხორციელებული რეფორმის მიხედვით, მოგების გადასახადით (არსებული 21 %-ით), აღარ იბეგრება რეინგენერირებული მოგება. საქართველოს კანონმდებლობაში გატარებული ცვლილების შედეგად რეინგენერირებული მოგება თავისუფლდება ყოველგვარი მოგების გადასახადისაგან. აღნიშნული საგადასახადო შედაგვათებით 2017 წლამდე სარგებლობდნენ მხოლოდ არამომგებიანი ორგანიზაციები. საკანონმდებლო ცვლილების შემდეგ კი სამეწარეო ორგანიზაციებსაც მიეცათ აღნიშნული შედაგათით სარგებლობის

უფლება.

ამგვარად, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საგადასახადო საშედავათო სისტემის მხრივ, არამომგებიანი ორგანიზაციები, არაფრით განსხვავდება მომგებიანი ორგანიზაციებისაგან.

კელევის მიზანია, გავარკვით, თუ რატომ განვითარდა მსოფლიოში უპირატესად არამომგებიანი სამედიცინო ორგანიზაციები; რამ განაპირობა საქართველოს ჯანდაციის სისტემაში უმთავრესად მომგებიანი სამედიცინო ორგანიზაციების არსებობა, რამდენად სასურველი გარემოა შექმნილი საქართველოში არამომგებიანი საავადმყოფოების განვითარებისთვის.

მეთოდოლოგია

კელევის ფარგლებში განხორციელდა საქართველოში ამჟამად მოქმედი არამომგებიანი სამედიცინო ორგანიზაციების შესწავლა. ქვეყანაში მოქმედი არამომგებიანი სამედიცინო ორგანიზაციების მცირე რაოდენობის გამო კელევის არეალი შეზღუდული აღმოჩნდა და მოიცავდა მხოლოდ სამ კლინიკას: ნარკოლოგიური ცენტრი „ურანტი“, ჯო ენის სახელობის სამედიცინო ცენტრი და ქართულ-ფრანგული სამედიცინო ცენტრი „კახეთი-იონიკა“.

თვისებრივი კელევის ფარგლებში არამომგებიანი სამედიცინო ორგანიზაციების მენეჯერებსა და ექსპერტებთან განხორციელდა ჩაღრმავებული ინტერვიუ. ინტერვიუ წარმოებდა წინასწარ შედეგნილი ნახევრად სტრუქტურირებული კითხვარის მეშვეობით. ინტერვიუ ვერბალური ტიპის იყო და, რესპონდენტების თანხმობით, სიზუსტისა და დეტალურობის მიზნით მოხდა მათი ჩაწერა.

სამივე ინტერვიუ განსხვავებულ, ხშირ შემთხვევაში ურთიერთგამორიცხავ პასუხებს შეიიცავდა, რაც კელევის პროცესს უფრო საინტერესოს ხდიდა და რამაც სერიოზული დასკვნების გაკეთების შესაძლებლობა მოგვცა არამომგებიანი სამედიცინო ორგანიზაციების საქართველოში ფუნქციონირების სპეციფიკის დასადგენად, ხელის შემშლელი ფაქტორების გამოსაკვეთად და პრობლემების მოგვარების გზების დასასახად.

შედეგები, დისკუსია

ნარკოლოგიური ცენტრი „ურანტი“ დაარსდა 2013 წელს როგორც არასამთავრობო ორგანიზაცია. მას მართავს გამგეობა, რომელსაც ჰყავს თავმჯდომარე. გამგეობაში შედიან კლინიკური, ფინანსური და გენერალური დირექტორები, ასევე სარისხის მართვის მენეჯერი და სხვა აღმინისტრაციული პერსონალი. გამგეობის გადაწყვეტილებებს კონტროლს უწევს ზედამხედველობის საბჭო, რომელიც ასევე განაგებს ფინანსური რესურსების განაწილებასაც. კლინიკას არ გააჩნია ერთპიროვნული მმართველი, თუმცა მთავარი აღმინისტრატორია გამგეობის თავმჯდომარე. გამგეობის თავმჯდომარე პერიოდულად იცვლება.

როგორც ინტერვიუში გამოიკვეთა, მესაკუთრეობის სხვა ფორმებთან შედარებით არამომგებიანი სამედიცინო ორგანიზაცია არ იხდის დღგ-ს და შედარებით მაღალია სამედიცინო პერსონალის ანაზღაურება. ხარჯების 70% მოდის სამედიცინო პერსონალის ხელვასებზე, 15% - აღმინისტრაციულ პერსონალზე, დაახლოებით 10% კომუნალურ ხარჯებზე, ხოლო დანარჩენი 5% რჩება მოგების სახით, რომელიც იხარჯება ინფრასტრუქტურის განვითარებაში, სარემონტო სამუშაოებში, მოწყობილობა-დანაღვარების განახლებაში, სამედიცინო პერსონალის ტრენინგებში. იმ შემთხვევაში, როდესაც ვერ ხერხდება მოგების რეინფერტირება, საქართველოში მოქმედი კედლა დაწესებულების მსგავსად, ნარკოლოგიური ცენტრი წლის ბოლოს იხდის მოგების გადასახადს.

ნარკოლოგიური ცენტრის დაფინანსების უმთავრესი წყაროა სახელმწიფო პროგრამები. ცენტრს გააჩნია რამდენიმე განყოფილება – სტაციონარი, ამბულატორიუმი ცენტრის წლის ბოლოს იხდის მოგების გადასახადს.

რია და ჩანაცვლებითი ორგანიზაციის განყოფილება. ამბულატორიას თვეში დაახლოებით 18000 პაციენტი მიმართავს, ხოლო სტაციონარს - წელიწადში დაახლოებით 200 პაციენტი. მაღალი ამბულატორიული მიმართვიანობა გამოწვეულია იმით, რომ ცენტრს თავისი მუდმივი კონტინგენტი ჰყავს, რომელიც პერიოდულად მიმართავს მას. სტაციონარის ნაკლები დატვირთვა დაკავშირებულია მის მცირე ზომასთან.

ცენტრის ფუნქციონირებაში მთავარ ხელის შექმლები ფაქტორად დასახელდა არამომგებიანი ორგანიზაციების მიმართ სახელმწიფოს უარყოფითი დამოკიდებულება და მათი განვითარების ხელშეწყობის ნაცვლად ხელოვნური ბარიერების შექმნა. როგორც ინტერვიუდან ირკვევა, სახელმწიფო ნებატიურად არის განწყობილი ცენტრის თანამშრომლების მაღალი ხელფასის გამო. სახელმწიფო სამედიცინო ორგანიზაციებისაგან განსხვავებით, ცენტრის ადმინისტრაციული ხარჯები დაბალია. შესაბამისად, ცენტრი ცდილობს გაზარდოს სამედიცინო პერსონალის ხელფასები. ეს, თავის შერივ, არაკონკურენტუნარიანს ხდის სახელმწიფო სექტორს, რის გამოც სახელმწიფო, იმის მაგივრად, რომ სახელმწიფო სამედიცინო ორგანიზაციების სერვისების ხარისხის ამაღლებაზე იზრუნოს, კვლაბარიად ცდილობს, არახელსაყრელი პირობები შეუქმნას არამომგებიან სამედიცინო ორგანიზაციას. ინტერვიუების განცხადებით, ამით სახელმწიფო ხელს უშლის სამედიცინო ორგანიზაციებს შორის ჯანსაღ კონკურენციას.

სახელმწიფოს მხრიდან ცენტრის ფუნქციონირებაში უხეში ჩარევის მაგალითია ცენტრში მეთადონით ჩანაცვლებითი მკურნალობის სახელმწიფო პროგრამის შეწყვიტა. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ პაციენტების უმრავლესობას უფასო სახელმწიფო პროგრამით ურჩევნია მკურნალობა, ცენტრს მაინც თავისი მრავალრიცხოვანი კონტინგენტი ჰყავს.

რესპონდენტის აზრით, საქართველოში არამომგებიანი სამედიცინო ორგანიზაციების განვითარებას ხელს უშლის მოუქნელი საკანონმდებლო სისტემა. ჯანდაცვის სამინისტრო არ ინტერესდება აღნიშნული პრობლემით, შესაბამისად, უნდა გიგარაუდოთ, რომ სახელმწიფო არ არის დაინტერესებული არამომგებიანი სამედიცინო ორგანიზაციების განვითარებით.

ამგვარად, რესპონდენტის აზრით, პოლიტიკური, საკანონმდებლო, სოციალური და კულტურული ფაქტორებიდან გამომდინარე, საქართველოში არამომგებიანი სამედიცინო ორგანიზაციების განვითარებისათვის არ არსებობს ხელშეწყობი პირობები, უფრო მეტიც, მისი ფუნქციონირება დიდ რისკიანაა დაკავშირებული. აღნიშნული ხელის შემძლები ფაქტორების გამო, ცენტრი ფიქრობს რომ შპს-დ გადაკეთდეს. რესპონდენტის აზრით, საქართველოში არამომგებიანი სამედიცინო ორგანიზაციების განვითარებისთვის საჭიროა ძირეული სისტემური და საკანონმდებლო ცვლილებები.

ჯო ენის სახელობის სამედიცინო ცენტრი საქართველოში მოქმედ არამომგებიან სამედიცინო ორგანიზაციებს შორის ყველაზე დიდი ისტორიის მქონე და, ამავდროულად, ერთ-ერთი წარმატებულია. ცენტრი 1996 წლის 16 სექტემბერს დაარსდა ცნობილი ამერიკელი მსახიობის ჯო ენ მაქბოვენის ხელშეწყობით. საქართველოში იმ დროისათვის არ არსებობდა სრულფასოვანი ბავშვთა კარდიოქირუგიული ცენტრი. ქართველი კარდიოქირუგიის ირაკლი მეტრეველის და ჯო ენის შეხვედრის შემდეგ გაჩნდა იდეა, საქართველოში ჩამოყალიბებულიყო არამომგებიანი სამედიცინო ცენტრი, რომლის პროფილიც იქნებოდა კარდიოლოგია და კარდიოქირუგია. ცენტრის შექმნასა და სათანადო სამედიცინო პერსონალის პვალიფიკაციის ამაღლებაში განსაკუთრებული წვლილი შეიტანა აშშ-ის საქველმოქმედო თრგანიზაციებმა, მათ შორის ორგანიზაცია „ლობალ პერსონე“-მა. 1996 წლის 23 სექტემბერს ჯო ენ მაქბოვენი, საქართველოში მისივე სახელობის ცენტრის გახსნიდან ზუტად ერთ კვირაში ინსულტის დიაგნოზით გარდაიცვალა. მის მიერ დაარსებული ცენტრი საქართველოში დღესაც წარმატებით ფუნქციონირებს.

ცენტრს ჰყავს 5 დამფუძნებელი როგორც საქართველოს, ასევე აშშ-ის მოქალაქეები. ისინი დღემდე მონაწილეობენ ცენტრის მართვაში. ერთ-ერთი დამფუძნებლის, ქალბატონ ჯო ენ მაქგოვენის გარდაცვალების შემდეგ, უფლება-მოვალეობები მემკვიდრეობით გადაეცა მის შვილს. მეორე დამფუძნებელი ქართველი კარდიოქირუგია, რომელიც დღესაც თავის პროფესიულ მოვალეობას ასრულებს ცენტრში. მესამე დამფუძნებელი ქართველი ფინანსისტია, რომელიც განაგებს ადმინისტრაციულ საკითხებს. აღნიშნული ჯგუფი იდებს ცენტრის ძირითად სტრატეგიულ გადაწყვეტილებებს. დამფუძნებელთა საბჭო ნიშნავს ცენტრის გენერალურ დირექტორს, რომელიც პასუხისმგებელია ცენტრის მმართველობაზე. მის ყოველდღიურ საქმიანობაში საბჭო არ ერევა, გარდა იმ შემთხვევაზესა, როდესაც მისაღებია ისეთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები, როგორიცაა ახალი სამედიცინო აპარატების შესყიდვა, დამატებითი განკოფილების გახსნა და ა.შ.

ცენტრის დაფინანსების წყაროებია დონორი ორგანიზაციების შემოწირულობები და ჯანდაციის სახელმწიფო პროგრამები: საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა და რეფერალური მომსახურების სახელმწიფო პროგრამით ხდება ბავშვთა თანდაყოლილი მანქებისა და სხვა პათოლოგიების სახელმწიფოს მიერ 100%-ით დაფინანსება. საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამით ხდება მოზრდილთა სამედიცინო მომსახურების დაფინანსება. ორგანიზაციის მთლიან შემთხვევებში საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის წილი შეადგენს 80%-ს. დანარჩენი 20% შეადგენს პაციენტების პირდაპირ გადახდებს და სადაზღვევო კონკანიების მიერ გადახდილ თანხებს.

ამჟამად ქლინიკაში ტარდება ბავშვთა და მოზრდილთა კარდიოლოგიური პროფილის ყველა მანიპულაცია და ოპერაცია, გარდა გულის გადანერგვისა. 2017 წლის მონაცემებით, ცენტრს ამბულატორიულად მიმართა 18 528 ბენეფიციარმა. მათგან ცენტრს პირველად მიმართა 5028 პაციენტმა. პირველადი მიმართვიანობის ასეთი მაღალი მაჩვენებელი მიუთითებს ცენტრის მიმართ ხდობაზე.

მიღებული მოგება მთლიანად რეინვესტირდება სამედიცინო ორგანიზაციის განვითარებაში. დამფუძნებელთაგან სამი ამავე კლინიკაშია დასაქმებული სხვა-დასხვა პოზიციაზე, შესაბამისად, მათი დაფინანსება ხორციელდება მხოლოდ კუთვნილი ხელფასის სახით. მოგება ნაწილდება ახალი სამედიცინო აპარატების შესყიდვაზე, პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებაზე, ხელფასის გაზრდაზე, სამედიცინო მომსახურების ხარისხის ამაღლების დონისძიებებზე. სამედიცინო და აღმინისტრაციული პერსონალის სახელფასო ფონდზე იხარჯება მთლიანი შემოსავლის დაახლოებით 55%. ოუმცა, ცენტრი მართვის ავტომატიზებული სისტემების დანერგვის ხარჯზე ცდილობს აღმინისტრაციული რესურსების შემცირებას.

ცენტრში დასაქმებული პერსონალის ხელფასი სახელმწიფოს მიერ ჩვეულებრივ იბეგრება 20%-ით. ცენტრის სამედიცინო პერსონალის ხელფასი აღმატება სხვა, იმავე პროფილის სამედიცინო ორგანიზაციის პერსონალის ხელფასს. სამედიცინო ცენტრი არ ცდილობს გაზარდოს მოგება აღამინური რესურსების ხელოვნეური შემცირების ხარჯზე. ცენტრის რეანიმაციულ განკოფილებაში ერთ პაციენტებს 24 საათის განმავლობაში ერთი ექთანი უწევს მეთვალყურეობას. მაშინ, როდესაც სხვა სამედიცინო ორგანიზაციებში ერთი ექთნის მოვალეობაში შედის 3-4 და ხოგჯერ მეტი პაციენტის მეთვალყურეობა. ამჟამინდელი საგადასახადო კოდექსი არ უზრუნველყოფს არამომგებიანი სამედიცინო ორგანიზაციისათვის საგადასახადო შეღავათებს.

ცენტრი ცდილობს თავისი წვლილი შეიტანოს პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებაში და მათი საქმიანობისათვის არსებული გარემოს გაუმჯობესებაზე. ცენტრი აფინანსებს სამედიცინო პერსონალის კონფერენციებში, ტრენინგებში მო-

ნაწილებას, მათ უწყვეტ სამედიცინო განათლების ხარჯებს. პელევის ჩატარების მაგალითისათვის, კვლევის მიმღინარეობისას, სამედიცინო ცენტრმა დააფინანსა ექიმების მონაწილეობა გერმანიაში დაგეგმილ საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელიც ეძღვნება ონლაინ მანკების დიაგნოსტირებასა და მკურნალობას.

ჯო ენის სამედიცინო ცენტრი საკუთარი სამედიცინო პერსონალის პროფესიული დონის ამაღლებასთან ერთად ცდილობს ახალი თაობების გაზრდასა და მათგის შესაბამისი განათლების მიღებაში ხელშეწყობას. ცენტრი გეგმავს რეზიდენტურის ჩამოყალიბებას ბავშვთა კარდიოქირურგიასა და ბავშვთა რეკარდოლოგიაში, რითაც თავისი წვლილი შეაქვს ახალი კადრიციური კადრების აღზრდაში.

ცენტრი მნიშვნელოვან თანხებს გამოყოფს უახლესი სამედიცინო მოწყობილობა-დანადგარების ულტრათანამედროვე ტექნოლოგიით აღჭურვისათვის. ცენტრი გეგმავს ახალი პროფილის სამედიცინო დეპარტამენტების ჩამოყალიბებას.

ცენტრის მთავარ პრობლემად დასახელდა სახელმწიფოს მხრიდან ხატლები ხელშეწყობა. საგადასახადო კოდექსის თანახმად ცენტრი არ იხდის მოგების და ქონების გადასახადს. თუმცა, სახელმწიფო პროგრამებით განსაზღრული ხოზოლოვიების დაფინანსება ხორციელდება რამდენიმე წლის წინ დადგენილი ტარიფებით და არ ხდება დოლარის კურსის საგრძნობი ცვლილების გათვალისწინება. ამასთან, ცენტრი საჭირო მასალების (ხელოვნური და ბიოლოგიური სარჩევები და ა.შ.) შესყიდვას ახორციელებს დოლარის ვალუტით, ხოლო არსებული ტარიფები ისევ იგივე დარჩა, არ მოხდა მათი გადახედვა. შედეგად, გაიზარდა ცენტრის ხარჯები, რაც უარყოფითად აისახა მის ფინანსურ მდგომარეობასა და საერთოდ განვითარებაზე.

მიუხედავად პრობლემებისა, ჯო ენის სამედიცინო ცენტრი მთელს ამიერკავკაში ერთ-ერთ წარმატებულ კლინიკად ითვლება, რომელიც დიდი ავტორიტეტითა და ნდობით სარგებლობს მოსახლეობაში.

ფრანგულ-ქართული სამედიცინო ცენტრი „პახეთი-იონი“ დაარსდა 2006 წელს საფრანგეთის ხელშეწყობით. იგი მრავალპროფილური კლინიკაა. 2016 წელს ცენტრი „ჩ ჰეპატიტის“ ელიმინაციის პროგრამაში ჩაერთო, რისთვისაც გაიხსნა შესაბამისი სადიაგნოსტიკო და სამკურნალო განყოფილებები. კახეთის რეგიონში მცხოვრებ პირებს შეუძლიათ ჩაიტარონ სკრინინგი „ჩ ჰეპატიტზეპპ, ხოლო დიაგნოზის დადასტურების შემთხვევაში კი ადგილზევე ჩაიტარონ მკურნალობა. ცენტრში ფუნქციონირებს შემდეგი განყოფილებები: ზოგადი ქირურგია, ლაბორატორია, სადიაგნოსტიკო განყოფილება, ოფთალმოლოგია, ოტორინოლარინგოლოგია, გინეკოლოგია, ონკოლოგია, პერიოდოგია და ა.შ“

ცენტრის დამუშავებელია ფრანგი სენატორი ანრი დერენკური. მას მართავს საბჭო, რომელიც დაკომპლექტებულია ქართველი და ფრანგი წარმომადგენლებით. კლინიკისთვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებას საბჭო ახორციელებს. ცენტრი გეგმავს ტელემედიცინის განვითარებას და ახალი სადიაგნოსტიკო აპარატურის შეძენას.

დასკვნა, რეკომენდაციები

სამედიცინო ბაზარი მოითხოვს სამედიცინო ორგანიზაციების მესაკუთრეობის მრავალი ფორმის არსებობას, სადაც წარმოდგენილია როგორც კერძო არაკომერციული, ასევე კერძო მომგებიანი, სახელმწიფო და სახელმწიფო-კერძო პარტნიორული ორგანიზაციები.

საქართველოს ბაზარზე არამომგებიანი (არაკომერციული) ორგანიზაციები საქმიანდ მცირედად წარმოდგენილი. როგორც ჩანს, არ არსებობს საავადმყოფოების და საერთოდ ორგანიზაციების არამომგებიანი სახით ფუნქციონირების საკმარისი მოტივაცია.

მიუხედავად იმისა, რომ საგადასახადო კოდექსში გათვალისწინებულია საგადასახადო შედაგათები, მისი მხოლოდ ჩანაწერის სახით არსებობა ვერ უზრუნველყოფს მაქსიმალურ შედეგს.

აქვე აღსანიშნავია, რომ 2017 წელს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილების შედეგად, არამომგებიანი ორგანიზაციები, საგადასახადო საშედავათო სისტემის მხრივ, არაფრით განსხვავდება მომგებიანი ორგანიზაციებისაგან.

საჭიროა საგადასახადო კოდექსში არამომგებიანი ორგანიზაციების მიმართ გათვალისწინებული საგადასახადო შედაგათების შემდგომი დახვეწა და მსოფლიო გამოცდილების გათვალისწინება. მიზანშეწონილია არამომგებიანი საავადმყოფოების როლის გაზრდა საქართველოს სამედიცინო ბაზარზე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ვერულავა თ. (2017ა). არამომგებიანი საავადმყოფოების როლი ჯანდაცვის სისტემაში: მსოფლიო გამოცდილება და საქართველო. ეკონომიკა და ბიზნესი. 10 (3), გვ. 100-110.
2. ვერულავა თ. (2017ბ). შეზღუდული კონკურენცია ჯანდაცვის ბაზარზე: გადაწყვეტის გზები. I საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია "კონკურენციის პოლიტიკა: თანამედროვე ტენდენციები, გამოწვევები" შრომების კრებული. თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 72-78.
3. ვერულავა თ. (2017გ). სამედიცინო ბაზარი: არსი, სპეციფიკა, სტიმულები. ეკონომიკა და ბიზნესი. 10 (4):73-90.
4. ვერულავა თ. (2017დ). ჯანდაცვის დაფინანსების პოლიტიკა სამხრეთ კავკასიის რეგიონში: შედარებითი ანალიზი, შეფასება. II საერთაშორისო კონფერენციის „პოლიტიკა კავკასიის გარშემო“ შრომათა კრებული. თბილისი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 101-116.
5. საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო (სგ-ს). (2012). საქართველოს პოსპიტალური სექტორი. თბილისი.
6. AHA, 2007. American Hospital Association. Hospital Statistics. Chicago: AHA.
7. Arrow K. (1963), “Uncertainty and the Welfare Economics of Medical Care”, American Economic Review 43(5): 959-967.
8. Asatiani M., Verulava T. (2017). Georgian Welfare State: Preliminary Study Based on Esping-Andersen’s Typology. Economics and Sociology, 10 (4): 21-28. DOI: 10.14254/2071-789X.2017/10-4/2
9. Feldstein P.J. (2011). Health Policy Issues: An Economic Perspective, Fourth Edition Chicago AUPHA press.
10. Grobman G.M. (2008) The Nonprofit Handbook: Everything You Need to Know to Start and Run Your Nonprofit Organization (Paperback), White Hat Communications
11. Gruber, J. (1994). The Effect of Competitive Pressure on Charity. Hospital Responses to Price Shopping in California. Journal of Health Economics. 13. (2) 183-212.

12. Hansmann H. B. (1980), “The role of the nonprofit enterprise”, *Yale Law Review Journal* 39:835-901.
13. Norton E., Staiger. (1994). How Hospital Ownership Affects Access to Care for Nonprofits Different? *Health Affairs* 18. (3): 167-73.
14. Sloan F. (2000). “Not-for-Profit Ownership and Hospital Behavior. New York North-Holland Press.
4. ამ კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი.

რაც შეეხება კომერციულ ბანქს, საკრედიტო კავშირს, სადაზღვევო ორგანიზაციას, მიკროსაფინანსო ორგანიზაციას და ლომბარდს, ხოლო, ტოტალიზატორის სისტემურ-ელექტრონული ფორმით მომწყობ პირს ამ საქმიანობის ნაწილში, მათთვის მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი 2019 წლის 1 იანვრამდე დარჩა იგივე, ანუ სხვაობა კადენტარული წლის განმავლობაში მიღებულ ერთობლივ შემოსავალსა და ამ კოდექსით გათვალისწინებული გამოქვითვების თანხებს შორის.


ამ მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილების მიზანია, ხელი შეუწყოს მეწარმეებს, განაციონარო თავიანთი ბიზნესი და არ დაიბეგროს ის თანხები, რომლებიც რეინვესტირებას მოხმარდება. ეს, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ბიზნესის გაფართოებას, რაც ასევე ახალი სამუშაო აღილების შექმნის გარანტია.

რეფორმის შედეგები ესტონეთში და პერსპექტივები საქართველოში

როლუია ზუსტად იმის განსაზღვრა, თუ რა შედეგები ექნება ამ რეფორმას გრძელვადიან პერსპექტივაში საქართველოში, თუმცა, რა თქმა, უნდა ზოგადი გათვალები გაკეთებულია, ასევე გვაქმს პირგელი წლის შედეგიც, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია საგარაულო დასკრინები გავაკეთოთ.

თუ გადავხედავთ მის შედეგებს ესტონეთში, სავარაულო წარმოდგენა შეიძლება შეგვექმნას შესაძლო შედეგზე გრძელვადიან პერსპექტივაში. ესტონეთში ამ მოდელის მიღების (2000) შემდგომ (იხ. დიაგრამა 1) მოგების გადასახადიდან შემო-

სული შემოსავლები მკვეთრად მცირდება, თუმცა 2003 წლიდან გადაასწრო რეფორმაბლები ნიშნულის (1999 წელი - 107 მლნ). აქვე გასათვალისწინებელია რეფორმის შემდგომ პერიოდში არსებული ეკონომიკური კრიზისი და აგრეთვე შემცირებული მოგების გადასახადის განაკვეთი 26%-დან 20%-დან დანართული შემდგომი კრიზისი (2015 წლიდან განაკვეთი უკვე 20%-ია), რომელიც ესტონეთში მიმდინარეობდა 2000-2017 წლებში (ხოლო საქართველოში აღნიშნული რეფორმის შემოდებისას არ შეცვლილა მოგების გადასახდის განაკვეთი და დარჩა იგივე (15%), რაც საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ საქართველოში შესაძლოა არ ჰქონდეს ისეთივე მკვეთრად გამოხატული დადებითი შედეგი, როგორც ჰქონდა ესტონეთში).



დიაგრამა 1


წყარო: Statistics Estonia – www.Stat.ee

მოცემული დიაგრამიდან ჩანს რეფორმის დადებითი შედეგი გრძელვადიან პერსპექტივაში. განაწილებული მოგების გადასახადის მოდელის ნაკლად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ იგი არ არის გავრცელებული მასობრივად და მოკლევადიან პერსპექტივაში აქვს უარყოფითი შედეგი, რადგან მცირდება საბიუჯეტო შემოსავლები მოგების გადასახადის ჭრილში. ამან შესაძლოა გამოიწვიოს ბიუჯეტის დეფიციტი, ბიუჯეტის დეფიციტის აღმოსაფხვრელად კი საჭიროა ხარჯების შემცირება და სწორედ ეს ფაქტი უნდა იქნეს გათვალისწინებული საქართველოს შემთხვევაში, თუ რამდენად შეუძლია სახელმწიფოს ბიუჯეტის დეფიციტის დაძლევა. რამდენადაც ესტონეთში მოგების გადასახადს მოლიანი გადასახადების ჭრილში უმნიშვნელო წილი აქვს (დაახლ. 6-7%), რეფორმას დიდი დეფიციტი არ გამოუწვევია ბიუჯეტში, ხოლო საქართველოს შემთხვევაში მოგების გადასახადის წილი საბიუჯეტო შემოსავლებში 12-13% მორის (დაახლოებით 800-900 მლნ ლარი) მერყეობდა, რაც დიდ გავლენას ახდენს მოლიან საგადასახადო შემოსავლობებზე. ესტონური მოდელის ამოქმედების შემდეგ, 2017 წლის შედეგების მიხედვით, მოგების გადასახადის წილი საგადასახადო შემოსავლებში არის 7,7% (756 მლნ ლარი), ხოლო თანხმოვის მოგების გადასახადი დაახლოებით 300 მლნ ლარითაა შემცირებული.

თუმცა აქვე აღსანიშნავია, რომ როდესაც მთავრობის მიერ იქნა გაცხადებული ინიციატივა აღნიშნული მოსალოდნებლი ცვლილების შესახებ 2015 წელს

(რომელიც 13.05.2016 - 5092 პარლამენტის კანონით ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან), მოსალოდნელი ბიუჯეტის დეფიციტის შესამცირებლად, მთავრობამ მიიღო რიგი გადაწყვეტილებები, როგორიცაა მაგ., აქციზის გადასახადის გაზრდა (პერიოდულად სხვადასხვა პროდუქციაზე), სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების მიერ გასაწევი ხარჯების შემცირება. დიაგრამა 2-ზე მოცემულია მოგებისა და აქციზის გადასახადები 2011-2017 წლებში. როგორც მონაცემებიდნ ჩანს, 2011 წელს მოგების გადასახადის წილი შედარებით მაღალია ვიდრე აქციზის, მაგრამ მოგების გადასახადით დაბეგვრის ესტონური მოდელის შესახებ საკანონმდებლო ინიციატივის გაცხადებისთანავე (2015), ვინაიდან მოსალოდნელი იყო ბიუჯეტის დეფიციტი, მის დასაბალანსებლად აქციზის განაკვეთი გაიზარდა სხვადასხვა პროდუქციაზე (მაგ., თამბაქოზე 2015 წელს 2-ჯერ, 2016 და 2017 წელს) პერიოდულად, რამაც 2016 წელს მოგებისა და აქციზის გადასახადებიდან შემოსული შემოსავლების გათანაბრება გამოიწვია, ხოლო უკვე 2017 წელს, როდესაც ძალაში შევიდა აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილება მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი მოდელის შესახებ, როგორც მოსალოდნელი იყო, შემცირდა მოგების გადასახადითა შემოსული შემოსავლები, ხოლო აქციზიდან შემოსულმა გადასახადმა მკვეთრად გადააჭარბა მოგების გადასახადის წილს. სწორედ ის მოსალოდნელი (დაახლ. 400 მლნ) დეფიციტი, გადაიფარა აქციზის გადასახადით 2017 წელს, რამაც შესაძლებელი გახდა შედარებით დაბალანსებულიყო მოგების გადასახადით დაბეგვრის ესტონური მოდელის შემოდებით გამოწვეული ბიუჯეტის დეფიციტი.

მოგებისა და აქციზის გადასახადები 2011-2017 წლებში. (მლნ ლარი)



დიაგრამა 2

წყარო: საქართველოს სახელმწიფო ხაზის <http://treasury.ge/5629>

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილ 2018 წლის ბიუჯეტის გეგმაში, ასევე ასახულია მოსალოდნელი შედეგები მოგებისა და აქციზის გადასახადის ჭრილში, სადაც მოგება შეადგენს 630 მლნ ლარს (6,1%), ხოლო აქციზი 1,450 მლნ ლარს (14,1%).

როგორც აღნიშნეთ, ზემოხსენებული ცვლილება არის გრძელვადიან პერიოდზე გათვლილი საგადასახადო პოლიტიკის ნაწილი, მისი მიზანია, შეიქმნას სამეწარმეო აქტივობის მასტიმულირებელი საგადასახადო სისტემა, გაიზარდოს კაპიტალის მოცულობა, გაუმჯობესდეს საინვესტიციო გარემო, რადგან, თავის მხრივ, განვითარებული ბიზნესი და საგადასახადო სისტემა ეკონომიკის განვითარების

ხელშემწყობ მექანიზმს წარმოადგენს, რაც გრძელვადიან პერიოდში ეკონომიკური ზრდის გაუმჯობესებისთვის მნიშვნელოვანი ბიძგი იქნება.

დასკვნა

საქართველოს ეკონომიკისთვის მეტად მნიშვნელოვანია ისეთი საგადასახადო პოლიტიკის გატარება, რომელიც საშუალებას მისცემს მეწარმეებს, დაიწყონ და განვითარონ ბიზნესი. ამ მიზნით საქართველოს საგადასახადო კოდექსში 2017 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა მოგების გადასახადის ესტონური მოდელი. ამ მოდელის უპირატესობა გამოიხატება იმაში, რომ მეწარმეებს საშუალება ეძლევათ, არ დაიძეგროს რეინგესტირებული მოგება, რაც, თავის მხრივ, ბიზნესის გაფართოების საწინდარია. ნაკლოვანებად შეგვიძლია მივიჩნიოთ ბიუჯეტის შემოსავლების შემცირება მოგების გადასახადის ჭრილში (მოკლევადიან პერიოდში), რომელმაც შესაძლოა გამოიწვიოს ბიუჯეტის დეფიციტი. ამ დისბალანსის აღმოსაფხრელად შემცირებულია სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების მიერ გასაწევი ხარჯები და გაზრდილია აქციზის გადასახადი სხვადასხვა პროდუქციაზე.

სწორი და მიზანმიმართული საგადასახადო პოლიტიკის გატარება მეწარმეობის განვითარების საფულევლია, კერძოდ, იგი ხელს შეუწყობს კაპიტალის მოცულობის გაზრდას, საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებას, არის სტიმული, რომ მეწარმეებმა შექმნან ან გააფართოონ ბიზნესი, რაც, თავის მხრივ, ეკონომიკური ზრდის გარანტია.

გამოყენებული ლიტერატურა

საქართველოს საგადასახადო კოდექსი, ობილისი, 2010.

www.treasury.ge - საქართველოს სახელმწიფო ხაზინა.

www.mof.ge - საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

www.rs.ge - შემოსავლების სამსახური.

www.Eesti.ee - Estonian State Portal.

www.riigiteataja.ee/en/eli/ee/518062015017/consolide/current - Income Tax Act.

www.Stat.ee - Statistics Estonia.

*Iza Bukia
PhD Candidate at the Tbilisi State University*

THE ESTONIAN MODEL OF PROFIT TAX – THE PROSPECT OF ECONOMIC GROWTH Expanded Summary

The most part of Georgia's budget (approximately 92%) is made up of tax revenues, that is why it is very important to implement such legislative amendments, which, on the one hand, business and entrepreneurs will be tailored and on the other hand, to mobilize budget funds. Therefore, it is very important to consider the change, which refers to the replacement of the existing profit tax model with the Estonian model (since January 1, 2017). The above mentioned change is a challenge for the Georgian economy, because budget revenues are reduced by 400 million GEL per year in terms of profit tax. However, it is a great stimulus for

entrepreneurs, because they have the opportunity of not levying tax of reinvestment profit, which is a guarantee of business expansion.

Distributed profit tax in Estonia it has already been working for 18 years and it is regulated by The Income Tax Act, which entered into force in 2000. Distributed profit tax is subject to taxation:

1. Distributed profit;
2. Payroll benefits of employees;
3. Gift, donation and representation expenses;
4. Some expenses and/or deduction that are not related to the company's entrepreneurial activities.

It should be noted, that the distributed profit tax and income tax rate is the same (20%), whereas, company tax profit and financial profit are equal to each other. (Which is different from the Georgian model operating until 2017).

As to the profit tax model acting on January 1, 2017, the taxable profit of a resident enterprise was taxable profit (15%). It was defined as the difference between the taxable income of the taxpayer and considering the deductions by this Code.

The profit tax model, which came into force from 2017, (Rate remained the same – 15%) the object of taxation for a resident enterprise is defined as follows:

1. Distributed profit; (Distributed profit is profit, which is distributed by the enterprise as a dividend to its partner, in cash or non-monetary form)
2. Costs incurred or other payments, which is not related to economic activity;
3. Deliver the goods/services and/or provide cash for free;
4. The cost of representative expenditure of the amount exceeding the limit set by this Code.

As regards, commercial bank, credit union, insurance organization, microfinance organization and pawnshop, whereas, the person who works in the systematic-electronic form of the totalizator in this part of the activity, for them the object of taxation remained the same until January 1, 2019 – so it is the difference between the taxable income of the taxpayer and the considering the deductions by this Code in the calendar year.

If we look at its results in Estonia, revenues from the profit tax after the adoption of this model (2000) are dramatically reduced, however, since 2003, it has reached the mark of the reform (1999 – 107 million). Here also should be considered the economic crisis in the post-reform period and as well as reduced profit tax rate from 26% to 20% (since the rate has already been 20% since 2015), which was held in Estonia in 2000-2017. However, in spite of this, the amount which has received from the profit tax in 2015 has reached its maximum (approximately 425 million). Distributed profit tax model may be considered a defective that it is not spread massively and short-term perspective has a negative result, because budgetary revenues are decreasing in profit tax margin. This may result in a budget deficit. In the case of Georgia, the profit tax rate in the budget revenues varied between 12-13% (about 800-900 million GEL), which has a big impact total tax revenues. After the launch of the Estonian model, according to the results of 2017, the profit tax rate in tax revenues is 7.7% (756 million GEL), whereas profit tax is reduced approximately by 300 million GEL.

However, it should be noted, when the initiative was announced by the Government about this expected change in 2015 (which was adopted by the Law on Parliament of Georgia

on 13.05.2016 – N5092, so it came into force from 01 January 2017), in order to reduce the expected budget deficit, the government has adopted a number of decisions such as: increase excise tax (periodically different products), reduction of costs incurred by various structural units. For example: if we compare profit and excise taxes in 2011-2015, the profit tax rate is relatively high than excise, but announcement of the initiative of legislative about the Estonian model of profit tax (2015), since the budget deficit was expected, in order to balance it, the excise rate has increased periodically on various products, which led to the equalization of revenues from profit and excise taxes in 2016 and in 2017, when this legislative amendment has already entered into force about a new model of taxation of profit tax, as expected, revenues from profit tax decreased, however, tax revenue from excise dramatically exceeded the share of profit tax. That's an expected (approximately 400 million) deficits, have filled up an excise tax in 2017, which made it possible to be relatively balanced budget deficit caused by the introduction of the Estonian model by taxing profit.

As we mentioned, this change is a part of the tax policy considered for a long term, its goal is to create a tax system that stimulates entrepreneurial activity, increase the volume of capital, improve the investment environment, because in turn, developed business and tax system are mechanisms for promoting economic development, which will be a major push for economic growth in the long term.

ლელა გულედანი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
დოქტორანტი

მცირე ინოვაციური საწარმოების კლასტერის შექმნის მეთოდიკა საქართველოში

რეზიუმე. 21-ე საუკუნის დასაწყისში მოწინავე ეკონომიკის მქონე თითქმის ყველა სახელმწიფოს ინტერესშია ეროვნული კონკურენტუნარიანობის ზრდაზე ორიგინარებული რეგიონები ინოვაციური სისტემისა და კლასტერების განვითარების პოლიტიკის ხელშეწყობა, როგორც საშუალება ეკონომიკური ზრდისა და განვითარებისათვის.

მსოფლიო პრაქტიკის მრავალი მაგალითი ადასტურებს, რომ წარმოების ორგანიზაციის კლასტერების ფორმა ყველაზე ხელსაყრელია ინოვაციური პროცესის კლასტერი ხელს უწყობს მასში შემავალი დაინტერესებული პირების თანამშრომლობას, რეგიონის უნიკალური კომპეტენციების ფორმირებას, საწარმოებისა და ორგანიზაციების კონკურენტულ ტერიტორიაზე.

თანამედროვე საქართველოს კონომიკის მორითადი ამოცანა ინოვაციური პროცესების აქტივიზაცია და ინოვაციურ განვითარებაზე გადასცემა. ამასთან დაკავშირებით, განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს ის ამოცანები, რომელიც დაკავშირებულია ინოვაციური კლასტერების, როგორც დამოუკიდებელი მოგლენის, გამოყოფასთან.

საქართველოში უნდა ჩამოყალიბდეს ინოვაციური განვითარებისათვის ხელსაყრელი ფაქტორების ერთობლიობა. უნდა შეიქმნას კლასტერების მხარდაჭერის სახელმწიფო ზომებისა და მექანიზმების სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს რეგიონების, კლასტერების შემავალი საწარმოების კონკურენტუნარიანობის ზრდას, ასევე ინოვაციების დანერგვას.

კლასტერული კონცეფციის დანერგვის დაქქარება ხელს შეუწყობს მცირე ინოვაციური ძინებების განვითარებას საქართველოში. კლასტერული სტრუქტურების მხარდაჭერა და შექმნა შეიძლება წინსევლის საწინდარი გახდეს სახელმწიფოსა და თითოეული ტერიტორიული წარმონაქმნისათვის.

საკვანძო ხიტყვები: კლასტერი, კლასტერული პოლიტიკა, კლასტერული ინიციატივა, ინოვაციური კლასტერი.

შესავალი

თანამედროვე ეკონომიკაში ცალკეული ტერიტორიული წარმონაქმნების (რეგიონი, შტატი, ოლქი) ინოვაციური განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება კლასტერებს, რომელიც საწარმოების, სახელმწიფოს, მეცნიერების, საფინანსო-საკრედიტო დაწესებულებების, სასწავლებლებისა და სხვათა თანამშრომლობაზეა აგებული.

კლასტერი ფინანსური და ინტელექტუალური კაპიტალის ინტეგრაციის ერთეული ყველაზე ეფექტური ფორმაა, რომელიც კონკურენტულ უპირატესობას უზრუნველყოფს. კლასტერის შემადგენლობაში ყოვნა ინოვაციურ საწარმოს ფართო შესაძლებლობებს აძლევს, კერძოდ, თავისუფალ ხელმისაწვდომობას რესურსებზე, ინფორმაციასა და კრედიტებზე.

მსოფლიო პრაქტიკის მრავალი მაგალითი ადასტურებს, რომ წარმოების ორგანიზაციის კლასტერული ფორმა ყველაზე ხელსაყრელია ინოვაციური პროცესის კლასტერი ხელს უწყობს მასში შემავალი დაინტერესებული პირების თანამშრომლობას, რეგიონის უნიკალური კომპეტენციების ფორმირებას, საწარმოებისა და ორგანიზაციების კონკურენტულ ტერიტორიაზე.

* * *

საზოგადოდ, აღსანიშანებია რომ მკვლევარები სხვადასხვაგვარად განსაზღვრავენ კლასტერის არსეს, მაგრამ, პრაქტიკულად, ყველა ამ განსაზღვრებაში ჟღერს ერთი და იგივე საკვანძო სიტყვები: გაერთიანება, თანამშრომლობა, ურთიერთკავშირი, კონკურენცია, სპეციალიზაცია, გეოგრაფიული კონცენტრაცია და სხვა. აქედან გამომდინარე, შეიძლება გამოვყოთ კლასტერინგის კონცეფციის მთავარი იდეა კოოპერაციული კავშირების შექმნის შესახებ: საწარმო - მწარმოებლებს, რესურსებისა და ტექნილოგიების მომწოდებლებს და მეიჯარებს შორის ასევე სამეცნიერო კვლევით და ფინანსურ-საკრედიტ დაწესებულებებს შორის.

ასეთი კოოპერაციული კავშირები აძლევს შესაძლებლობას კლასტერის მონაწილეებს, აიმაღლონ თავიანთი საქმიანობის ეფექტურობა და უფრო სწრაფად დანერგონ ტექნოლოგიები, პროდუქტები და ასე შემდეგ. ერთი მხრივ, კლასტერის მონაწილეები ერთმანეთს უწევენ კონკურენციას, შეიძლება შერიც, კი ერთობლივად მუშაობებს სხვადასხვა პრობლემების ახალი გზით გადასახრელად (მაგალითად, რესურსების მომარაგება, გასაღების ახალი ბაზების ხელმისაწვდომობა და ა.შ.). ამრიგად კლასტერის ზღვარზე ერთმანეთს ერწყმის კონკურენცია და კოოპერაცია.

ამის გათვალისწინებით, შეიძლება განვიხილოთ კლასტერის შემდეგი განსაზღვრება: კლასტერი წარმოადგენს ურთიერთობრივ მომენტების თანამშრომლობას მეწარმეობის სფეროში ინოვაციურობის სტიმულირების მიზნით რესურსების უფრო ეფექტურად გამოყენებისათვის [1].

კლასტერისთვის დამახასიათებელი ნიშან-თვის ებებია:

- მაქსიმალური გეოგრაფიული სიახლოებები;
- ტექნოლოგიების ნათესაობა;
- ნედლეულის საერთო წესროვანება;
- ინოვაციური კომპონენტების ხელმისაწვდომობა.

კლასტერების ძირითადი მონაწილეები არიან:

- კერძო სექტორი;
- სამეცნიერო/კვლევითი ინსტიტუტები;
- ფინანსური ინსტიტუტები;
- საჯარო სექტორი.

ამასთანავე, მონაწილეებად შეიძლება მივიჩნიოთ ფორმალური და არაფორმალური ორგანიზაციები, რომელთა ინტერესშიც არის კლასტერების განვითარება (სავაჭრო პალატა, ბიზნესინსტიტუციები და სხვა).

21-ე საუკუნის დასაწყისში მოწინავე ეკონომიკის მქონე თითქმის ყველა სახელმწიფოს ინტერესშია ეროვნული კონკურენტუნარიანობის ზრდაზე ორიენტირებული რეგიონული ინოვაციური სისტემისა და კლასტერების განვითარების პოლიტიკის ხელშეწყობა, როგორც საშუალება ეკონომიკური ზრდისა და განვითარებისათვის.

კლასტერული პოლიტიკა კლასტერების მხარდაჭერის მიმართულებით განხორცილებელი საქმიანობა რაც გულისხმობს [2]:

- ინოვაციებისათვის ბარიერების მოხსნას;
- ადამიანურ კაპიტალში და ინფრასტრუქტურაში ინვესტიციების ჩადებას;
- შესაბამისი ფირმების გეოგრაფიული კონცენტრაციის მხარდაჭერას.

ქვეყნის ან რეგიონის კლასტერული პოლიტიკა წარმოადგენს „კლასტერული ინიციატივების“ პორტფელს, სადაც გათვალისწინებულია კლასტერის შექმნით გამოწვევული ეფექტები და რისკები. „კლასტერული ინიციატივა“ არის კონკრე-

ტული კლასტერის შექმნისა და განვითარების პროცესი, ომელიც შეიძლება ჩამოყალიბდეს [3]:

- რეგიონის მეწარმეების ან თემის მიერ;
- რეგიონისა და ქვეყნის განვითარების ინსტიტუტების მიერ;
- სახელმწიფო, ადგილობრივი აღმასრულებელი ხელისუფლებისა და საპანონმდებლო ორგანოების მიერ.

კლასტერი ასევე მხარდაჭერილი უნდა იყოს რეგიონული განვითარების სტრატეგიით, რომლის შემუშავებისას გათვლილი უნდა იყოს მოცემულ რეგიონში მწარმოებლურობის, ინოვაციურობის, კონკურენტუნარიანობის, მოგების და დასაქმების დონის ამაღლება, რამაც ხელი უნდა შეუწყოს შრომის საერთაშორისო დანაწილებას და რეგიონის სპეციალიზაციას [4].

უცხოეთის ქვეყნების ინოვაციური კლასტერების მკაფიო მაგალითებს წარმოადგენს:

აშშ - 380 კლასტერი. სპეციალიზაცია - კომპიუტერული ტექნოლოგიები. კლასტერი - „სილიკონის ველი“. მსოფლიოში ცნობილი კომპანიების სამშობლო: Intel, AMD, Oracle, Apple, Cisco, Yahoo!, eBay. [5. <http://ppt.ru/news/134649>]

საფრანგეთში - 96 კლასტერი. სპეციალიზაცია - ფარმაცევტული და კოსმეტიკა. საკვები პროდუქტების წარმოება. კლასტერი - „Cosmetic Valley“ და 600 საწარმო, მსოფლიო დიდებრი კოსმეტიკის წარმოებაში. [5]

ინდოეთში - 106 კლასტერი. სპეციალიზაცია - კომპიუტერული ტექნოლოგიები. IT - დარგების ბრუნვა ინდოეთში შეადგენს 70 მლრდ დოლარს [5].

იტალიაში - 206 კლასტერი. სპეციალიზაცია - სამომხმარებლო საქნლისა და საჭმელი პროდუქტების წარმოება. კლასტერი - „შასსუოლო“: 330 მლნ კვარამიკული ფილები წელიწადში საერთო თანხით 3 მლრდ ევრო [5].

დიდი ბრიტანეთი - 168 კლასტერი. სპეციალიზაცია - ბიოტექნოლოგია და ბიორესურსები [5].

მეოცე საუკუნის 80-იანი წლების პარგარდის უნივერსიტეტის პროფესორმა მაიკლ პორტერმა შექმნა რეგიონალურ კლასტერებზე დაუკავშირებული ეროვნული კონკურენტუნარიანობის სტრატეგიის თეორია, სადაც ქვეყნის მთავრობა, აკრძო სექტორი, შესაძლებლობები, მოთხოვნა და კონკურენცია ქმნის ისეთ სტრუქტურას, რომლის სამრეწველო ერთობა მძაფრ კონკურენციას უწევს მსოფლიო ბაზარზე წამყვან ბიზნესს უძიებებს [6].

პროფესორის აზრით, კლასტერები წარმოადგენს გეოგრაფიულად კონცენტრირებული ურთერთდაკავშირებული კომპანიების ჯგუფს, რომლებიც ერთმანეთს უწევნე კონკურენციას, მაგრამ, ამავე დროს, ასრულებენ ერთობლივ სამუშაოს.

მ. პორტერის თეორიის თანახმად, ქვეყნის კონკურენტუნარიანობა უნდა განიხილებოდეს არა ცალკეული ფირმების საერთაშორისო კონკურენტუნარიანობით, არამედ კლასტერებით.

საქართველოში, შეიძლება ითქვას, რომ მცირე ბიზნესის კლასტერების განვითარებისათვის ხელსაყრელი ვითარება შეიმჩნევა, რაც მოგვცემს გამოყოფილი რესურსების კონკრეტული მიმართულებით განვითარების კონცენტრირების შესაძლებლობას, ასევე ერთობლივი პროექტების განხორციელების შესაძლებლობას, რომელიც ხელს შეუწყობს რეგიონებისა და, მთლიანობაში, სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას. საქართველოში, პირველ რიგში, უნდა მოხდეს კლასტერული პოტენციალის კვლევა რეგიონების, დარგებისა და ფირმების მიხედვით, რომელთა სწორი ფორმირება ხელს შეუწყობს ქვეყანაში კონომიკურ ზრდას.

თანამედროვე საქართველოს ეკონომიკის ძირითადი ამოცანაა ინოვაციური პროცესების აქტივიზაცია და ინოვაციურ განვითარებაზე გადასვლა. ამასთან დაკავშირებით, განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს ის ამოცანები, რომლებიც დაკავშირებულია ინოვაციური კლასტერების, როგორც დამოუკიდებელი მოვლენის, გამოყოფასთან.

ინოვაციური კლასტერების ეფექტური განვითარება მნიშვნელოვნად დამოკიდებულია თანამედროვე ტექნოლოგიებისა და მეცნიერებული ცოდნის მოწინავე წყაროების ხელმისაწვდომობაზე, ასევე ფინანსური რესურსების მნიშვნელოვანი მოცულობის კონცენტრაციის შესაძლებლობებზე. კლასტერის ინოვაციური ორიენტაციის პროცესში დიდ როლს თამაშობს ინტელექტუალური და ფინანსური კაპიტალის განვითარებული ინფრასტრუქტურების არსებობა. რეგიონულ დონეზე კლასტერული მიდგომის უპირატესობას წარმოადგენს:

1. რეგიონულ ინოვაციურ კლასტერებს აქვს საფუძველშივე ჩამოყალიბებული ახალი ტექნოლოგიების, ცოდნის, პროდუქციის, ტექნოლოგიური ქსელის გავრცელების მდგრადი სისტემა, რომელიც ერთიან მეცნიერებულ ბაზას ეყრდნობა;

2. კლასტერის საწარმოებს აქვს დამატებითი კონკურენტული უპირატესობები, რადგან მათ აქვთ სპეციალიზაციისა და სტანდარტიზაციის განხორციელების, ასევე ინოვაციების დანერგვაზე ხარჯების მინიმუმადე დაყვანის შესაძლებლობები;

3. კლასტერის მოქნილი სამეწარმეო სტრუქტურების არსებობა მათ სტრუქტურებში - მცირე საწარმოები, რომლებიც ხელს უწყობენ რეგიონის ეკონომიკის ინოვაციური წერტილების ზრდის ფორმირებას;

4. კლასტერები ძალიან მნიშვნელოვანია მცირე ინოვაციური მეწარმეობის განვითარებისათვის, რადგან ისინი უზრუნველყოფებ მცირე ინოვაციურ ფირმებს სპეციალიზაციის მაღალი ხარისხით კონკურენტული მეწარმეობრივი ნიშის მომსახურებისას, რადგან ამ დროს სამრეწველო საწარმოების კაპიტალთან ხელმისაწვდომობა გაადვილებულია, ასევე აღვიდად ხდება იდუების გაცვლა და სპეციალისტების ცოდნის მეწარმეებისათვის გაზიარება.

5. ეფექტურად უფნეციონირებად ინოვაციურ კლასტერებში დაჩქარებულია ინოვაციური პროცესი, ხოლო მცირე ინოვაციურ საწარმოებს, რომლებიც კლასტერის მოხაწილეები არიან, უკითარდებათ ისეთი უპირატესობა, როგორიცაა ინოვაციების აღქმა, ბიზნესის რაციონალიზაცია, რომელიც წინ უსწრებს მწარმებლურობის ზრდას და ა.შ.

თუმცა, მიუხედავად ყველა ზემოთ ხსენებული უპირატესობისა, ამჟამად საქართველოში არ არსებობს კლასტერების განვითარების უნივერსალური კონცეპცია. თვით ცნება „კლასტერი“ არ არის კანონმდებლობით დამტკიცებული. მოცემულ პირობებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს კლასტერული პოლიტიკა.

კლასტერული პოლიტიკა კლასტერების მხარდაჭერის სახელმწიფო ზომებისა და მექანიზმების სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს რეგიონების, კლასტერში შემავალი საწარმოების კონკურენტუნარინაობის ზრდას, ასევე ინოვაციების დანერგვას. კლასტერების შექმნისა და განვითარების დონისძიებებს თან ერთვის ორგანიზაციული, ხორმატიულ-სამართლებრივი უზრუნველყოფის ზომები, ინვესტიციური, ფინანსური, საბიუჯეტო მექანიზმები, საინფორმაციო და საკადრო მხარდაჭერა. ინოვაციური კლასტერების განვითარების მხარდაჭერისა და უზრუნველყოფის აუცილებლობა მტკიცდება შემდეგი არგუმენტებით [7]:

- ეკონომიკის ინოვაციურობა დამოკიდებულია არა მარტო საწარმოებისა და მეცნიერულ-კვლევითი დაწესებულებების ეფექტურ საქმიანობაზე, არამედ პირველ რიგში იმაზე, თუ როგორ თანამშრომლობებს ერთმანეთთან და სახელმწიფო ხელისუფლების ორგანიზებისთვის.

- ინვაციური საქმიანობის სუბიექტების ტერიტორიული სიახლოეს ხელს უწყობს ცოდნის ჩამოყალიბებას, აღქმას და გამოყენებას, ასევე ეფექტური ინვაციური სისტემის ფორმირებას.

კლასტერული პოლიტიკის ძირითადი მიზნებია:

- მცირე ინოვაციური ბიზნესის განვითარება;

- რეგიონებისა და ცალკეული საწარმოების კონკურენტუნარიანობისა და ინოვაციური პოტენციალის ამაღლება;

- რეგიონული ეკონომიკის დივერსიფიკაციის ხელშეწყობა რეგიონული და არგობრივი კლასტერების სტარტულირებისა და განვითარების საფუძველზე.

კლასტერის საერთო ნიშან-თვისება, რომლითაც მათ მიაღწიეს არსებით ტექნოლოგიურ პროცესს, არის ის, რომ ყველა მუშაობს როგორც ერთიანი ქსელის მონაწილე და არა ცალ-ცალკე. სპეციალისტების მტკიცებით, კლასტერული საწარმოების ყველაზე დიდი უპირატესობა არის ის, რომ მას აქვს შესაძლებლობა მოიწვიოს მაღალავალიფიციური მუშები და პარტნიორებმა ერთმანეთს გაუზიარონ საბაზო ინფორმაცია. აღსანიშნავია რომ კლასტერში ყოფნა სტიმულს აძლევს მეწარმეობრივ ჟინს, ადგილებს კავშირების დაღაგებას სხვადასხვა პროექტების განხორციელების მიზნით, რაც ძალიან მნიშვნელოვანია მცირე ინოვაციური საწარმოების მიზნის [8].

საქართველოსთვის კლასტერების განვითარებისა და შექმნის მართვის ინსტრუმენტების სრულყოფა შეიძლება სასარგებლო იყოს, ამისათვის უნდა არსებობდეს ინოვაციური კლასტერის ფორმირების შემდეგი წინაპირობები:

- მეცნიერული პოტენციალის არსებობა (მსოფლიო დონის მეცნიერების ყოფნა, მსხვილი მეცნიერული ცენტრები).

- ინფარკტიური კლასტერის ფორმირების იდეის მხარდაჭერის ინსტიტუციური წინაპირობები - ხვადასხვა ფონდები ბიუჯეტის სახსრებიდან, ასევე ამ იდეის სახელმწიფო და რეგიონული მხარდაჭერა.


- პოლიტიკური წინაპირობები (მთავრობის გადაწყვეტილება ინოვაციური საქმიანობის, როგორც ერთ-ერთი სტრატეგიული პრიორიტეტის, განვითარების შესახებ).

- წარმოების წინაპირობები, სახელდობრ, კლასტერში შემავალი რეგიონისა და ცალკეული საწარმოების ინოვაციურობის ღონება, რომლის მოთხოვნაც უნდა გაჩნდეს კლასტერის წარმოების მიმართ, როგორც უმაღლესი კონკურენტუნარიანობის მიღწევის აუცილებელი პირობა.

საქართველოში უნდა ჩამოყალიბდეს ინფაციური განვითარებისათვის ხელსაყრელი ფაქტორების ერთობლიობა. მათ რიცხვშია მოსახლეობის სტრუქტურაში უმაღლესი განათლების მქონე პირთა მაღალი კონცენტრაცია, განვითარებული სამეცნიერო ინფრასტრუქტურა, ქალაქისა და რეგიონების საწარმოებში შემუშავებული პროექტების გამოყენების შესაძლებლობა.

საქართველოში შემდგომი განვითარებისა და სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის განვითარებისათვის უფასო მედლება გახდეს მცირე ინოვაციური საწარმოების რეგიონები კლასტერების შექმნა.

ქვემოთ მოცემულია საქართველოს მცირე ინოვაციური საწარმოების კლას-ტერის ორგანიზაციულ-კონცეპტუალური სქემა.



საქართველოს მცირე ინოვაციური საწარმოების კლასტერის ორგანიზაციულ-კონცეპტუალური სქემა.

მოცემული სქემის ჩარჩოში შეიძლება გამოვყოთ შემდეგი სტრუქტურული ელემენტები:

- „კლასტერის ბირთვი“ - ობიექტები, რომელთა ირგვლივ ხდება კლასტერის - მცირე ინოვაციური საწარმოების დაჯგუფება.

- „დამატებითი ობიექტები“ - ობიექტები, რომელთა საქმიანობა უშუალოდ უზრუნველყოფს „კლასტერის ბირთვის“ ობიექტების ფუნქციონირებას, ჩვენი აზრით, მათ უნდა მივაკუთვნოთ სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები, საგან-მანათლებლო დაწესებულებები, ბიზნესინკუბატორები და სხვა.

- „მომსახურე ობიექტები“ - ობიექტები, რომელთა არსებობა აუცილებელია, მაგრამ მათი საქმიანობა უშუალო კავშირში არ არის „კლასტერის ბირთვის“ ობიექტის ფუნქციონირებასთან. ჩვენი აზრით, „მომსახურე ობიექტებს“ უნდა მივაკუთვნოთ საფინანსო-საპრედიტო დაწესებულებები, ასევე საწარმოები, რომლებიც კლასტერის სერვისეულ ფუნქციებს ახორციელებს.

- „დამხმარე ობიექტები“ - კლასტერის ობიექტები, რომელთა არსებობა სასურველია, მაგრამ არ არის აუცილებელი კლასტერის სხვა ობიექტების ფუნქციონირებისათვის. მათ რიცხვს შეიძლება მივაკუთვნოთ სხვადასხვა საკონსულტაციო საქმის წარმოება, რომელთა ფუნქციები შეიძლება განხორციელდეს როგორც კლასტერის ჩარჩოში, ასევე აუტსორსინგის დახმარებითაც. ამას გარდა, მოცემულ ობიექტებს შეიძლება მივაკუთვნოთ საზოგადოებრივი ორგანიზაციები, სადაზღვევო, დიზინგური, ფაქტორინგული საწარმოები.

შემოთავაზებული მცირე ინოვაციური საწარმოების კლასტერის ორგანიზაციულ-კონცეპტუალური სქემის მნიშვნელოვანი მომენტი არის ის, რომ აქცენტი კეთდება არა მხოლოდ კლასტერის მონაწილეობაზე, და კლასტერული ჯგუფის პროდუქციის მომმარაგებელ-მომხმარებლების ურთიერთქმედებაზე, არამედ რეგიონის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებთან და რეგიონში მცირე ბიზნესის

სახელმწიფო მხარდაჭერის ინფრასტრუქტურის ორგანიზაციებთან ურთიერთქმედებაზე.

დასავლეთის გამოცდილების თეორიული წინაპირობის განხილვის საფუძვლზე საქართველოში მცირე ინოვაციური კლასტერის განვითარების პირობების, შესაძლებლობების შექმნისათვის შეიძლება შემდეგი მეოდეური მიღვომების შეთავაზება [9]:

1. მოსამზადებელი ეტაპი, რაც ითვალისწინებს საქართველოს რეგიონში კლასტერის მოდელის ზოგად მეთოდურ დამუშავებას. მას თან ერთვის შემდეგი ეტაპები: მუშა ჯგუფის შექმნა; კლასტერის მომავალი მმართველი ცენტრის საფრაუდო მონაწილეების განსაზღვრა; მცირე ინოვაციური საწარმოების კლასტერის ფუნქციონირების ნორმატიულ-უფლებრივი ბაზის დამუშავება და დამტკიცება; პროექტის დასახული მიზნის დამუშავება;

2. ანალიტიკური ეტაპი. ამ ეტაპზე ხორციელდება შემდეგი ნაბიჯები: კლასტერის წარმოების განსაზღვრა; კლასტერის ბირთვის ფორმირება; კლასტერის საზღვრების დადგენა; კლინიდება კლასტერის შიდა კავშირები; განისაზღვრება კლასტერის მმართველობის ცენტრი; ტარდება კლასტერის სტრატეგიული ანალიზი; განისაზღვრება მისი პოტენციალი.

3. ორგანიზაციულ-ეკონომიკური ეტაპი, რაც ითვალისწინებს კლასტერის ეფექტური მუშაობის უზრუნველყოფისათვის რეკომენდაციების დამუშავებას. მას თან ერთვის:

- კლასტერის ფუნქციონალური და ორგანიზაციულ-სამეურნეო მექანიზმების აგება;

- მონაწილეთა ინოვაციური საქმიანობის გაფართოების მიზნით ინფრასტრუქტურის განვითარება;

- კლასტერის მონაწილეთა ინფორმაციული ურთიერთქმედების ორგანიზება;

- კლასტერის წევრთა შესაძლებლობებისა და კომპეტენციის სისტემატიზება;

- კლასტერის განვითარების სტრატეგიის, მათ რიცხვში მიზნების, სცენარისა და ინოვაციური განვითარების მიმართულებების შემუშავება.

4. კლასტერის საქმიანობის ეფექტურობის შეფასების ეტაპი. მოცემული ეტაპი ითვალისწინებს კლასტერის განვითარების სტრატეგიის ეფექტურად შესრულების ანალიზს, სხვადასხვა მიმართულებით ფუნქციონირების პროგნოზის დამუშავებას, სინერგეტიკული ეფექტების თვალსაზრისით კლასტერის ეფექტურობის შეფასების მეთოდიკის ფორმირებას. საწყის ვარაუდად მიიღება ის ფაქტი, რომ ეფექტურად ფუნქციონირებად ინოვაციურ კლასტერებში დაჩქარებულია ინოვაციური პროცესი, ხოლო კლასტერის მონაწილეებს უფითარდებათ ისეთი უპირატესობები, როგორიცაა ინოვაციების აღქმა, ბიზნესის რაციონალიზაცია, მწარმოებლურობის წინმსწრები ზრდა და ა.შ.

კლასტერის ფუნქციონირების ეფექტურობა შეიძლება შეფასდეს ხელფასის დონით, შექმნილი სამუშაო აღგილების რაოდენობით.

დასკვნა

საერთო-სახელმწიფო ინფრასტრუქტურის და ლოკალურ დონეზე კლასტერული კონცეფციის დანერგვის დაჩქარება ხელს შეუწყობს მცირე ინოვაციური ბიზნესის განვითარებას საქართველოში და რეგიონებში. კლასტერული სტრუქტურების მხარდაჭერა და წარმოქმნა შეიძლება გახდეს თითოეული ტერიტორიული წარმონაქმნისა და სახელმწიფო სოციალური სამსახურის მიზნების აუცილებელია, პირველ რიგში საკანონმდებლო დონეზე მოვხაზოთ კლასტერების შექმნისა და ფუნქციო-

ნირების სამართლებრივი ბაზა, შესაბამისად, მიზანშეწონილია იმ ტერმინების განმარტება, რომლებიც კლასტერიზაციას ეხება. მნიშვნელოვანია ასევე სელმდვივანგლი სუბიექტების რაოდენობის კონკრეტულება, მონაწილეობა სტატუსი, მისი შექმნის პირობები, დოკუმენტების მომზადება იურიდიული გაფორმებისა და ფუნქციონირებისათვის, კლასტერის დასახელების იურიდიული დამტკიცების პროცედურა, ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების ჩამონათვალი, მისი საქმიანობის რეგლამენტირებისათვის.

საჭიროა აღვნიშნოთ თუ როგორ ხდება კლასტერის მონაწილეობა შორის ურთიერთობების ჩამოყალიბება, რომელი ორგანოები მართავენ კლასტერულ განათლებას, როგორია მათი უფლებამოსილება, რა სახის ასეუხისძელობა შეიძლება დაეკისროთ კლასტერის მონაწილეებს და რა დარღვევაზე და სხვა.

რადგანაც კლასტერები წარმოიქმნება ხანგრძლივი დროით, ჩამოთვლილი საკითხების სამართლებრივი რეგლამენტირება უზრუნველყოფს ასეთი გაერთიანებების აღმოცენებასა და ფუნქციონირებას, მიუხედავად იმისა, თუ როგორი მთავრობა ხელმძღვანელობს სახელმწიფოს და რა პოლიტიკას ატარებს ის.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Владислав Тарасенко. Территориальные кластеры: Семь инструментов управления. — М.: Альпина Паблишер, 2015. с - 201;
2. B.B. Тарасенко Социологический анализ целей кластерных инициатив, 2011. с - 30;
3. <http://ru.wikipedia.org>;
4. <http://ppt.ru/news/134649>;
5. Solvell, O, Lindqvist, G, & Ketels, C, The Cluster Initiative Greenbook, 2003. p-25;
6. Портер, М. Конкуренция. 2001. с - 495;
7. https://en.wikipedia.org/wiki/Business_cluster;
8. Фурщик Моисей, Славянова Светлана Кластер номер один//Эксперт Юг № 48 2010. с -137;
9. Мигранян, А. А. Теоретические аспекты формирования конкурентоспособных кластеров в странах с переходной экономикой 2002. с - 99.

Lela Guledani

Ivane Javakishvili Tbilisi State University PhD Student

METHODICS OF THE CLUSTER CREATION OF SMALL INNOVATIVE ENTERPRISES IN GEORGIA Expanded Summary

In the beginning of the 21st century, almost all countries with advanced economies are interested in to promote regional innovation systems and clusters development policy, thus raise country's national competitiveness as an opportunity of economic growth and development.

Many examples of world practice demonstrate that the clustered form of the production is most favorable for the innovative process. Cluster helps the cooperation of interested bodies, forming the region's unique competences, focusing enterprises and organizations in a specific area.

The main task of modern Georgian economy is to activate innovative processes and to move it to innovative development. In this regard, special attention is paid to the tasks relating to innovation clusters as an independent event.

Georgia should form a combination of favorable factors for innovative development. For supporting Clusters should be created a system of state measures and mechanisms to increase the competitiveness of enterprises, clusters in the region and increase innovations.

Cluster's concept's acceleration will promote the development of small innovative businesses in Georgia and regions. Support and creation of clustered structures can become the reason of the state's and each territorial entity's progress.

Country's or region's cluster policy is a "cluster initiative" portfolio that deals with the effects and risks caused by the cluster creation. "Cluster Initiative" is the process of creating and developing a specific cluster that can be formed by region's community, firms and other active institutions.

The clear examples of innovative clusters of foreign countries are:

USA - 380 clusters, Specialized in - Computer Technologies. Cluster - "Silicon Valley". Homeland of the world famous companies: Intel, AMD, Oracle, Apple, Cisco, Yahoo !

France - 96 clusters, Specialized in - pharmaceutical and cosmetics. Production of food products. Cluster - "Cosmetic Valley" - 600 enterprises, the world leader in the production of cosmetics.

India - 106 clusters, Specialized in - Computer Technologies. The turnover of IT sectors in India is about 70 billion dollars.

Italy - 206 clusters, Specialized in - production of consumer goods and food products. Cluster - "Sassuolo": 330 million cubic meters of ceramic tiles per year 3 billion euros.

However, despite all of the above-mentioned advantages, there is no universal concept of Clusters Development in Georgia. The concept of "cluster" is not approved by the legislation. In this conditions the Cluster policy is gaining a particular importance.

Cluster Policy is a system of state measures and mechanisms for supporting clusters, ensuring the growth of competitiveness of enterprises in clusters, as well as introduction of innovations. It is collection of clusters initiatives. The necessity of supporting and sustaining innovative clusters is confirmed by many arguments.

Improvement of clusters development and creation for Georgia can be useful, for this there should be the following preconditions for the formation of an innovative cluster:

- Existence of scientific potential (presence of world class science, large scientific centers, existence of higher industrial science);

- Institutional prerequisites to support the idea of innovative cluster formation - Various funds from budget funds, as well as the state and regional support of this idea;

- Political prerequisites (government decision on innovation activities, as one of the strategic priorities);

- Preconditions of production, namely, the level of innovation in the region and individual firms.

Georgia should form a combination of favorable factors for innovative development. Among them are high concentration of persons with higher education in the structure of the population, the development of scientific infrastructure, the realization of projects developed by the enterprises in the regions and towns.

For the further development and strengthening of scientific-technical potential in Georgia, it is possible to create regional clusters of small innovative enterprises.

Based on the theoretical preconditions of Western experience, the following innovative approaches can be offered to create conditions for the development of small innovative clusters in Georgia:

5. Preparation level, which provides the general methodological processing of cluster model in the region of Georgia.

6. Analytical level , which provides the steps for formatting clusters core and potential;

7. Organizational-economical level, which envisages processing of clusters for effective work;

8. Cluster Performance Assessment Phase. This phase provides an analysis of the effectiveness of the Cluster Development Strategy, in various directions.

თამაშ ბუწაშვილი

**საქართველოს უნივერსიტეტის
ბიზნესადმინისტრირების ფაკულტეტის დოქტორანტი**

**ხარჯთეფექტური პირველადი ჯანდაცვა და მისი ეკონომიკური
სარგებელი**

რეზიუმე. საბაზრო გეონომიკის პირობებში, სამედიცინო საქმიანობის პროცესში აუცილებელი ხდება სერვისის მიღების მამოტიფირებელი ფაქტორების, ასალი მიღვთმების შესწავლა და გამოყენება, რადგან სწორედ ეს ფაქტორები ახდენს ყველაზე შესამჩნევ გავლენას პაციენტის ქცევის ცვლილებებზე. კვლევის პროცესში შესწავლილი იქნება პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებაში (პოლიკლინიკაში) ოჯახის ექიმის მიერ მიწოდებული სამედიცინო მომსახურებით პაციენტთა ქმაყოფილების დონე. კვლევის მიზნიდან გამომდინარე, მირთადი ამოცანებია იმ მნიშვნელოვანი ცვლილების და მასტიფიული ფაქტორების გამოვლენა, რომელიც ამ კონკრეტულ შემთხვევაში, მოხაწილეობს მომხმარებლისთვის, ასციენტისთვის ექიმის მიერ შერჩეული მკურნალობის და დიაგნოსტიკის სქემების გათვალისწინებასა და დაცვაში და, შესაბამისად, პაციენტის ქცევის მოდელს აყალიბებს. კვლევას ექნება რეკომენდაციის ხასიათი პირველადი ჯანდაცვის სერვისის მიმღებების პროგრამულებისათვის. კვლევის შედეგები გამოყენებული იქნება პირველადი ჯანდაცვის მომსახურების ხარისხის სტრატეგიული გეგმის შემუშავების პროცესში.

საგვანძო სიტყვები: პირველადი ჯანდაცვა, საერთაშორისო სტანდარტიზებული კიონგარი, პაციენტის ქმაყოფილება, ჩართულობის პარამეტრები.

შესავალი

ჯანმრთელობა სრული ფიზიკური, სულიერი და სოციალური კეთილდღეობა. მედიცინა მრავალმხრივ საქმიანობას ითვალისწინებს, რომელიც, თავის მხრივ, ყველა რგოლს უკავშირდება. ჯანმრთელობის დაცვა მოწოდებულია, უზრუნველყოს საზოგადოების ჯანმრთელობის შენარჩუნების, დაცვისა და აღდგენის პროცესი, რაც საზოგადოების არსებობის და განვითარების აუცილებელი პირობება. თავის მხრივ, საზოგადოებრივი ცხოვრების თანდათან ცვლილება ჯანდაცვის სისტემის განახლებასაც მოითხოვს. ამგვარად, ჯანდაცვა არის როგორც საზოგადოების კეთილდღეობის, ისე ქვეყნის ეკონომიკური მდგრამარეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინდიკატორი. შესაბამისად, ჯანდაცვა საზოგადოების მიერ აღიქმება, როგორც ცხოვრების დონისა და ხარისხის აუცილებელი შემადგენელი კომპონენტი, რომელიც მთავარ როლს თამაშობს სახელმწიფოს ეკონომიკურ განვითარებაში და უზრუნველყოფს შრომითი რესურსების წარმოებასა და ხარისხს. მედიცინა თავისი არსით მომსახურების სფეროს მიეკუთვნება, რომელიც თანამედროვე ეკონომიკის ერთ-ერთი პერსპექტიული მიმართულებაა. ამ სფეროში განსაკუთრებული ადგილი უკავია ჯანდაცვას, რომელიც საკმაოდ დიდ ინვესტიციებას საჭიროებს. ჯანდაცვის ეროვნული სისტემები ყველა ქვეყანაში განსხვავებულია.

ჯანდაცვაში სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით დიდი ბრიტანეთი დაიდერობს. ბევრი ქვეყანა ასუსტებს სახელმწიფო კონტროლს და ნერგავს საბაზრო მექანიზმებს, რაც ჯანდაცვაში პაციენტთა ნაწილობრივ მონაწილეობას გულისხმობს. ჯანდაცვაზე გაწეულ მთლიან დანახახაჯებში სახელმწიფოს წილის ზრდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დაიწყო და 1980 წლამდე გაგრძელდა, დღესდღეობით, მსოფლიოში ხდება კერძო სექტორის წილის ზრდა, რაც საბაზრო ეკონომიკის განვითარებას უკავშირდება.

თქმის აქტუალობა განპირობებულია მსოფლიოში მიმდინარე სისტემური ცვლილებებით გ სტანდარტზარით, ბიზნესის ინტერნაციონალიზაციით და, რაც მთავარია, სამედიცინო ბიზნესის მართვაში სისტემური მიღების როლის გაზრდით. საბაზრო ეკონომიკის პირობებში, სამედიცინო საქმიანობის პროცესში აუცილებელი ხდება სერვისის მიღების მამოტიფირებელი ფაქტორების, ასალი მიღების შესწავლა და გამოყენება, რადგან სწორედ ეს ფაქტორები ახდენს ყველაზე შესამჩნევ გავლენას პაციენტის ქცევის ცვლილებებზე. მომსახურების

სფერო მსოფლიო ეკონომიკის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მიმართულებაა. იგი პერსპექტიული და სწრაფად განვითარებადი დარგია. რაც დრო გადის, მომსახურების სფეროს სულ უფრო მეტი კურადღება ექცევა, კერძოდ იმას, თუ რისი მიღება სურს მომხმარებელს და რა მოტივაცია გააჩნია მას. კაცობრიობის ისტორიაში სამედიცინო სფერო ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ მომსახურების სფეროდ განიხილება. საჭიროების დადგომის შემდეგ მისგან თვის არიდება თითქმის წარმოუდგენელია. დღეს ამ სფეროში ძალიან მნიშვნელოვანია მომხმარებლის მოლოდინების გამართლება და ისეთი გარემოს შექმნა, რომელიც მათ ლოიალურ გახდის. სამედიცინო მომსახურების სფეროს მიმართულებით გარემო დღითი დღე უფრო კონკურენტუნარიანი ხდება.

პირველადი ჯანდაცვის თავისებურებები

ჩვენს ქვეყანაში სამედიცინო სერვისების მიღება მომხმარებლებს შეუძლიათ სახელმწიფო პროგრამებში ან კერძო სადაზღვევო სქემებში მონაწილეობით. მომხმარებელს ასევე აქვს შესაძლებლობა, სამედიცინო სერვისი თვითდინებით, ანუ ჯიბიდან გადახდის საშუალებით მიღიღოს. ამ შემთხვევაში სშირად ადგილი აქვს პირველადი ჯანდაცვის ძირითადი რგოლის – ოჯახის ექიმის გვერდის ავლას. პირველადი ჯანდაცვის ექიმისთვის პაციენტთან ურთიერთობა უწყვეტი პროცესია. იგი პაციენტს ხანგრძლივად, ზოგჯერ კი მთელი სიცოცხლის განმავლობაში აკვირდება. შედეგად, ექიმმა კარგად იცის კონკრეტული პაციენტის სამედიცინო ისტორია. ეს ცოდნა კი მას საშუალებას აძლევს მართოს დაავადება, მოახდინოს სამედიცინო ხარჯის მინიმუმადე დაყვანა და სამედიცინო მომსახურების უწყვეტობის შენარჩუნება. თუმცა, სშირად ადგილი აქვს ამ რგოლის ამოგდებას და ისეც ხდება, რომ ამბულატორიული შემთხვევის დადგომისას პაციენტს არ მართავს ოჯახის ექიმი.

ჯანდაცვა როგორც სისტემაა. პაციენტს უძნელდება იმის გარკვევა, თუ როგორ ექიმს მიმართოს და რა სახის სამედიცინო სერვისები ჩაიტაროს. ასეთ სისტემაში მას სწორედ ოჯახის ექიმი უწევს კოორდინაციას. შესაბამისად, ოჯახის ექიმის მიმართ პაციენტის ნდობის ჩამოყალიბება საბოლოოდ ეკონომიკური სარგებელის და სამედიცინო ხარისხის ამაღლების ერთ-ერთი წინაპირობაა. ექიმი ამ შემთხვევაში გვევლინება არა მხოლოდ როგორც პაციენტის მკურნალი, არამედ ის არის პაციენტის სამედიცინო გზის დამგეგმვი, დამკვალიანებელი. რაც უფრო კმაყოფილია პაციენტი პირველადი ჯანდაცვის პროგრამის დაწესებულების და კონკრეტული ოჯახის ექიმის მომსახურებით, მით უფრო იზრდება იმის აღბათობა, რომ სამედიცინო შემთხვევა პირველადი ჯანდაცვის რგოლის მიერ ეფექტურად იქნება მართული.

სამედიცინო მომსახურების, მით უფრო ამბულატორიული სერვისის სირთულე განპირობებულია იმ გარემოებით, რომ გაწეული სერვისების ხელით შეხება შეუძლებელია. მხელია მათი მახსასიათებლების გაზომვა და, რა თქმა უნდა, მოითხოვს მადალი კვალიფიკაციის სპეციალისტ (სამედიცინო) ცოდნას. მომხმარებლებს უძნელდებათ ჯანდაცვის სერვისების ხარისხის წინაპირობა შეფასება, რადგან ეს მხოლოდ მათი მიღების შემდეგ არის შესაძლებელი და რიგ შემთხვევაში შეუძლებელიც. ამასთანავე, პირველადი ვიზიტი სამედიცინო დაწესებულებების სულაც არ გულისხმობს იმას, რომ ეს პაციენტი სერვისის მიმწოდებლების ძიებას არ განაგრძობს და ეხება როგორც სამედიცინო დაწესებულებას, ასევე მკურნალექიმს. პაციენტთა კმაყოფილება მნიშვნელოვან გაფლენას ახდენს სამედიცინო მომ-

სახურების უწყვეტობაზე. ეს უკანასკნელი კი, ჯანდაცვის სერვისების ხარჯთვეფექტურობის გარდა, სერვისების აღვევატურ უტილიზაციას განაპირობებს. პაციენტზე ორიენტირებული ჯანმრთელობის დაცვის სისტემის განვითარებისათვის მნიშვნელოვანია, გაუმჯობესდეს როგორც სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობა, ასევე, ხარისხი. სამედიცინო დახმარების ბაზარი კარდინალურად განსხვავდება ყველა სხვა ტიპის ბაზრისაგან. იგულისხმება ის, რომ სამედიცინო განათლების არმქონე ადამიანისთვის პრაქტიკულად წარმოუდგენელია სამედიცინო დახმარების ხარისხის განსაზღვრა და ამის საფუძველზე მისოვის სასურველი სერვისის ამორჩევა. სამედიცინო სერვისების თავისუფალი ბაზრის პრინციპებზე გადასცლის მოწინააღმდეგები მიიჩნევენ, რომ სამედიცინო განათლების არმქონე ადამიანი (პაციენტი, ასევე მის ოჯახის წევრი) სრულიად არაკვალიფიციურია თავად განსაზღვროს არათუ სამედიცინო დახმარების სერვისის ხარისხი, არამედ ისიც კი, საერთოდ დგას თუ არა ადამიანისთვის სერვისის მიღების საჭიროება. მომხმარებლებს (პაციენტებს) შესაძლოა აქვთ თავისუფალი არჩევანის შესაძლებლობა. მათ შეიძლება აირჩიონ კონკრეტული სამედიცინო დაწესებულება, თუმცა ვერ აირჩევენ მომსახურების მოცულობას. მომხმარებელმა შესაძლოა განსაზღვროს სამედიცინო დაწესებულება მხოლოდ გამართული ინფრასტრუქტურით და მაღალტექნოლოგიური აპარატურით, თუმცა მიღებული მომსახურების განსაზღვრა გარკვეულ სირთულეებთან არას დაკავშირებული. თავისუფალი ბაზრის ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნაა მომხმარებლის სრული ინფორმირებულობა შესაძენი საქონლის (ან მომსახურების) ფასზე, მოცულობასა და ხარისხს. სამედიცინო ბაზარზე, მისი სპეციფიკურობიდან გამომდინარე, უფრო რთული მდგომარეობა შეინიშნება, რაც განპირობებულია სამედიცინო დახმარების ხარისხის განსაზღვრის ზუსტი კრიტერიუმების არარსებობით. უპირველეს ყოვლისა, სამედიცინო მომსახურების მომხმარებელი არ ფლობს ისეთი სახის ცოდნას, რომლის მეშვეობითაც სამედიცინო ორგანიზაციასა და ექიმს რაციონალურად აირჩევდა და, შესაბამისად, მიიღებდა მაღალი ხარისხის სამედიცინო მომსახურებას. პაციენტის შთაბეჭდილება უმთავრესად წინა მკურნალობით მიღებული გამოცდილებით ან სხვა ექიმთა აზრით განისაზღვრება. საჭირო ინფორმაციის მოპოვება დროსა და რესურსებთან დაკავშირებულ გარკვეულ სარჯებს მოითხოვს. ინგლისის ჯანდაცვის ეკონომიკის ექსპერტთა თვალსაზრისით, რაც უფრო ინფორმირებულია მომხმარებელი და რაც უფრო ნაკლებია ძიების დანახარჯები, საბაზრო სტრუქტურა მით უფრო ახლოს არის სრულყოფილ კონკურენციასთან [Health economics, Barbara Mcpake, 2003 გვ. 202].

პაციენტებმა არ იციან სამედიცინო დახმარების როგორი გადაწყვეტილებები მიიღება არა ცალკეული მომხმარებლის ინფორმირებულობის და ფინანსური შესაძლებლობების შესაბამისად, არამედ მისი ჯანმრთელობის საჭიროებებიდან გამომდინარე. კლასიკური მოდელის მიხედვით, აუცილებელი სამედიცინო მომსახურების შენად გადაწყვეტილება თავად მომხმარებელმა უნდა მიიღოს.

სამედიცინო სფეროში ინდივიდუალური გადაწყვეტილებები მიიღება არა ცალკეული მომხმარებლის ინფორმირებულობის და ფინანსური შესაძლებლობების შესაბამისად, არამედ მისი ჯანმრთელობის საჭიროებებიდან გამომდინარე. კლასიკური მოდელის მიხედვით, აუცილებელი სამედიცინო მომსახურების შენად გადაწყვეტილება თავად მომხმარებელმა უნდა მიიღოს.

საინტერესოა კლინიკისა და ექიმის შერჩევის პროცესში რეპუტაციული პარამეტრების მნიშვნელოვნების განსაზღვრა. სამედიცინო დაწესებულება არ არის


საბანკო სერვისი, სადაც შესაძლოა მისაღები იყოს სტანდარტული მომსახურების პარამეტრების არსებობა.

საყოველთაოდ მიღებულია, რომ სამედიცინო მომსახურების ხარისხის შეფასების არსებით ინდიკატორს წარმოადგენს პაციენტის კმაყოფილების მაჩვენებელი, სამედიცინო მომსახურების შესაბამისობა პაციენტების და მათი ოჯახის წევრების მოლოდინთან. პაციენტთა კმაყოფილების შესწავლის ფართო გავრცელებას ხელი შეუწყო ორმა მოცემულობამ: ერთი მხრივ, მთელ მსოფლიოში პაციენტთა უფლებების დაცვის გაზრდამ და, მეორე მხრივ, მედიცინაში საბაზო ეკონომიკის ასპექტების დამკვიდრებამ და პაციენტის ე.წ. მომხმარებლის რანგში გადანაცვლებამ. პაციენტთა აზრის შესასწავლად შემუშავებულია და გამოიყენება სხვადასხვა ინსტრუმენტები. სპეციალური ლიტერატურის გაცნობა ადასტურებს, რომ თანამედროვე ეტაპზე ფართოდ გამოიყენება როგორც ხარისხობრივი, ისე რაოდენობრივი კვლევები. როგორც წესი, ამ ტიპის კვლევები ტარდება ორ დონეზე. პოპულაციურ დონეზე კვლევების ჩატარება მიზნად ისახავს ეროვნული მასშტაბით ჯანმრთელობის დირექტულებებისა და პრიორიტეტების გამოვლენას.

პაციენტთა კმაყოფილების დონისა და ხარისხის შესასწავლად აქტიურად გამოიყენება ევროკომისის კითხვარი „ეურობარომეტრიკა“ და სტანდარტიზებული საერთაშორისო კითხვარი „ეუროპეიკი“. ევროსაბჭოს მიერ შემუშავებული მეთოდოლოგია - „ევრობარომეტრი“ - მიზნად ისახავს პაციენტთა უსაფრთხოებისა და ჯანდაცვის ხარისხის საკითხების შესწავლას, ხოლო ევროპეიკი - პრაქტიკოსი ექიმებით პაციენტთა კმაყოფილების შესწავლას. 2009 წელს „ევრობარომეტრის“ გამოყენებით კვლევა ჩატარდა 27 ქვეყანაში და მოიცა 406.557.138 ადამიანი. 1995-1998 წლებში მეცნიერთა ჯგუფმა შეიმუშავეა პაციენტების მიერ ზოგადი პრაქტიკის შეფასების საერთაშორისო სტანდარტიზებული ინსტრუმენტი - „ევროპეიკი“ [<https://www.ncbi.nlm.nih.gov/pmc/articles/PMC3409606/>]. მოცემული მეთოდოლოგია გამოყენებულია უკვე 20-ზე მეტ ქვეყანაში. სტანდარტული „ევრობარომეტრის მოდელი“ შემუშავდა 1973 წელს და ტარდება როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისებრივი კვლევების სახით. თითოეული რაოდენობრივი კვლევა მოიცავს 1000 პირისპირ ინტერვიუს ევროკავშირის ქვეყნებისთვის. კვლევების შედეგები ქვეყნება წელიწადში თრჯერ.

სწორედ ზემოაღნიშნული მეთოდოლოგიის საფუძველზე შემუშავდა ჩატარებული კვლევის ძირითადი კითხვარი. კვლევის კითხვარი შედგებოდა პაციენტის ჩართულობის მნიშვნელოვნების ბლოკისგან. შერჩევის (იმავე ამონაკრების ზომა) - 100 პაციენტი, რომლებმაც ისარგებლეს ოჯახის ექიმის მომსახურებით კონკრეტულ სამ ამბულატორიულ სამედიცინო დაწესებულებაში. კვლევა ჩატარდა ქალაქ თბილისში და ამბულატორიული კლინიკები შეირჩა ვაკე-საბურთალოს, მუნიციპალიტეტის და ვარკეთილის ტერიტორიაზე. როგორც უპეე აღინიშნა, კვლევა მულტიდისციპლინური ხასიათისაა და აღმოჩნდა რომ ოჯახის ექიმის მომსახურებით კმაყოფილებასა და კლინიკით კმაყოფილებას შორის დაფიქსირდა მაღალი დადებითი კორელაცია (სპირმენი) - $r=0.62$, $p=0.000$. მიმართება ოჯახის ექიმის მომსახურებით კმაყოფილებასა და კლინიკით კმაყოფილებას შორის, ანუ რაც უფრო კმაყოფილია პაციენტი ოჯახის ექიმის, მით მეტად კმაყოფილია კლინიკისაც (იხ. ცხრილი 1).

ცხრილი 1



როგორც აღინიშნა, კარგი შედეგია მიღებული ოჯახის ექიმის მომსახურებით კმაყოფილებასა და კლინიკით კმაყოფილებას შორის კაგშირის დადგენის დროს. კორელაციური ანალიზიდან ასევე ჩანს, რომ ოჯახის ექიმის მომსახურებით კმაყოფილებასა და კლინიკით კმაყოფილებას შორის კორელაცია ყველა დემოგრაფიულ ჭრილში (ჯგუფთან) სტატისტიკურად მნიშვნელოვანია, ანუ რაც უფრო კმაყოფილია პაციენტი ოჯახის ექიმით, მით უფრო კმაყოფილია კლინიკის მომსახურებითაც და დადგებითი ტენდენცია გამოიკვეთა ნებისმიერი სქესის, ასაკის და განათლების დონის მქონე პაციენტებში (ცხრილი 2).

ცხრილი 2

სპირმენის კორელაციის კოეფიციენტი		
ჯამური		0.62*
ფილიალი	ვარკეთილი	0.70*
	ვაჟა	0.54*
	მუხიანი	0.64*
სქესი	ქალი	0.60*
	ქაცი	0.64*
ასაკი	18-35	0.72*
	36+	0.52*
განათლების დონე	უმაღლესი	0.53*
	დაწყებითი/ საშუალო	0.73*

კვლევის საშუალებით გაიზომა სამედიცინო სერვისის მიღების პროცესში პაციენტის ჩართულობის პარამეტრების მნიშვნელოვნება. აღმოჩნდა, რომ ზოგადად ყველა დებულება პაციენტისათვის, მომსახურების მიღების პროცესში საქმაოდ მნიშვნელოვანია და მაღალ შეფასებას ანიჭებენ თითოეულ მათგანს. შესაბამისად, არსებობს ვარაუდი იმისა, რომ ამ პარამეტრებზე ზემოქმედება პაციენტში გაზრდის ოჯახის ექიმის მიმართ დოაღმინდების ხარისხს (ცხრილი 3).

ცხრილი 3

მაჩვენებელი	საშ. ქულა
-------------	-----------

ექიმმა მოგაწოდოთ საქმარისი ინფორმაცია თქვენი დაავადების და სიმპტომების შესახებ	6.5
ექიმმა აგიხსნათ სამედიცინო გამოკვლევების, ჩარევების, მკურნალობის არსი და მიზანი	6.5
ექიმი აგიხსნათ, თუ რატომ არის მნიშვნელოვანი, რომ შეასრულოთ მისი რჩევები	6.5
დაგიხსახელოთ სავარაუდო დიაგნოზი	6.5
გამოვლინოს ინტერესი კონკრეტულად თქვენი შემთხვევის მიმართ	6.5
გზონდეთ შესაძლებლობა, ტელეფონით ესაუბროთ ექიმს თქვენთვის საჭირო დროს?	6.5
კონსულტაციის დროს გაგრძნობინოთ, რომ საქმარისი დრო არ აქვს თქვენთვის	6.5
ჩამოგათვლევინოთ დამახასიათებელი სიმპტომი, გაგახსენათ, რაც არ გახსოვდათ	6.4
შექმნას გარემო,, სადაც ოგისუფლად შეგიძლიათ უამბოთ თქვენი პრობლემების შესახებ	6.4
თქვენი პირადი მონაცემები და ჩანაწერები იყოს კონფიდენციალური	6.4
აგიხსნათ დიაგნოზის ალტერნატიული ვერსიები	6.4
ეცადოს, ჩაწვდეს თქვენს პრობლემებს	6.4
ექიმის დამხმარე პერსონალმაც გაგრძნობინოთ მზადყოფნა თქვენს მხარდასაჭირად	6.4
ეცადოს, ჩართული იყოთ გადაწყვეტილების მიღების პროცესში	6.4
ახსოვდეს, თუ რა გითხვათ წინა შეხვედრის/კონსულტაციის დროს	6.2

დასკვნა

პაციენტის ქმაყოფილებასა და სამედიცინო პროცესებში მის ჩართულობას შორის დადგბითი კორელაციის აღმოჩენა იძლევა საშუალებას, შემცირდეს იმის აღბათობა, რომ პაციენტმა მეორად გეგმიურ სერვისებს მიმართოს პირველადი რგოლის (ოჯახის ექიმთან კონსულტაცია) გამოტოვებით, რაც, გარდა იმისა, რომ გაზრდის აღრეული დიაგნოსტიკისა და მკურნალობის შემთხვევებს, საბოლოოდ შეამცირებს როგორც პაციენტის, ისე ჯანდაცვაზე გაწეულ სახელმწიფო დანახარჯებს. საბოლოო ჯამში, ეს იქნება სოციალური სარგებელი. ცალკე აღნიშვნას საჭიროებს პოლიკრაგმაზის (ავადმყოფისათვის ერთდროულად გაუმართლებლად მრავალი წამლისა და სამქურნალო პროცედურის დანიშვნა) მწვავე პრობლემა. იმ შემთხვევაში, თუ კლინიკის მენეჯმენტი გააკონტროლებს გაიდლაინების და პროტოკოლების აქტიურ სარგებლობას საოჯახო მედიცინის მიმართულებლად, ოჯახის ექიმის კონსულტაციაზე მისულ პაციენტს, რომელსაც აქვს მაღალი ნიობა ოჯახის ექიმის და როგორც კვლევიდან იგეთვება შესაბამისად, კლინიკის, ნაკლებად გაუჩნდება მოტივიაცია შეიძინოს სხვადასხვა საინფორმაციო სივრცეში გამოცდილი მედიკამენტები.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ღვედაშვილი ნარია, ჯანდაცვის ეკონომიკა და მართვა, 2005, ობილისი,

2. ბარათაშვილი ქ., ქოქიაური, ლ. 2010, მენეჯენტის პრინციპები, ობილის.
3. Donabedian, I., D.Locke and D.Dunt, I., J.Ware, I., & R. (6.д.). *Predictors of patient satisfaction*. Maxwell, 1984).
4. Barbara Mcpake, L. K. (2003). Health Economics: An International Perspective. Routledge, London and New York. 83-206.
5. Blaxter, M. (1990). *Health and Lifestyles*. New Fetter Lane, London EC4P 4EE: Routledge, p. 268.
6. Blaxter, M. (1990). 'healthy' lifestyle.
7. Dunt, D. L. (6.д.). *Problems in the conceptual framework of patient satisfaction research: an empirical exploration*.
8. Grol, R. (2002). *Improving Patient Care: The Implementation of Change in Health Care*. Radboud University Nijmegen, Netherlands: Netherlands.

Tamar Butsashvili

PhD student in Business Administration

University of Georgia

COST-EFFECTIVE PRIMARY HEALTHCARE AND ITS BENEFITS

Expanded Summary

The complexity of medical services, especially outpatient services, is caused by the circumstances that provided services are not tangible. It is difficult to measure their characteristics, and of course, it requires high qualified, specific (medical) knowledge. Consumers find it difficult to evaluate the quality of healthcare services in advance since it is possible only after receiving them (in some cases it is even impossible). At the same time, the initial visit to a medical establishment does not mean that a patient is not looking for any other service provider, and this applies both to the medical establishment and the treating doctor. The patient's satisfaction has a significant impact on continuing medical care. And the latter one, apart from cost-effective medical services, determines the adequate utilization of services. For the progress of the patient-oriented healthcare protection service it is important to improve both the accessibility of medical services and their quality. The medical care market differs fundamentally from any other market. It means that it is practically impossible for a person who has no medical education to define the quality of medical help and, based on this, to choose a more suitable service. Opponents of transition to free market principles of medical services consider that a person who does not have medical education (a patient, as well as a member of his/her family) is not completely qualified to define not only the service of medical care itself, but also whether it is necessary at all for a person to use these services. Consumers (patients) may have an opportunity of free choice. They might choose a specific medical establishment, but they will not be able to choose the scope of the service. The consumer may define the medical institution for its good infrastructure and high-tech equipment, although the definition of the services received is associated with certain difficulties. Free healthcare consumers do not know which type of medical care is more effective for them, what type of medical care they need, or what benefit the proposed medical assistance will bring to them. It is also difficult for patients to assess the quality and outcome of the undergone treatment. It is

due to these factors in the field of medical services that it is hard to conduct effective communication.

In the medical field individual decisions are made not in accordance with the awareness and financial possibilities of individual consumers, but based on their health needs. According to the classical model, the decision on the purchase of medical services should be made by the consumer himself.

It is interesting to consider the meaning of reputation criteria during the selection of doctor and clinic. A medical establishment is not a banking service where the existence of standard service parameters can be applied.

The indicator of quality of medical services is the index of patient satisfaction. Two factors contributed to the spreading of the extensive study of patient satisfaction: on the one hand, the growth of protection of patients' rights throughout the world, and on the other hand, the legitimization of the market economy aspects in medicine and the transfer of patients to the rank of consumers. With such a background it becomes clear that the engagement of patients in the decision-making process has increased. According to the developed recommendations from the Parliamentary Assembly of the European Consulate, the guarantee for quality assurance of medical services on the part of the government demonstrates protection of the dignity and rights of patients. And at the same time, it is recognized that every citizen should take an active part in these processes. In addition to rights, patients are assigned a certain kind of responsibility. It is much more difficult to ensure participation of patients at all stages of medical services. To provide these processes while improving the quality of medical services, special initiatives, schemes and opinions are being developed to involve patients. To study the opinions of patients different tools are developed and applied. To study the satisfaction of patients by level and quality, the questionnaires of the European consulate, the Eurobarometer and the standardized international questionnaire of Europep are used. Methodology developed by the European consulate - Eurobarometer - aims to study the patient safety and health care issues, while Europep studies the satisfaction of patients with the services of practicing doctors. In 2009, due to the use of the Eurobarometer, a study was conducted in 27 countries, and the survey included 406,557,138 people. In 1995-1998 the group of scientists developed an international standardized tool for general practice evaluation by patients -Europep (<https://www.ncbi.nlm.nih.gov/pmc/articles/PMC3409606/>).

This methodology is already used in more than 20 countries. With this having been taken into consideration, a questionnaire for quantitative research was developed, which consisted of a section on the significance of the patient engagement. The size of the selection (random selection) is 100 patients who used family doctor services in Tbilisi, in three specific outpatient medical establishments. It turned out that there was a high positive correlation between family doctor services and the satisfaction with the clinic - (Spearman) - $rs=0.62$, $p=0.000$.

გთხვი ბრეგაძე

ივ.ჯავახიშვილის სახელობის ობილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი

ტურიზმის პირდაპირი ეკონომიკური სარგებლიანობის გამოთვლის
მეთოდოლოგიური საკითხები

რეზიუმე. ტურიზმის სწრაფმა ზრდამ და დიკერსიფიკაციამ საჭირო გახდა ამ გლობალური ფენომენის უფრო სიღრმისეული შესწევლა და ტურიზმის ეროვნულ გეონომიკაზე რეალური გავლენის გაზრდის აუცილებლობის საკითხი დააყენა. ნაშრომში ხაზასმულია ტურიზმის პოტლებმათ კვლევაზე დაფუძნებული ხასელმწიფო პოლიტიკის შემუშავების აუცილებლობის საკითხი. საქართველოში ბოლო პერიოდში მოგზაურების გაზრდილი რაოდენობა და მათი კონტრიბუცია გეონომიკაში ხაზოვალების უდიდეს ინტერესს იწვევს. ნაშრომში მიზანი ხასრული მხოლოდის გაფრცელებული ტურიზმის პირდაპირი ეკონომიკური ეფექტების მეორედოლოგიების ანალიზია, რაც ამ სივროში თანამდებობის კონტრიკური პოლიტიკის შემუშავების საფუძველი უნდა გახდეს.

საკვანძო სიტყვები: ტურიზმის ეკონომიკური ეფექტიანობა, ტურისტული დანახახარჯი, ტურიზმის პოლიტიკა, ტურიზმის კვლევები.

შესავალი

დღესდღეობით ტურიზმი მნიშვნელოვანი ეკონომიკური აქტივობაა ქვეყნების უმრავლესობაში. მისი გავლენა ეკონომიკაზე მრავალმხრივია. ტურიზმი ეხმარება ადგილობრივ მცხოვრებლებს, გაიუმჯობესონ ეკონომიკური მდგრმარეობა, გაზარდონ შემოსავალი და დასაქმება, შექმნან ახალი პროდუქტები და ბიზნესები.

ტურიზმი განვითარებად ქვეყნებში, როგორც ეკონომიკური განვითარების საშუალება, განსაკუთრებით აქტუალურია და არც საქართველოა ამ მხრივ გამონაკლისი. ტურიზმს სხვა ინდუსტრიებზე უფრო სწრაფად შეუძლია ეკონომიკური განვითარების წახალისება, ის სწრაფად ახდენს საჭირო ფინანსური კაპიტალის გენერირებას, ხრდის ქვეყნის ტურისტული დასტინაციის ცნობადობას, აუმჯობესებს ინფრასტრუქტურას და ქმნის ახალ სამუშაო შესაძლებლობებს. განვითარებად ქვეყნებში ტურიზმის განვითარებისგან სარგებელი უფრო თვალსაჩინოა. იმ შემთხვევაში, თუ ქვეყნა შეძლებს ვიზიტორების მოთხოვნის ხარისხიანად დაქმაყოფილებას, მაშინ ქვეყნის საექსპორტო შემოსავლები მნიშვნელოვნად იზრდება [Edgell, Swanson, 2013:90-91]. ამ შემოსავლების ნაწილი მიედინება საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფისკენ და თუ სახელმწიფოს ტურიზმის პოლიტიკა შევეთრად სიღარიბის დაძლევაზეა ორიენტირებული, ამით სარგებლობას მოსახლეობის დარიბი ჯგუფები იღებენ. ეს შესაძლებელია ადგილობრივი მოსახლეობის ტურიზმის საწარმოებში დასაქმებით, ტურისტებისთვის საქონლისა და მომსახურების მიყიდვით ან მცირე საწარმოს ფუნქციონირებით, რითაც საზოგადოებაში სიღრიბის დონე მცირდება.

ტურიზმი, განსაკუთრებულად კი საერთაშორისო ტურიზმი უმნიშვნელოვანების ეკონომიკური განვითარების საშუალებაა სოფლის მოსახლეობისთვის. სოფლის მოსახლეობას მრავალი საინტერესო სერვისის შეთავაზება შეუძლია ვიზიტორებისთვის. სოფლის მოსახლეობაში ტურიზმის ეკონომიკური განვითარების საშუალებად გამოყენების დამაბრკოლებელი ფაქტორები ადამიანური, ფინანსური და ტექნიკური რესურსების უკმარისობა შეიძლება იყოს. სოფლის მოსახლეობა დღესდღეობით ეძებს დომინანტი ინდუსტრიების (როგორიცაა ფერმერობა და მესაქონლეობა) ალტერნატივას, დამატებითი შემოსავლის წყაროს მიღების მიზნით. ტურიზმი შესაძლოა სწორედ ის ინდუსტრია იყოს, რომელიც მათ მოთხოვნებს მიესადაგება. თუმცა ამისთვის ბევრი დაბრკოლების გადალახვა საჭირო, მათ შორის კველაზე მნიშვნელოვანი სოფლის მოსახლეობაში ადგილობრივი რეზიდენტების მიერ ტურიზმის ეკონომიკური განვითარების საშუალებად აღიარება და ადგილობრივი რეზიდენტებისთვის ტურიზმის ინდუსტრიაში საჭირო

უნარების შესწავლაა. ტურიზმის, როგორც ეკონომიკური განვითარების საშუალების უპირატესობა მდგრადი იქნება იმ ფაქტში, რომ ის დამოკიდებულია ადგილის კულტურულ, ისტორიულ, ეთნიკურ, გეოგრაფიულ და ბუნებრივ უნიკალურობაზე. ეს რესურსები მოიპოვება საქართველოს ყველა სახოფლო რაიონში, არის განახლებადი და შექმლია ადგილობრივებს სიამაყის გრძნობა გაუჩინოს მათი სიმძიდრის ადგილობრივ და საერთაშორისო ვიზიტორებისთვის ჩვენებით [Edgell, Swanson, 2013:93].

საზოგადოებაში ტურიზმის ეკონომიკური ეფექტების მიმართ ინტერესი მზარდია. მათ აინტერესებთ ტურიზმის სექტორში შექმნილი სამუშაო ადგილების რაოდენობა, ღონისძიების მიერ გენერირებული შემთხვევალი და ეფექტი მთლიან ეკონომიკაზე. ტურიზმის ეკონომიკური სარგებლიანობის ანალიზი სწორედ ამ მოზანს ემსახურება. ტურიზმის ეკონომიკური მნიშვნელობის საზღაბავა საზოგადოებას, ბიზნესს და სახელმწიფოს ამ დარგის მიმართ მეტი პატივისცემით განაწყობს, რასაც, საბოლოო ჯამში, ტურიზმის სექტორისთვის ხელსაყრელ გადაწყვეტილებებამდე ან სახელმწიფო პოლიტიკამდე მიყვავართ. ტურიზმის ბიზნესები ერთმანეთზე და სხვა სექტორის ბიზნესებზე ძლიერ არის გადაჯაჭვული. ტურიზმის ეკონომიკური სარგებლიანობა და ხარჯები გარკვეულწილად ყველას ეხება საზოგადოებაში. ეკონომიკური ეფექტების ანალიზი იძლევა ამ ეკონომიკური ურთერთდამოკიდებულების შეფასებას, რაც ტურიზმის როლის და მნიშვნელობის უკეთ გააზრებას უწყობს ხელს.

* * *

ეკონომიკური ეფექტების ანალიზი დაგორუოთ ტურიზმის დანახარჯის ცვლილებით, გამოწვეული „პირდაპირი ეფექტის“ მნიშვნელობის განმარტებით. პირდაპირი ეფექტი, როგორც სახელიდან ჩანს, თავად ტურისტულ დანახარჯს წარმოადგენს. ყოველი კალეგისათვის ტურიზმის ეფექტის გასაზომად საწყისი წერტილია ტურისტების დანახარჯები განთავსებაზე, საკვებზე, დღესასწაულებზე, საყიდლებსა და სხვადასხვა ტურისტული დანახარჯების კარტებორიებზე. აღნიშნულის შეფასებას ვახდენთ განსხვავებული ტიპის მოგზაურის მიერ განხორციელებული დანახარჯების შესაბამისად. შემდეგ მოცემული დანახარჯების დიფერენცირება შესაძლებელი ხდება სხვადასხვა დანახარჯთა კატეგორიის მიხედვით. საბოლოო ნაბიჯს კი წარმოადგენს პირდაპირი ეფექტების გამოვლა ისეთ ცვლადებზე, როგორიც არის წარმოება, დასაქმება, ექსპორტი და გადასახადები.

ვიზიტორების დანახარჯების შეფასებას მსოფლიოში რამდენიმე მეთოდით ახდენენ. მათ შორისაა: საერთაშორისო და შიდა ვიზიტორების კვლევა, შემოსვლის და გასვლის ბარათვები, ეროვნული ბანკის კვლევა და ტურისტული ობიექტების კვლევა.

საერთაშორისო ვიზიტორების კვლევა. სმიტის (Smith) აზრით, „ტურიზმის ეკონომიკური ეფექტების კვლევების საზომების უმრავლესობა სპეციფიკური ინდიკატორებია, რომელიც მხოლოდ ვიზიტორების გამოკითხვის ბაზაზე არის დაფუძნებული“ [Smith, 2000:225]. ეს კვლევები დამყარებულია შერჩევაზე, რის შემდეგაც ხდება მათი მოლიან პოპულაციაზე განზოგადება. კითხვარში არსებული დანახარჯებთან დაკავშირებული კითხვები, როგორც წესი, გვაძლევს ვიზიტორის საშუალო დანახარჯის შეფასებას ერთ დღეში, შემდეგ ამ რიცხვის შესაბამისი ვიზიტორების რაოდენობაზე გადამრავლებით ვიღებთ ვიზიტორების მთლიან დანახარჯს [Crompton, Lee, Shuster, 2001:84].

მოგზაურების გამოკითხვა შესაძლებელია მაშინ, როცა ისინი შედიან ქვენის ტერიტორიაზე, ტოვებენ ქვეყნის ტერიტორიას ან გამოკვლევის ტერიტორიაზე იმყოფებიან. გარდა ამისა, სატრანზიტო კვლევები შესაძლოა ჩატარდეს, როცა

მოგზაურები მგზავრობები თვითმფრინავით, მატარებლით, ავტობუსით, გემით დესტინაციის კენა ან დესტინაციიდან და მას შემდგებ, რაც ვიზიტორები სახლში დაბრუნდებიან [Daniels, Margaret, Norman, Henry 2004:185]. ამ კვლევებიდან ყველაზე ნაკლებად დამაკმაყოფილებელი ვიზიტორების შემოსვლისას და სატრანზიტო პერიოდში გამოკითხვა, რადგან მათ არ შეუძლიათ რეალური დანახარჯების შესახებ ინფორმაციის მოძიება, მხოლოდ იმ თანხას იგბენ, რომლის დახარჯვაც მოსალოდნელია მოგზაურობის დროს. ინტერვიუს მეთოდები მოიცავს პერსონალურ და ოვითადმინისტრირებად გამოკითხვას (კითხვარების გადაცემა და შემდგა უკან გამორთმება ხდება შერჩეული ვიზიტორებისთვის).

ალბათობაზე დაფუძნებული ვიზიტორების შერჩევა არ არის მარტივი ამოცანა, თუმცა ის ერთადერთია შერჩევის მეთოდებს შორის, რომელსაც ვალიდური და სანდო შერჩევა შეუძლია პოპულაციის შესახებ [Vanhole, 2005:22]. გეთზის (Getz) აზრით, არც ერთი არაშემთხვევითი მეთოდი არ უნდა იქნეს გამოყენებული მთლიანი პოპულაციის მახასიათებლების შესაფასებლად, მაცრი სტატისტიკური პრაქტიკის შესაბამისად“ [Getz, 1994:440], რაც ნიშნავს კვოტირების და სხვა მოხერხებული შერჩევის მეთოდების უგულგებლეყოფას. ფლემინგის და ტოეპერის (ლემინგ ანდ თოეპერ) აზრით კი, დიდი შერჩევის ზომას არ შეუძლია დაფაქტური შერჩევის დიზაინის კომპენსირება [Fleming, Toepper, 1990:37].

მონაცემები ადასტურებს, რომ ვიზიტორების მიერ ქვეყნის დატოვებისას ჩატარებულ კვლევებს ყველაზე ზუსტი ინფორმაციის მოცემა შეუძლია ვიზიტორების დანახარჯებზე, თუ ინფორმაციის გახსენება ხდება წინა 24 საათის შესახებ და გამრავლებულია გამოთვლილი გაჩერების საშუალო პერიოდზე [Frechting, 1994:370].

შემოსვლის და გასვლის ბარათები. ბევრ ქვეყანაში შემოსვლის და გასვლის ბარათები უმნიშვნელოვანების წყარო საერთაშორისო ვიზიტორების დინების და მათი მახასიათებლების შესახებ, მათ შორის დანახარჯებისაც. მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის 2008 წლის რეკომენდაციებში ნახსენებია, რომ როდესაც შემომეუანი მოგზაურობის გაზომვის შესაძლებლობა არის საზღვრებზე, რეკომენდებულია ისეთი ადმინისტრაციული კონტროლის საშუალება, როგორიცაა შემოსვლა/გასვლის ბარათები შეიცვლოს ან ჩანაცვლდეს მოგზაურების კვლევით, ძირითადად მაშინ, როცა ვიზიტორები ქვეყანას ტოვებენ. შემოსვლის და გასვლის ბარათების ვიზიტორების კვლევით ჩანაცვლების რეკომენდაცია გამოწვეულია ამ მეთოდის ნაკლოვანებებით. აეროპორტის და იმიგრაციის ადმინისტრაციის ხედვა დაგავშირებულია მომხმარებლების უმაღლესი ხარისხის მომსახურების მიწოდებასა და უცხოელი ვიზიტორების რეგისტრაციის ავტომატიზაციასთან. ისინი ცდილობენ, შეამცირონ მგზავრების ჩამოსვლის დაბრკოლებები აეროპორტებში. მათი ხედვით ეს მიზანი უმნიშვნელოვანებია მასპინძელი ქვეყნის თვის და შემოსვლა/გასვლის ბარათები სწორედ ამ დაბრკოლებაში მოიაზრება, რადგან დაკავშირებულია ვიზიტორების მთლიანი რაოდენობის მიერ მონაცემების ხელით შეევანასთან.

ბარათების სხვა ნაკლოვანება დაკავშირებულია მის ზომასა და ადმინისტრირებასთან. ბარათები, როგორც ინფორმაციის წყარო შეზღუდულია ბარათის ზომიდან გამომდინარე. მისი ზომის გაზრდა მასში დამატებითი კითხვების შეტანით არც ისე ადვილია. რაც უფრო მეტი დრო სჭირდება ბარათის შევსებას, უფრო როგორია მათი ადმინისტრირება, შესაბამისად უფრო როგორია ყველა მგზავრის დარწმუნება მათ შევსებაში. ლოგისტიკასთან დაკავშირებული საკითხები ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დაბრკოლებაა შემოსვლა/გასვლის ბარათების გამოყენებისას. ბარათების ბრუნვის შეკონვენები, რომელიც დაკავშირებულია მის ერთად მოგროვებასთან, აღრიცხვასა და დეკოდირებასთან, იწვევს დაგვიანებულ ანალიზს და მონაცემთა გამოქვეყნებას. ასევე, გაზრდილი

აეროპორტების რაოდენობის და მგზავრთა ნაკადის პირობებში მომატებული ბარათების რაოდენობა მოითხოვს დამატებით მუშახელის დაქირავებას, რაც მონაცემებზე პასუხისმგებელ ორგანოს მძიმე ტვირთად აწვება.

მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის გამოკითხვის თანახმად, მსოფლიოს 125 ქვეყნიდან, სადაც შემომყვანი ტურიზმის შესახებ ინფორმაციას აგროვებენ, 90 იუნებს შემოსვლის და გასვლის ბარათებს, მას მოსდევს საერთაშორისო ვიზიტორების კვლევა და განთავსებებში ვიზიტორების გამოკითხვა. ბევრი ქვეყანა მათი გამოკითხვის მეთოდების კომბინირებას ახდენს. ათიდან შვიდი ქვეყანა მსოფლიოში იუნებს შემოსვლა/გასვლის ბარათებს, თუმცა ეს მაჩვენებელი უფრო მცირება ეკრობაში, სადაც საზღვრები დია და უფრო დატვირთულია. აქ მსოფლიო ათიდან 5 ქვეყანა იუნებს ამ მეთოდს. ეს მაჩვენებელი ბევრად უფრო დიდია აზიურ ქვეყნებში [UNWTO, 1978:18]. თუ დავაკვირდებით როგორ იცვლება შემომყვანი ტურიზმის გაზირების მეთოდოლოგიების გამოყენება დროთა განმავლობაში შევამჩნევთ, რომ ბარათების გამოყენება სტაბილურია ან ოდავ მცირდება მსოფლიოში, მაშინ როცა შემომყვანი ვიზიტორების კვლევის გამოყენება გასამაგრდა ბოლო 20 წლის განმავლობაში. სავარაუდოა, ეს ტენდენცია მომავალშიც გაგრძელდება [UNWTO, 2005:10].

შიდა ვიზიტორების კვლევა. მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაცია შინამეურნეობების კვლევას ყველაზე ევექტურ და მოხერხებულ ინსტრუმენტად განიხილავს შიდა ტურიზმის აქტივობების გასაზომად [UNWTO, 2005:1]. ბევრ ქვეყანას აქვს სისტემები, სადაც მუდმივად ხდება ალბათურ შერჩევაზე დაფუძნებული შინამეურნეობების გამოკითხვების ჩატარება სამომხმარებლო დანახარჯებზე, პირად შემოსავალზე, დასაქმებაზე, სამუშაო ძალაში მონაწილეობასა და სამომხმარებლო თავისებურებებზე [UNWTO, 2005:28]. ვიზიტორებს სთხოვენ, განასხვაონ ჩვეული გარემოს გარეთ გაკეთებული შესყიდვები ადგილობრივისგან. ზოგ შემთხვევაში შინამეურნეობების კვლევები მთლიანად შიდა ტურიზმის აქტივობებსა და დანახარჯებზე ინფორმაციის მოსაძიებლად ტარდება [Dae-Kwan, Spots, Holecek, 1998:110].

ამ მეთოდის ვალიდურობის მთავარი საფრთხე არის გახსენების შეფასების სისტემატიური შეცდომა ან მახსოვრობის დაფარტები. ეს პრობლემები იქნება იმ შემთხვევაში, თუ ვიზიტორებს ეკითხებიან მათი მოგზაურების აქტივობების შესახებ ვიზიტის შესრულების შემდეგ ერთი თვიდან 1 წლის შუალედში. უზუსტობა განსხვავებულია და დამოკიდებულია მგზავრობასა და გამოკითხვას შორის არსებულ დროზე. ასეთი უზუსტობები დოკუმენტირებულია ტურისტული დანახარჯის კვლევებში.

ტურისტულ აქტივობასა და კვლევის ჩატარებას შორის განვლილ დროს მნიშვნელოვანი გავლენა აქვს მგზავრობების რაოდენობის გახსენებაზე. მკვლევარებმა აღმოაჩინეს, რომ რესპონდენტების მიერ ნათქვამი მგზავრობების რაოდენობა მცირდება გახსენების პერიოდის ზრდასთან ერთად [Lian, Denstadli, 2003:111]. ამერიკაში მოგზაურობის კვლევამ, რომელიც შეერთებული შტატების მთავრობამ ჩაატარა 1995 წელს, რესპონდენტებს სთხოვეს გაცხსენებინათ ინტერვიუმდე სამი თვით ადრე განხორციელებული მგზავრობების რაოდენობა. შედეგების ანალიზში აჩვენა, რომ შესაბამისად უფრო მეტი მგზავრობები იქნა ნაპასუხები, როცა სთხოვდნენ ერთი თვის წინანდელი პერიოდის გახსენებას, ვიდრე 2 და 3 თვის შემთხვევაში¹. გარდა ამისა, საფრანგეთის ეროვნული პერსონალური ტრანსპორტირების კვლევაში აღმოაჩინეს, რომ „ხალხი ივიწყებს მათ ბიზნესვიზიტებს უფრო

¹ Bureau of Transportation Statistics (1997). 1995 American Travel Survey Technical Documentation. Washington, DC: U.S. Department of Transportation.

ხშირად, ვიდრე მათ მოკლევადიან პირად ვიზიტებს და უკანასკნელს უფრო ხშირად, ვიდრე მათ გრძელვადიან პირად ვიზიტებს [Armoogum, Madre, 2003:152].

უნდა აღინიშნოს, რომ ვიზიტორების დანახარჯების კვლევებში ხშირ პრობლემას (ეს იქნება შინამეურნეობები თუ საერთაშორისო ვიზიტორები) წარმოადგენს ტურები პაკეტით, სადაც ტრანსპორტის, განთავსების, საკვების, გართობის კომბინირება ხდება და ერთ ფასად არის შეთავაზებული. ასეთმა ტურმა შეიძლება მოიცვას ვიზიტი რამდენიმე დესტინაციაზე. შემსყიდვებული ვერ ანსხვავებენ, თუ რა ფასი აქვს თითოეულ კატეგორიას მოცემულ ტერიტორიაზე. შედეგად, მათ არ შეუძლიათ მისცენ ინტერვიუებს სანდო ინფორმაცია მათი დანახარჯების განაწილების შესახებ (მაგ. განთავსებაზე, საკვებზე, ლოკალურ ტრანსპორტზე). მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის რეკომენდაციით პაკეტით ტურებზე დანახარჯების გამოსათვლელად ტუროპერატორების კვლევის გამოყენებაა საჭირო იმისთვის, რომ ვიზიტორების პასუხები გადახაწილდეს მთლიანი პაკეტის დანახარჯებზე [UNWTO, 2000:62].

ეროვნული ბანკის კვლევა. უცხოური ვალუტის გაცვლითი ტრანსაქციების საბანკო ჩანაწერები კველაზე ხშირად გამოყენებული მეთოდია ტურისტული დანახარჯის მოგროვების მეთოდებს შორის [Sheldon 1993:33]. მრავალი ქვეყანა ზომავს უცხოელი ვიზიტორების დანახარჯებს მათი ქვეყნის საზღვრებში უცხოური ვალუტის შესყიდვის რაოდენობით. ქვეყნის ცენტრალური ბანკი ცდილობს, გამოთვალოს ეროვნული ვალუტის ოდენობა, რომლის გაყიდვაც მოხდა უცხოელ ვიზიტორებზე სააგენტოებისგან, რომლებიც ამ ოპერაციებს ახორციელებენ. ამ სისტემის ვალიდურობა დამოკიდებულია სისტემის შესაძლებლობაზე [UNWTO 2000:63], განასხვაოს საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელებული ტრანსაქციები სხვა ტრანსაქციებისგან; მოიცვას საერთაშორისო ვიზიტორების ყველა განხორციელებული ტრანზაქცია (დაფარვის პრინციპი); უზრუნველყოს ტრანსზაქციების ჩაწერა, იდენტიფიცირება და სიზუსტის დაცვით გადაცემა ცენტრალურ ბანკზე.

ამ მეთოდს, მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის ექსპერტების აზრით, რამდენიმე პრობლემა აქვს, რაც ეროვნული ბანკის მიერ საერთაშორისო ვიზიტორების დანახარჯების შეფასებას საფრთხეს უქმნის. ცენტრალური ბანკის მეთოდს უცხოელი ვიზიტორების დანახარჯების გამოვლა მხოლოდ ეროვნულ დონეზე შეუძლია და ვერ ახდენს ამ დანახარჯების კატეგორიების დათვლას ან რომელიმე შიდა დანახარჯის დაანგარიშებას. ეს ხელს უშლის მის გამოყენებას ვიზიტორების დანახარჯების გასაზომად რეგიონებზე ან ასოცირებულ ინდივიდუალურ ღონისძიებებზე. ეს მეთოდი უგულებელყოფილია ევროპაში სხვა მიზეზების გამოც. ეკროპავშირის მონაცემებზე დაყრდნობით მეთოდი გამოიყენებოდა საგადასახდელო ბალანსში კატეგორია მოგზაურობის გამოსათვლელად 11 ეკროპულ ქვეყანაში [Ortolani 2000:25]. მას შემდეგ, რაც ამ ქვეყნებში ევროს შემოღება მოხდა, მათ მოუწიათ შერჩევაზე დაფუძნებული გამოკითხვის მეთოდზე გადასცვლა. შეჯამების სახით შეიძლება კოქვათ, რომ ეს მეთოდი ვერ ასრულებს დაფარვის, რელევანტურობის და სიზუსტის პრინციპებს და არ გამოიყენება რეგიონებსა და ცალკეულ ღონისძიებებზე.

ტურისტული ობიექტების კვლევა. ტურიზმის სხვადასხვა სექტორის, მათ შორის სხვადასხვა ტრანსპორტის – საჰაერო, რკინიგზის, საკრუიზო სერვისის გამყიდვლებს შესაძლებლობა აქვთ, ვიზიტორების დანახარჯების შეფასება მაღალი სიზუსტით მოახდინონ. თუმცა ნაკლებად საფარაუდოა, რომ რესტორნებს, ბენზინგასამართ სადგურებს, სპორტულ გასართობ ცენტრებს საშუალება ჰქონდეთ, განაცალკევონ ვიზიტორები რეზიდენტებისგან. ეს მეთოდი პრობლემატურია, რადგან შეიძლება მოიცვას ადგილობრივი დანახარჯები, შეიძლება არ მოიცვას

ყველა ის დაწესებულება, სადაც ვიზიტორი ფულს ხარჯავს და ვერ შეძლებს ვიზიტორების რაოდენობის, განვითარების ხანგრძლივობისა და სხვა მაჩვნენებლების შეფასებას [Sheldon 1990:230]. ამ მეოდეთან დაკავშირებული სხვა პრობლემა არის ის, რომ ამ დაწესებულებების მენეჯერებმა შეიძლება უარი განაცხადონ მონაცემების გაზიარებაზე იმის შიშით, რომ ეს მონაცემები მათი კონკურენტების ხელში აღმოჩნდება [Vaughan, Sree 2000:100].

მკვლევარები ზემოთ მოცემულ სტატისტიკურ მეთოდებს იყენებენ სხვა-დასხვა ეკონომიკური ინდიკატორების ანალიზისთვის, რომელზეც ტურიზმს ეკო-ნომიკური ეფექტის მოხდენა შეუძლია. მათ შორის შესაძლებელია შემდგრი ძორითადი ინდიკატორების გამოყოფა წარმოება, დასაქმება, შემოსავალი, ექსპორტი და გარემოზე ეფექტი.

წარმოება. მკვლევართა მიერ ხშირად ხორციელდება წარმოების გაზრდილი დონის, მშპ-ს ან რომელიმე სხვა ინდიკატორის გაზიარება, რომელიც რეგიონისთვის ეკონომიკური აქტივობის მაჩვნენებლია. ტურიზმი ვიზიტორების დანახარჯების შედეგად ახდენს დიდი რაოდენობით დამატებული ღირებულების გენერირებას, მისი წილი მსოფლიო შიგა პროდუქტში 10%-ს აღწევს.

დასაქმება. მკვლევარების ინტერესის თბიერები ხშირად ხდება ტურისტული აქტივობის შედეგად დასაქმებაში გამოწვეული ცვლილებები. ტურიზმს განსაკუთრებული როლი აქვს განვითარებად ქვეყნებში, სადაც ტრადიციული სექტორების გარდა არსებობს დამატებითი სამუშაო ადგილების საჭიროება. ეკონომიკური პერსპექტივით ტურიზმის უფრადდების ცენტრში ყოვნის ერთ-ერთი მიზეზი მისი შრომატევადობაა სხვა ინდუსტრიებთან შედარებით. ტურიზმი ძირითადად კონცენტრირებულია სერვისის სექტორში, სადაც ადამიანებს შორის მეტი კონტაქტია და, შესაბამისად, უფრო მეტი სამუშაო ადგილი იქმნება. ყოველი დამატებითი დოლარი, დახარჯული ტურიზმის განვითარებაზე, ქმნის ბევრად მეტ დასაქმებას დანარჩენ სექტორებთან შედარებით.

ტურიზმი, როგორც შრომატევადი ინდუსტრია, დასაქმების შესაძლებლობას იძლევა მათვის, ვინც სამუშაო ბაზარზე პირველად შემოდის ან აქვს დასაქმების პრობლემები. ტურიზმი მნიშვნელოვან როლს თამაშობს დასაქმების შესაძლებლობების განხენაში დაბალკვალიფიციური მუშახლისთვის, ეთნიკური უმცირესობებისთვის, მიგრანტებისთვის, დაუსაქმებელი ახალგაზრდებისთვის, ქალებისთვის ოჯახები მოვალეობებით, რომლებსაც მხოლოდ არასრული სამუშაო განაკვეთით შეუძლიათ მუშაობა [UNWTO, ILO, 2014:17].

თუმცა, მეორე მხრივ, ტურიზმი ასევე მოითხოვს დატრენინგებულ და განათლებულ მუშახლის. ტურიზმი შექმნილია მრავალი სხვადასხვა სეგმენტისგან, რომელიც მოიცავს ტრანსპორტირებას, განთავსებას, საკებებს, მოგზაურობის დაგეგმვას, კომუნიკაციას, გართობას და ბევრ სხვა კომპონენტს. ტურიზმის სხვა-დასხვა ელემენტი მოითხოვს ინფრასტრუქტურულ და კრეატიულ მენეჯერებს, რომლებიც განათლებულები არიან და შეუძლიათ ადაპტირება მოახდინონ ცვალებად გარემოში. ტურიზმის ზრდადობა და დივერსიფიკაცია განაპირობებს შრომის ბაზრის გაფართოებას. ტექნოლოგიას ესაჭიროება მენეჯერები, რომლებსაც გააზრებული აქვთ ტურისტული ინფრასტრუქტურის სხვადასხვა შესაძლებლობებით გავრცელების აუცილებლობა, როგორიცაა მობილური ტელეფონი, ინტერნეტის და სმარტფონების აპლიკაციები ან ნავიგაციური სისტემები. ასევე, სწრაფად მზარდი სეგმენტია და დიდი რაოდენობის სამუშაო ადგილებს ქმნის ფესტივალები და ღონისძიებები, სადაც დასაქმებულების კრეატიულობა და ინფრასტრუქტურის აუცილებელი. ტურიზმი დამოკიდებულია ხარისხიან სერვისზე და მაღალ დონეზე დატრენინგებულ მუშახლიზე, შესაბამისად მოთხოვნა ასეთ კერძონალზე მუდამ მზარდი იქნება. ტურიზმის ინდუსტრიის წარმატება დამოკიდებული იქნება პროფესიონალიზმის მაღალ დონეზე [Edgell, Swanson, 2013:100]. ტურიზმის ბიზნესები ხშირად

ინდივიდის ან ოჯახის კუთვნილებაა. მცირე და საშუალო ბიზნესი მოითხოვს ნაკლებ კაპიტალს, რაც შესაძლებლობას ქმნის, მოსახლეობისთვის დაიწყოს ბიზნესი. ხშირად ქალები იყენებენ არსებულ უნარებს იმისთვის, რომ გახსნან მცირე ზომის ბიზნესები, როგორიცაა გესთპაუსები და რესტორნები [Mc Kenzie, 2007:480].

მსოფლიოში განთავსების საშუალებებში საშუალოდ ერთი ადამიანია დასაქმებული ერთ ოთახზე. ერთი სამუშაო ადგილი მთავარ ტურისტულ ინდუსტრიაში ქმნის ერთნახევარ (არაპირდაპირ) სამუშაო ადგილს ტურიზმთან დაკავშირებულ ეკონომიკაში. უფრო მეტიც, სამი მუშახელი არაპირდაპირ დამოუიდებულია თითოეულ განთავსების საშუალებაში მომუშავე ადამიანზე, როგორიცაა ტურისტული სააგენტოს პერსონალი, გიდები, ტაქსი, ავტობუსის მძღოლები, საკვების და სასმელის მიმწოდებლები, სუვენირების გამყიდვლები და სხვა, ასევე აეროპორტში დასაქმებულები [Bolwell, Weinz, 2008:6].

შედეგად, ტურიზმის ინდუსტრია მრავალი სახის დასაქმების შესაძლებლობას იძლევა და, რაც კვლებზე მნიშვნელოვანია, ქმნის სიღარიბის დაძლევის შესაძლებლობებს განვითარებად ქვეყნებში.

შემოსავალი. სახელმწიფოს მიზანია დამატებითი შემოსავლის, მათ შორის საგადასახადო შემოსავლების მიღება, რომელიც, თავის მხრივ, გაზრდილი ტურისტული დანახარჯების შედეგად იქნება მიღებული. სახელმწიფო საგადასახადო შემოსავლებს იღებს ტურისტების სხვადასხვა აქტივობიდან. მაგალითად, ტურისტი იხდის ოთახისთვის, რაც ბევრ სახელმწიფოში იძეგრება. გარდა ამისა, საგადასახადო შემოსავლების გენერირება ასევე ხორციელდება სასტუმროში დასაქმებულებიდან და ბიზნესსაწარმოების მოგებიდან.

ტურიზმი მნიშვნელოვანი შემოსავლის წყაროა მსოფლიოს უმრავლესი ქვეყნისთვის. ტურისტული დანახარჯებიდან საერთაშორისო შემოსავლები ზრდას განაგრძობს, რაც მას საგადასახადო შემოსავლების მნიშვნელოვან გენერატორად აქცევს. საერთაშორისო ვიზიტორები დიდ დანახარჯებს ახორციელებენ საქონელსა და მომსახურებაზე, ამას შედეგად კი მნიშვნელოვანი მატება მოაქვს შემოსავლზე. ტურისტები დაინტერესებულები არიან მაღალხარისხის მიზანი პროდუქტების და, ასევე ადგილობრივად შექმნილი პროდუქტების შექნით, კარგი კვებით, ლირს შესანიშნაობების დათვალიერებით და კულტურული აქტივობებით. ტურიზმი მოიცავს მოგზაურების საქონელსა და მომსახურებაზე კველი დანახარჯს. მან შეიძლება მოიცავს ტრანსპორტი, განთავსება, ღირსშესანიშნაობა, საკვები, გართიანი, სუვენირები, ტურები და სხვა. ეს შესყიდვები ასევე მოიცავს ტურიზმის მხარდამჭერი ინდუსტრიების პროდუქციას, როგორებიცაა ბანკი, ტაქსი, ავტობუსები, კამერა და ფილმები, სარეზერვაციო სისტემები, კომპიუტერები, ტელევიზონები და სხვა. არ უნდა დაგვაგიშვდეს საერთაშორისო ტურისტული დანახარჯები ასევე მოიცავს ავიაკომპანიებს, რეინიგზას, საკრუიზო გემებს და მანქანების გაქირავებას [Edgell, Swanson 2013:102].

ქსპორტი. ტურიზმი კონომიკური განვითარების მნიშვნელოვანი ელემენტია, რადგან საექსპორტო ინდუსტრიაა. ის უზრუნველყოფს საქონლისა და მომსახურების ვიზიტორებზე გაყიდვით ახალი ფულის შემოდინებას ეკონომიკაში. ტურიზმი განსხვავდება სხვა საექსპორტო ინდუსტრიებისგან, რომლებიც გაყიდვებს საქონლის გადაზიდვით ახორციელებენ. იგი საკუთარი სერვისების გაყიდვას ვიზიტორების მოზიდვით ახდენს. მიუხედავად ამისა, ტურიზმის ინდუსტრიისთვის, ისევე, როგორც სხვა ინდუსტრიებისათვის, რომლებიც საქონელს საზღვარგარეთ ყიდიან, ფულადი ნაკადები ანალოგიური ეფექტის მომხდენია: ეკონომიკაში ხდება ახალი ფულის შემოდინება [Reece, 2010:51].

ტურიზმი მრავალფეროვანი სექტორია, შედეგება მრავალი სხვადასხვა ინდუსტრიებისა და ფირმებისგან. არსებობს მარტივად ცნობადი დიდი კორპორა-

ციები, რომელთაც საკუთრებაში აქვთ სასტუმროს ქსელები, ავიაკომპანიები, საპრეზიდო ხაზები, გასაქირავებელი მანქანების სააგენტოები, თემატური პარკები და სხვა. გარდა ამისა, არსებობს მცირე საწარმოები, როგორიცაა საოჯახო სასტუმროები, რესტორნები, სასაჩუქრე მაღაზიები და სხვა. ეს განსხვავებული ფირმები დაინტერესებულები არიან ტურიზმში როგორც ექსპორტში, რადგან საერთაშორისო ვიზიტორი უფრო მეტს ხარჯავს, ვიდრე ადგილობრივი [Edgell, Swanson 2013:103].

გარემოზე ეფექტი. გარემოზე ეკონომიკური ეფექტები მოიცავს: სოციალურ და კულტურულ ეფექტებს (მოსახლეობა, ცხოვრების სტილი და სხვა); ფიზიკურ ეფექტებს (შექნებლობა, დანაგვიანება, ეროზია და სხვა); ბიოლოგიურ ეფექტებს (ეგზოტიკური ჯიშების გადაშენება და სხვა) [Reece, 2010:51].

დასკვნა

ამრიგად, ტურიზმი უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს ეკონომიკაში და მისი პირდაპირი გავლენა სხვადასხვა ეკონომიკურ ინდიკატორებზე მრავალმხრივია. ტურიზმის ეკონომიკური ეფექტიანობის ანალიზი და შესაბამისი კვლევები მნიშვნელოვანია დაგეგმვისა და ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებისთვის. ის ასევე მნიშვნელოვანი ფაქტორია მარკეტინგული და მენეჯერული გადაწყვეტილებებისთვის. საზოგადოებას სტირდება, გაიაზროს ტურიზმის მნიშვნელობა სახელმწიფო ოურეგიონის ეკონომიკაში. ამ ნაშრომში წარმოდგენილი მსოფლიოში გავრცელებული ტურიზმის ეკონომიკური გავლენის გაზომვის შეთოდოლოგიების ანალიზის საქართველოს რეალობაში გათვალისწინება უმნიშვნელოვანებისა.

გამოყენებული ლიტერატურა

Armoogum, J., and J.-L. Madre (2003). “Weighting and Correcting Long-Distance Travel Surveys.” In Capturing Long-Distance Travel, edited by K. W. Axhausen, J.-L. Madre, J. W. Polak, and P. L. Toint. Baldock, Great Britain: Research Studies Press Ltd. ვ. 152.

Bolwell, D. and Weinz, W. (2008), ‘Reducing poverty through tourism’, International Labour Office, Sectoral Activities Programme, Working Paper No. 266, Geneva, ვ. 6.

Bureau of Transportation Statistics (1997). 1995 American Travel Survey Technical Documentation. Washington, DC: U.S. Department of Transportation.

Crompton, John L., Seokho Lee, and Thomas J. Shuster (2001). “A Guide for Undertaking Economic Impact Studies: The Springfest Example.” Journal of Travel Research, 40 (August), ვ. 83, 84.

Daniels, Margaret J., William C. Norman, and Mark S. Henry (2004). “Estimating Income Effects of a Sport Tourism Event.” Annals of Tourism Research, ვ. 31, 185.

David L. Edgell, Jason R. Swanson, Tourism Policy and Planning, Yesterday, Today and Tomorrow 2nd edition, by Routledge 2013. ვ. 90-93.

Fleming, William R., and Lorin Toepper (1990). “Economic Impact Studies: Relating the Positive and Negative Impacts to Tourism Development.” Journal of Travel Research, 29 (1), ვ. 33-37.

- Frechting, Douglas C. (1994a). “Assessing the Impacts of Travel and Tourism— Measuring Economic Benefits.” In *Travel, Tourism, and Hospitality Research: A Handbook for Managers and Researchers*, 2nd ed., edited by J. R. Brent Ritchie and Charles R. Goeldner. New York: John Wiley & Sons, 83. 370.
- Getz, Donald (1994). “Event Tourism: Evaluating the Impacts.” In *Travel, Tourism, and Hospitality Research: A Handbook for Managers and Researchers*, 2nd ed., edited by J. R. Brent Ritchie and Charles R. Goeldner. New York: John Wiley & Sons, 83. 440.
- Kim, Dae-Kwan, Daniel M. Spots, and Donald F. Holecek (1998). “A Comparison of Estimates of Statewide Pleasure Trip Volume and Expenditures Derived from Three Household Surveys.” In *Travel Research Roundup: Branding the Travel Market*, 29th Annual Conference Proceedings. Lexington, KY: Travel and Tourism Research Association. 83. 110.
- Lian, J.-I., and J.-M. Denstadli (2003). “How Reliable Are Household Surveys for the Description of Air Travel?” In *Capturing Long-Distance Travel*, edited by K. W. Axhausen, J.-L. Madre, J. W. Polak, and P. L. Toint. Baldock, Great Britain: Research Studies Press Ltd. 83. 111.
- Mc Kenzie, K. (2007), ‘Belizean Women and Tourism Work – Opportunity or Impediment?’, *Annals of Tourism Research*, volume 34 (2), 83. 480.
- Ortolani, G. G. (2000). “Revision of the Collection Systems for the Travel Item in the Balance of Payments of the European Member States following Stage Three of the European Monetary Union.” In *Tourism Satellite Account (TSA) Implementation Project: Enzo Paci Papers on Measuring the Economic Significance of Tourism*, vol. 1. Madrid, Spain: World Tourism Organization.
- Reece .W. S., „The Economics of Tourism”, 2010, 83. 51.
- Sheldon, P. J. (1990). “A Review of Tourism Expenditure Research.” In *Progress in Tourism, Recreation and Hospitality Management*, vol. 2, edited by C. P. Cooper. London: Belhaven Press, 83. 230.
- Sheldon, P. J. (1993). “Forecasting Tourism: Expenditures versus Arrivals.” *Journal of Travel Research*, 83. 33.
- Smith, S. L. J. (2000). “New Developments in Measuring Tourism as an Area of Economic Activity.” In *Trends in Outdoor Recreation, Leisure and Tourism*, edited by W. C. Gartner and D. W. Lime. New York: CAB International, 83. 225.
- Tourism and Poverty Alleviation Retrieved from <http://step.unwto.org/content/tourism-and-poverty-alleviation-1>
- UNWTO. *Tourism As An International Traded Service, A Guide For Measuring Arrivals And Associated Expenditures OF Non-Residents*, 2005, 83. 10.
- UWTO methodological supplement to world tourism statistics. 1978, 83. 18.
- Vanhove, Norbert (2005). *The Economics of Tourism Destinations*. Oxford, UK: Elsevier Butterworth-Heinemann. 83. 22.
- Vaughan, D. R., H. Farr, and R. W. Slee (2000). “Estimating and Interpreting the Local Economic Benefits of Visitor Spending: An Explanation.” *Leisure Studies*. 83. 100.

World Tourism Organization and International Labour Organization (2014), Measuring Employment in the Tourism Industries – Guide with Best Practices, UNWTO, Madrid. 83. 17.

World Tourism Organization Measuring Domestic Tourism and the Use of Household Surveys: A Working Paper, (v. 1), May 2005. Madrid, Spain: WTO Department of Statistics and Economic Measurement of Tourism. 83. 1-28.

World Tourism Organization (2000). Measuring Total Tourism Demand. Madrid, Spain: World Tourism Organization.

Youssefzadeh, M. (2003). “Long-Distance Diaries Today: Review and Critique.” In Capturing Long-Distance Travel, edited by K. W. Axhausen, J.-L. Madre, J. W. Polak, and P. L. Toint. Baldock, Great Britain: Research Studies Press Ltd., 83. 28-43.

Giorgi Bregadze

Ivane Javakishvili Tbilisi State University PhD Student

METHODOLOGICAL ISSUES IN MEASURING TOURISM DIRECT ECONOMIC BENEFITS Expanded Summary

Tourism is the most viable and sustainable economic development option for Georgia and one of the main sources of foreign exchange earnings. Number of international traveler visits is increasing in Georgia, contributing to the national economy. The given article stresses the necessity of research based economic policy in tourism sector. In this regard, it is of paramount importance to measure direct economic effects of the tourism. Public would like to know how much inbound visitors are contributing to the economy. In this article we discuss the methodology available around the world that helps answering this question.

Tourism recognition as an economic development tool is increasing in lesser-developed nations, including Georgia. Tourism can promote economic development more quickly, than other industries, it can attract significant amount of financial capital, support infrastructural development and provide new job opportunities. Furthermore, if the country's economic policy is strictly oriented on poverty reduction the largest share of income from tourism will go to the poorest segment of the population, contributing to the reduction of poverty in the country. Another use of tourism can be for rural population development. Rural communities in Georgia are looking for the alternatives of the tradition industries that can generate addition income. Tourism can be the industry that will provide addition source of income for the people, especially in mountainous regions.

The society in Georgia is increasingly interested in economic effects of tourism. They would like to know how addition expenditure spent by visitor can effect different economic variables. The expenditure from visitor is viewed as a direct economic effect of tourism. Expenditures can come in different forms and applied methodology of measurement may also be different, including: international visitor survey, entry/departure cards, domestic visitor survey, national bank survey and tourist establishment survey.

International visitor survey focuses on international visitors travelling in the country. The survey can be conducted as they enter the country, as they leave the country, or while they are still in the country. Furthermore, route surveys can also be conducted while they are travelling using different transport means to or from the destination. Among these methods most efficient are the one conducted while visitor departs from the country. It allows to capture actual expenditure of the total trip, rather than amounts intended. The experience of other countries shows that the exit-survey model provides most exact expenditure information, if respondents are asked question about previous 24 hour period and multiplied by the projected length of stay.

Entry departure cards are one of the major source for estimation of international visitor expenditure. It allows to measure the total population of visitors and gives opportunity to disaggregate on national level. Its weakness is connected with the administrative burden levied on the visitors, its size and difficulties connected with administration.

Domestic tourism survey measures expenditures of domestic visitors. It is based on household survey and many countries have systems that allow systematic measurement of the variables: personal income, labor force participation and etc. Some countries conduct domestic tourism survey separately, it allows more disaggregation of data connected with tourism. The main weakness connected with this type of surveys are connected with recall bias. Memory effects are mainly connected with miscalculation of number of trips.

Participation of the Central Bank in estimation of visitor's expenditures is mainly connected with bank records of foreign exchange transactions. A lot of countries estimate international visitor expenditures by computing amount of national currency sold visitors from the agencies actually making this sales. This method has its weaknesses as well. It's difficult to distinguish international visitor from others, include all transactions made by them and administer accurately data delivery. Furthermore this method does not allow to categorize expenditure types.

Tourist establishment survey measures the expenditure made on main categories of tourism and include: accommodation, restaurant, transportation, etc. Although the providers can measure sales to travelers with a high degree of reliability, it is highly unlikely that they can distinguish international visitors from other customers. Another problem is connected with the refusal to share data. This could be caused by fear that data will be shared with other competitors.

Researchers use methodologies provided above to estimate effects tourism on different economic variables including: output, employment, income, export, and environment.

Output-researchers are often interested how increased expenditure effected levels of output, production, GDP or similar measures.

Employment- researchers measure changing level of employment which is cause by changing level of visitor expenditure.

Income- Tourism is important source of income for the most countries of the world. Expenditures from tourism are increasing annually generating additional income (also in terms of wage) to the people and to the government as tax revenues.

Export-the expenditure of foreign guests has a huge effect on the national balance of payments. On the asset side, it reports the income from international visitors.

Environment-many researchers go beyond the traditional economic variables and measure social, cultural, physical and biological effects of tourism.

To summarize, tourism plays very important role in economy and its direct contribution to the economic indicators is significant. Tourism Economic effect analysis and corresponding surveys are important for planning and formation of economic policy. It is also the source for marketing and management decisions in tourism and other industries as well. Society needs to understand the importance of tourism in economy. For this, methodologies discussed in this paper and accepting world's best practices is of paramount importance in Georgia.

ლია მუხრანიძე
დოქტორანტი,
საქართველოს საპატიოარქოს წმიდა ანდრია პრეველტოდებულის
სახელობის ქართული უნივერსიტეტი

სახელმწიფო მარკეტინგი და მისი როლი მართვის პროცესში

რეზიუმე. სტატიაში განხილულია მარკეტინგის მნიშვნელობა სახელმწიფო სექტორში; სწორად შემუშავებული სახელმწიფო მარკეტინგული პროცესის მნიშვნელობა მართვის პროცესში არსებული სოციალურ-ეკონომიკური გამოწვევების პირობებში.

სახელმწიფო მარკეტინგული პროგრამებისა და ტექნოლოგიების გამოყენება შესაძლებლობას იძლევა გადაიჭრას სახელმწიფოს წინაშე დასტული ამოცანები, დაძლიოს ძირითადი პრობლემები, უზრუნველყოს კერძო და სამოქალაქო საზოგადოების განვითარება. სახელმწიფო მარკეტინგი მართვის სისტემის განუყოფელი ნაწილია, რომელიც სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ პროცესებთან არის ინტეგრირებული. მის ძირითად ამოცანას წარმოადგენს საზოგადოებისა და კერძო სექტორის მოთხოვნილებების დამაკავშირებელი.

სტატიაში წარმოდგენილია ჩვენ მიერ შესწავლილი ცენტრალური და ადგილობრივი ორგანიზაციების მარკეტინგული მიღების და აქტივობები. მარკეტინგული კვლევის ფარგლებში შესწავლილ იქნა სამთავრობო მარკეტინგული პროგრამები მარკეტინგული ინსტრუმენტების გამოყენებისა და ქვეყნის იმიჯის ამაღლების მიმართულებით. აქვეა ნაჩვენები კვლევის შედეგებზე დაყრდნობით გაკეთებული ზოგიერთი დასევხა.

საკვანძო სიტყვები: მარკეტინგი, სახელმწიფო მარკეტინგი, მართვა, სახელმწიფო სექტორი.

შესავალი

მარკეტინგის გამოყენება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია როგორც კერძო, ისე სახელმწიფო სექტორისთვის. ქვეყანაში არსებული სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გამოწვევების პირობებში უმნიშვნელოვანეს როლს იდენტური შემუშავებული სახელმწიფო მარკეტინგული პროგრამები, მართვის ინოვაციური მეთოდები და ეკოექიმიკური სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკა.

სახელმწიფო მარკეტინგული პროგრამებისა და ტექნოლოგიების გამოყენება შესაძლებლობას იძლევა გადაიჭრას სახელმწიფოს წინაშე დასტული ამოცანები, დაძლიოს ძირითადი პრობლემები, უზრუნველყოს კერძო და სამოქალაქო საზოგადოების განვითარება.

სახელმწიფო მარკეტინგი მართვის სისტემის განუყოფელი ნაწილია, რომელიც სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ პროცესებთან არის ინტეგრირებული. მის ძირითად ამოცანას წარმოადგენს საზოგადოებისა და კერძო სექტორის მოთხოვნილებების დაკმაყოფილება.

მარკეტინგული საქმიანობას მმართველობითი საქმიანობის განსაკუთრებულ სახეობას წარმოადგენს. ნებისმიერ მმართველობით მოდგაწეობაში ცენტრალური ადგილი გადაწყვეტილების მიღებას უკავია. გადაწყვეტილებათა მიღება მარკეტინგის ფუნქციებისა და პროცედურების განხორციელების ლოგიკური დამთავრებაა. მარკეტინგული გადაწყვეტილებების მიღების ადეკვატურობასა და უფექტურობა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული შედეგის მიღება [1].

სახელმწიფო მარკეტინგი მოიცავს მოქალაქეებსა და სახელმწიფოს, ხალხსა და პოლიტიკოსებს, მასებსა და ელიტას შორის კავშირურთიერობას[2].

სახელმწიფო მარკეტინგის მისია, მიზანი და შესასრულებელი ამოცანები წარმოდგენილია სერტიფიცირებულ და განხორციელებულ სახელმწიფო მარკეტინგულ პროგრამებში.

მთავრობის მიერ მარკეტინგული ტექნოლოგიების გამოყენების აუცილებლობას განაპირობებს სახელმწიფოს მიერ საზოგადოებრივი ამოცანების განხორციელება, მართვის პროცესი, მოქალაქეების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, საშინაო და საგარეო ბაზრებზე მეწარმეთა მხარდაჭერა, და-

დებითი იმიჯის ჩამოყალიბება, ადგილობრივი მეწარმეების ხელშეწყობა უცხოური ბაზრების ათვისების მიზნით, ეროვნული ეკონომიკური სტრუქტურების როლის ზრდა, საექსპორტო პროდუქციის კონკურენციანობის ზრდა, საინვესტიციო მიზნიდან დღობის ზრდა, ქვეყნის გლობალური და ლოკალური მიზნები. ასევე, ქვეყანაში საინფორმაციო და პრევენციული ღონისძიებების გატარება (მაგალითად, მაგნე ჩვევებთან ბრძოლა).

თანამედროვე პირობებში მარკეტინგული ინსტრუმენტების გამოყენება ეფექტურია მუნიციპალურ თუ რეგიონულ დონეზე. არის საკმაოდ ეფექტური ინსტრუმენტი სხვადასხვა ტიპის პრობლემების გადაჭრის, ტერიტორიის სოციალურ - ეკონომიკური განვითარების, სახელმწიფო მომსახურების ამაღლების, ქალაქების ბრენდინგის, ინვესტიციების მოზიდვის, ტურიზმის პოპულარიზაციისათვის, რაც, ჯამში ხელს უწყობს მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებას.

